# საჩხიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 22 ივნისი, 2009 №28 (3521) | ფასი 1 ლარი


# მერაბ ჟორდანია დაბრუნდა და... გაბრუნდა



## ყაველაშვილი და ყიფიანი კი ფიფას კართან დგანან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩამოვიდა.

ჟორდანია უკვე წლებია, შვეიცარიაში ცხოვრობს და საქართველოს პროკურატურასთან შექმნილი პრობლემების გამო ქართულ ფეხბურთთან არანაირი შეხება არ აქვს. მისმა ახლანდელმა ვიზიტმაც, მოლოდინისამებრ, უხმაუროდ ჩაიარა...

ამ ამბავთან არანაირი კავშირი არა აქვს, თუმცა ახლახან შვეიცარიაში გაფრინდა კავშირ „ჩვენი ფეხბურთის" ხელმძღვანელი ლევან ყიფიანიც. ის და მიხეილ ყაველაშვილი ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთან აპირებენ შეხვედრას, რათა თავად უამბონ, რაც ხდება დღეს ქართულ ფეხბურთში...



# დღე ჩვენი იმედისა

## ნეტავ მიგვაღწევინა შემოდგომამდე

აი, კვლავ მოვიდა იმედის დღე, რომელსაც საფეხბურთო საქართველო ყოველ წელს, ივნისის მიწურულს ელის ხოლმე და სჯერა, რომ ამჯერად მაინც მივაღწევთ შემოდგომამდე...

ეს არის დღე, როდესაც შვეიცარიულ ნიონში, უეფას სათავო ოფისში შეიყრებიან ამ ორგანიზაციის მმართველები და წარჩინებულ ევროპულ კლუბთა წარმომადგენლები. ჩაყრიან დოლურში ბურთულებს და დაატრიალებენ...

წლები გადის, ქართული კლუბები თითქმის ვერასდროს ცოცხლობენ საევროთასო შემოდგომამდე, მაგრამ ივნისის ამ დღეს მაინც მოუთმენლად ველით ხოლმე.

ეს წილისყრის დღეა, რომელმაც საუკეთესო ქართულ კლუბებს საგამოცდო ბილეთი უნდა ამოაღებინოს და გაარკვევინოს, სად არის მისი ნამდვილი ადგილი ევროპულ საფეხბურთო ოჯახში.

გნებავთ, ჩემპიონთა ლიგის, გნებავთ, ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე ჩვენ არ გვხვდება რომელიმე ბობოლა ევროპული გუნდი და იმედიანადაც ვართ, რომ თუნდაც ამ ერთ ეტაპს დავძლევთ და მერე ღმერთი როგორც ინებებს, ისე იქნება.

მაგრამ წესად გვექცა, რომ ამ ნაკლებსახელიან გუნდებთანაც ველარ ვპაუკაცობთ...

დღეს ნიონში კვლავ შეიკრიბებიან საფეხბურთო დიდმოხელენი და კლუბების წარგზავნილები. კვლავ დატრიალდება დოლურა და 16 საათისთვის გვეცოდინება, ვინ შეხვდა „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე და ვინ „ზესტაფონს", „ოლიმპს" და „დინამოს" ევროპის ლიგის კვალიფიკაციაში.

ვინც გინდა შეგვხვდეს, ისინი არ იქნებიან ევროპული ფეხბურთის გრანდები, მაგრამ ჩვენი კლუბებისთვის სხვებიც დიდებად მოსჩანან და ერთხელაც მოგვიწევს თქმა: ნეტავ, მიაღწევინა ჩვენს კლუბებს შემოდგომამდე...





# გაჭირვების ტალღაში ლოკომოტივიც ჩაიძირა!

საქართველოში რომელი გუნდის გაჭირვება უნდა გაუკვირდეს კაცს და აგერ, ასეთთა კოლონას უკვე მიუერთდა თბილისის „ლოკომოტივი".

სამწუხაროა, მაგრამ სხვათა დარად ამ კლუბსაც გაუჩნდა ფინანსური პრობლემები და ამ დროისთვის ძნელი სათქმელია, რა სახით გააგრძელებს უმაღლეს ლიგაში თამაშს, თუ გააგრძელა საერთოდ...

გუშინ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელ ლექსო თოფურიას რომ დავურეკეთ, გვითხრა, უცხოეთში ვარ და სამიოდ დღეში შემეხმიანეთო.

ალბათ თოფურია თავიდანვე მიხვდა, რატომაც ვაწუხებდით. ის ახლა ყაზახეთშია და ყველანაირად ცდილობს, საჭირო ფინანსები მოიძიოს, რათა გუნდი დასაშლელი არ გაუხდეს.

რა გამოუვა ამ საქმიდან, ვნახავთ, იქამდე კი საფეხბურთო კულუარებში ასეთი ვერსიები დადის: „ლოკომოტივი" უარს იტყვის უმაღლეს ლიგაზე და პირველ ლიგაში გააგრძელებს არსებობას. ისევე, როგორც შარშან ეს „ამერმა" გააკეთა.

არის მეორე, შედარებით უმტკივნეულო ვერსიაც: გაუქმდება „ლოკომოტივი 2" და ამის ხარჯზე ოდნავ მაინც გაუჩნდება დაფინანსება მთავარ გუნდს.

და კიდევ ერთი ვერსია: „ლოკომოტივი" უმაღლეს ლიგაში თამაშს სარეზერვო გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებით გააგრძელებს.

ვფიქრობთ, სამივე ვერსია უსიამოვნოა ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის, თუმცა მოდით, ლექსო თოფურიას ჩამოსვლას დაველოდოთ და დასკვნებიც მერე გავაკეთოთ...

იქამდე კი ვისურვოთ, რომ კიდევ ერთი კლუბის დაკარგვა აეცილებინოს ქართულ ფეხბურთს...

# ხიზანიშვილის გალა გადაწყვეტილია!



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი რამდენიმე დღეში გააფორმებს კონტრაქტს თურქულ „გალათასარაისთან".

ხიზანიშვილი ახლა ოჯახთან ერთად ისვენებს, „გალათასარაი" კი 26 ივნისს იკრიბება და ჩვენიანსაც ამ დღეს ელიან კლუბში.

მოლაპარაკებებმა დიდხანს არ გასტანა — თავიდან ინგლისური „ბლექბერნი" ჩვენიანში 3 მილიონ ევროს ითხოვდა, თუმცა ბოლოს თურქებს 2,5 მილიონზე დათანხმდა და შეთანხმებაც შედგა.

ხიზანიშვილი „გალათასარაისთან" 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**ჭახა შალამბერიძე**

# აქეთ იაშვილი და იქით თარგამაძე?



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრებისა და გერმანული „ფრაიბურგის" ნახევარმცველი დავით თარგამაძე კარიერას ალბათ მეორებუნდესლიგელ „კარლსრუეში" გააგრძელებს.

მოლაპარაკებები უკვე მიდის და ვნახოთ, შეუერთდება თუ არა თარგამაძე ალექსანდრე იაშვილს.

„ფრაიბურგი" მომავალ სეზონში ბუნდესლიგაში ითამაშებს, თუმცა თარგამაძეს პრაქტიკის ნაკლებობის გამო განათხოვრებას უპირებს და მსურველთა შორის ყველაზე მეტად სწორედ „კარლსრუე" აქტიურობს.

**ჭახა შალამბერიძე**

# ჩაჩიბაია ბუკასფორში

**22 წლის** ქართველი ფეხბურთელი ლაშა ჩაჩიბაია თურქეთის პირველლიგელ „ბუკასფორში" გადავიდა.

„ბუკასფორმა" გასულ სეზონში მეორე ლიგის გათამაშება მოიგო.

ჩაჩიბაია რამდენიმე წლის წინ „ზესტაფონის" სარეზერვო გუნდში თამაშობდა, მერე კი თურქეთის დაბალ ლიგაში გადავიდა და, როგორც ნახეთ, ბოლოს აწ უკვე პირველლიგელ „ბუკასფორშიც" აღმოჩნდა.

„ბუკასფორის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჩაჩიბაია თამაშის სტილით ძალიან წააგავს ფრანკ რიბერის...

**ლუკა თალაკვაძე**

# ძველ-ახალი კვახაძე და ახალი კახელიშვილი





**„ვიტ ჯორჯიას"** საკადრო საკითხებში ორი სიახლეა — კაპიტანმა ალექსანდრე კვახაძემ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი, „ლოკომოტივის" ნახევარმცველი გიორგი კახელიშვილი კი სამი წლით შეეკედლა ვიტელებს.

ამგვარად, „ვიტ ჯორჯიამ" საახალსეზონო-სატრანსფერო მუშაობა, შეიძლება ითქვას, ამით დაასრულა და, როგორც ამ კლუბს სჩვევია, არც წლეულს გამოუჩენია თავი ხმაურიანი შენაძენებით.

კვახაძე თავისუფალი აგენტი იყო და კლუბიც ხელს არ უშლიდა წასვლაში, თუმცა მხარეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, ახალი შეთანხმება მაინც შედგა.

კახელიშვილი კი თითქოს უზბეკურ „ლოკომოტივში" აპირებდა გადასვლას, თუმცა საბოლოოდ თავი „ვიტ ჯორჯიაში" ამოჰყო.

**ჭახა შალამბერიძე**

# ლოკომოტივი-2 დააჯილდოვეს

**თბილისის** ფეხბურთის ფედერაციამ მეორე ლიგის გამარჯვებული „ლოკომოტივი-2" დააჯილდოვა.

ცერემონიალი რესტორან „თამარიონში" მოეწყო და გუნდური ჯილდოების გარდა საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულ გიორგი ბოჭორმელსაც ერგო პრიზი.




*მეკარე:* გიორგი კლარჯეიშვილი;

*მცველები:* ილია გადელია, ნიკა ხირაძე, სოსო მიქაძე, ლევან ქურდაძე, დავით აფრიდონიძე;

*ნახევარმცველები:* ლევან იაშვილი, გიორგი სოსელია, ლაშა სივუნავა, ბაქარ აფხაზავა, გიორგი ბოჭორმელი, ერეკლე კაჭახიძე ალექსანდრე შენგელია;

*თავდამსხმელები:* პეტრე მახტაძე, გაგი გოგოლაშვილი, გიორგი ტყებუჩავა, ირაკლი გონაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* გელა სანაია;

*მწვრთნელები:* გიორგი ჯმუხაძე, გიორგი ზარიძე;

*ექიმი:* დავით ხარაბაძე




**ვიტ ჯორჯია 3:3 სიმურგი**

1:0 კვარაცხელია (8), 2:0 ყველაშვილი (31), 2:1 ბოლქვაძე (33პ), 3:1 კლიმიაშვილი (41), 3:2 მაზიარი (80), 3:3 არტიუხი (89პ)

„ვიტ ჯორჯია" (პირველი ტაიმი): ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ყველაშვილი, დ. ლომაია, ბეჟვაია, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ზაქრაძე, ლიპარტია, ვ. კვარაცხელია.

მეორე ტაიმი: ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, მგელაძე, ადამაძე, მაისაშვილი, ლანიაშვილი, იოსელიანი, ვასაძე, როსტიაშვილი (კასრაძე 64), ზაქრაძე (სვანიძე 74), ბერიაშვილი.

# ვიტ ჯორჯიას სიმურგი ბოლოსდა დაეტოლა

**საქართველოს** ჩემპიონმა პირველი ამხანაგური მატჩი შაბათს გამართა და აზერბაიჯანულ „სიმურგთან" 3:3 ითამაშა.

სანამ ძირითადი შემადგენლობით იყვნენ, ვიტელებს არანაირი პრობლემა არ შექმნიათ, მეტოქეს ერთი თავით აჯობეს და ტაიმიც 3:1 მოიგეს.

შესვენების შემდეგ კი ნესტორ მუმლაძემ სარეზერვოები ჩართო თამაშში და მეკარე არდალიონ მიქაბერიძის ყოჩაღობა რომ არა, სტუმრები ადრევე შეძლებდნენ ანგარიშის გათანაბრებას.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯიასთვის" სასარგებლო თამაში გამოვიდა და კმაყოფილი დარჩა გუნდის მწვრთნელი ნესტორ მუმლაძეც: „დამღლელი ვარჯიშების ფონზე ბიჭებმა საკმაოდ ბევრი და, რაც მთავარია, სწორად იმოძრავეს. ასეთ თამაშებში ანგარიშს მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ახლა თბილისში გავაგრძელებთ მზადებას, შემდეგ კი უკრაინაში გავემგზავრებით, სადაც ხუთ ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ და ნაკლოვანებების აღმოფხვრაზეც იქ გავაგრძელებთ მუშაობას".

აქვე გეტყვით, რომ „ვიტ ჯორჯია" უკრაინულ შეკრებაზე 24 ივნისს გაემგზავრება.

**ჭახა შალამბერიძე**

# მელქაძეს ტვინის შერყევა დაუდგინეს



**ნამეტანი** შეეჩვია ამ ბოლო დროს ქართულ ფეხბურთს ავტოავარიები, თუმცა, საბედნიეროდ, ამჯერადაც უმსხვერპლოდ დასრულდა ყველაფერი.

„ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი გიორგი მელქაძე ტვინის შერყევით გადაურჩა ამ უსიამოვნო ინციდენტს და ახლა წოლითი რეჟიმი აქვს დანიშნული.

მელქაძეს ექიმებმა ერთი თვით აუკრძალეს ვარჯიში და, ცხადია, „ვიტ ჯორჯიაც" მის გარეშე გაემგზავრება უკრაინაში შეკრებაზე.

გიორგის, რა თქმა უნდა, მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ!

**ოთარ მხეიძე**

# სამტრედიამ დაიწყო...

**20 ივნისს** „სამტრედია" შეიკრიბა და საახალსეზონო მზადება დაიწყო.

ჯერჯერობით გუნდში 50-მდე ფეხბურთელია და მათგან მწვრთნელები პირველი ეტაპის შემდეგ აარჩევენ სასურველ მოთამაშეებს.

სიახლეა ის, რომ „სამტრედიას" დაუბრუნდა თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძე, ვინც აზერბაიჯანში აპირებდა გადასვლას, თუმცა ტრავმის გამო ტრანსფერი ჩაეშალა. ხაჭიპერაძე ახლა მკურნალობს...

დანარჩენ სიახლეებს კი მომდევნო „სარბიელში" შეგატყობინებთ...

**ლუკა თალაკვაძე**

სარბიელელები გაბედნიერებას ვულოცავთ
ვაჟა ხუციშვილს და ირინე გრძელიძეს!
ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს
და ბევრი შვილის ყოლას ვუსურვებთ!

# დინამოს უცხოური მზერა

## ხორვატია, ბრაზილია და კამერუნი აქ არის. დანარჩენი გერმანიაში [illegible]

**თბილისის** „დინამო“ საახალსეზონო მზადებას აგრძელებს და უკვე ოთხი უცხოელი ახალწვეულიც ჰყავს — ბრაზილიელი გამთამაშებელი ვანდერ ფერეირა, კამერუნელი ნახევარმცველები, პაულინ პენდონგი და ჯონას ნოკამი, ხორვატი ფიზმომზადების მწვრთნელი ივო კატუშიჩი.

ვანდერი 24 წლისაა, მინეიროს ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბ „არაშაში“ თამაშობდა — ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელია.

22 წლის პენდონგი კამერუნის პირველი დივიზიონის „პანტერეს“ და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია, 18 წლის ნოკამი კი მეორედივიზიონელ „დინამიკში“ თამაშობდა და 19-წლამდელთა ნაკრებშიც იწვევენ.

ამ ფეხბურთელებს კახა კაჭარავა გერმანულ შეკრებაზე დააკვირდება და პასუხსაც მერე იტყვის.

კლუბთან უკვე გააფორმა კონტრაქტი ივო კატუშიჩმა, ვინც ბოლოს ბაქოს „ოლიმპიკში“ მუშაობდა, იქამდე კი სპლიტის „ჰაიდუკში“ იყო.

აი, რა უთხრა კატუშიჩმა „დინამოს“ ოფიციალურ ვებგვერდს:

„სპორტსმენობისას 5 წელი ფეხბურთით და 5 წელი მძლეოსნობით ვიყავი დაკავებული. სპლიტის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ჯერ ხორვატიის მესამე, მერე მეორე დივიზიონის გუნდებში და ბოლოს „ჰაიდუკში“ ვმუშაობდი. გასული სეზონი ბაქოს „ოლიმპიკში“ გავატარე. აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი ფინანსებია, მაგრამ პროფესიონალიზმის კუთხით სერიოზული პრობლემებია. და კიდევ, ალბათ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია — პრესტიჟი. როცა სამშობლოში ვამბობდი, რომ ბაქოს „ოლიმპიკში“ ვმუშაობ, დიდი ახსნა-განმარტება მჭირდებოდა ამის ასახსნელად. ახლა ყველაფერი მარტივადაა, მე „დინამოში“ ვარ, რომელსაც ყველა იცნობს. საქართველოში ჩამოსვლამდე ივო შუშაკსაც ვესაუბრე და „დინამო“, საქართველო და ქართველი ხალხი საუკეთესოდ დამიხასიათა. მე ძალიან მახარებს, რომ მართლაც ნამდვილ პროფესიონალებთან მოვხვდი, სადაც ჭეშმარიტად საფეხბურთო ატმოსფეროა. ჩანს, რომ თავის საქმეს ყველა სიყვარულით აკეთებს. მალე რამდენიმე ტესტს ჩავატარებთ და ფეხბურთელთა ფიზიკური მდგომარეობის ობიექტურ სურათს მივიღებთ. თუ კარგია, ვეცდები, რომ უკეთესი გახდეს. თუ არა და, ცოტა უფრო მეტი დრო დაგვჭირდება, რათა კარგი გახდეს“.



ივო კატუშიჩი



კამერუნელი ახალწვეულები

„დინამო“ გერმანიაში 27 ივნისს გაემგზავრება, ამჟამად კი დიღმის ბაზაზე ეს ფეხბურთელები ვარჯიშობენ:

*გიორგი ლორია, გიორგი სოზხიშვილი, გიორგი ლოსაბერიძე, მარკოს ჩარასი, გიორგი ნერგაძე, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, ლაშა ჩადუნელი, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, ვაჟა ნემსაძე, დავით დიღმელაშვილი, ვანდერ ფერეირა, შოთა ლომია, პაულინ პენდონგი, ჯონას ნოკამი, ლევან ხმალაძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, ალექსანდრე კოშკაძე, გიორგი მერებაშვილი, დონალდ დერინგ ჯიუსი, გიორგი მამუჩიშვილი, გიორგი ჯოხაძე, ირაკლი სიხარულიძე, ჟორჟ აკიემი, მათე ვაწაძე, ილია ხპასოვეიჩი.*

ოლეგ გველესიანს კონტრაქტი დაუმთავრდა და კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს, სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო კი პირდაპირ გერმანიაში შეუერთდება გუნდს.

**კახა ზალამბერიძე**

# სირაძე ვიზას ელის

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე რუსეთის ვიზას ელის.

სირაძეს ნალჩიკის „სპარტაკი“ ეპატიჟება და, თუ ჩვენიანმა ვიზა დროულად მიიღო, ერთწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს.

გეცოდინებათ, სირაძე ბოლოს სწორედ ნალჩიკურ გუნდში თამაშობდა, თუმცა კონტრაქტი ზამთარში დაუმთავრდა და მას შემდეგ უქმობს.

ქართველ თავდამსხმელს ამ დროის განმავლობაში რამდენიმე ვარიანტი გამოუჩნდა, თუმცა ტრანსფერი არა და არ შედგა...

**ლუკა თალაკვაძე**

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ ორი ამხანაგური მატჩი გამართა, ორივეჯერ პოლონურ „პოლონიას“ შეხვდა და ორივეჯერ ფრე — 1:1 და 2:2

# პოლონიური ფრეები

სიმართლე ვთქვათ, პირველი შეხვედრა ბოლომდე არც დასრულებულა, რადგან წვიმისგან დამფრთხალმა პოლონელებმა 55-ე წუთზე თამაშის გაგრძელება არ ისურვეს.

იმ მატჩში იმერელთაგან გოლით ზურაბ იონანიძე გამოირჩა, შემადგენლობა კი ასეთი იყო: *მამალაძე, ლობჟანიძე, ხიდეშელი, თოდუა, მაკარიანი, დაუშვილი, ბენაშვილი (გორგიაშვილი 46), ძარია (აფციაური 46), ნ. კვასხვაძე (გრიგალაშვილი 46), იონანიძე (დვალი 46), გელაშვილი.*

გუშინ კი პირველი ბურთი იუბილარმა (23 წლის გახდა) შოთა გრიგალაშვილმა შეაგდო, რასაც ვარშაველებმა ორი გოლით უპასუხეს და ბოლოს ნიკა ჩიხლაძემ თავურით გაათანაბრა ანგარიში.

*რ. კვასხვაძე, თოდუა, ხიდეშელი (ლობჟანიძე 46), გ. ორიანი, ელიავა (მაკარიანი 72), ძარია (ჭანკოტაძე 72), გორგიაშვილი (ბენაშვილი 46), გრიგალაშვილი (ვერაძნიძე 85), აფციაური (ნ. კვასხვაძე 60), დვალი (ჩიხლაძე 81), გელაშვილი (იონანიძე 60).*

მომდევნო მატჩს „ზესტაფონი“ ხვალ გამართავს სლოვენიურ „მარიბორთან“.

**კახა ზალამბერიძე**

# უეფამ ზესტაფონს ზესტაფონი უთხრა

**2009 წლის** 18 ივნისს საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონისა“ და მისი ქომაგებისთვის მეტად სასიხარულო ინფორმაცია გავრცელდა — უეფას გადაწყვეტილებით, ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი ევროტურნირების მატჩებს უმასპინძლებს.

როგორც მოგეხსენებათ, ამ საკითხთან დაკავშირებით იმერელთათვის პრობლემა მაშინ წარმოიშვა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია კოპიტნარის აეროპორტის სავალალო მდგომარეობის შესახებ. არადა, სწორედ კოპიტნარში ივეგმებოდა ევროტურნირებში ზესტაფონელთა მეტოქეთა მიღება, როგორც ეს შარშან უნგრული „დიორ ეტოს“ შემთხვევაში მოხდა. ამ პრობლემატური საკითხის მოგვარებაში დახმარება კი კლუბს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაუწია. სწორედ სფფ-მ მიმართა უეფას შესაბამისი წერილით, სადაც იქნა ახსნილი შექმნილი ვითარება. შედეგად, ფედერაციასა და კლუბის ოფისში მოვიდა წერილი, რომლის თანახმად ზესტაფონელებს 2009-2010 წლების სეზონში ენიჭებათ უფლება ევროპის ლიგის მატჩების ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე გამართვისა, ხოლო იმერელთა სტუმრები ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდებიან.



გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო და ამავდროულად, ამ სიახლეს კლუბის ყველა გულშემატკივარსაც ვულოცავთ — ზესტაფონი დიდი ფეხბურთის მოლოდინშია!

*სკ „ზესტაფონის“ პრესსამსახური*

# კაჭარავას გვერდით სამხარაძე მიუჯდა



თამაზ სამხარაძე

**თბილისის** „დინამოს“ თავკაც კახა კაჭარავას თანაშემწედ კლუბის აკადემიის მთავარი მწვრთნელი თამაზ სამხარაძე დაინიშნა.

41 წლის სამხარაძეს A ლიცენზია აქვს, ფეხბურთელობისას თბილისის „შევარდენში“ (1989-93) და ხაშურის „ივერიაში“ (1993-95) თამაშობდა, მწვრთნელობა კი „ნორჩ დინამოელში“ დაიწყო, საიდანაც ჯერ ოლიმპიური მომზადების ცენტრში გადავიდა, მერე კი „გაგრას“ სპორტული დირექტორი გახლდათ.

*თამაზ სამხარაძე:* „უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა ვუთხრა კლუბის ხელმძღვანელობას ასეთი ნდობისთვის. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. უცხოელი მწვრთნელების გვერდით მუშაობით კახა კაჭარავამ დიდი გამოცდილება მიიღო და მზადაა, „დინამოს“ უთავკაცოს. მეც სხვებთან ერთად გვერდში დავუდგები და დაკარგული ტიტულის დაბრუნებას ვეცდებით. განვლილ სეზონში მეორე ადგილზე გავედით და, ბუნებრივია, ყველას დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგვეუფლა, მაგრამ თასის და სუპერთასის მოგება შევძელით და სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ“.

**ლუკა თალაკვაძე**

# პატარა დინამოს ოქროები

**გუშინ** დიღმის საწვრთნელ ბაზაზე „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის მწვრთნელ-ფეხბურთელები დააჯილდოვეს. ჭაბუკთა ლიგის 1991-92 და 1993-94 წლებში დაბადებულთა შორის გამარჯვებულ „დინამოს“ გუნდებს ოქროს მედლები და თასები სფფ-ის ბავშვთა განყოფილების ხელმძღვანელმა ირაკლი ოყრომიძემ გადასცა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპი კეის ოკეის ელის

## ბრაზილიელებამდე რუსთაველმა სიმურგი მოინელა



ჯოზეფ კეი

**რუსთავის** „ოლიმპმა" ორი ამხანაგური მატჩი გამართა აზერბაიჯანულ „სიმურგთან" და ორივეში იმარჯვა — 2:1 და 3:2.

შეხვედრები „მიხეილ მესხზე" ჩატარდა და შეიძლება ითქვას, ორივე შედეგი კანონზომიერი იყო.

„ოლიმპი" გასულ ჩემპიონატთან შედარებით დიდად არ დასუსტებულა — მართალია, გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა ბირთვი შენარჩუნებულია და თან ერთი-ორი ახალწვეულიც ჰყავს.

პირველ მატჩში რუსთაველთაგან აქვსენტი გილაურმა და კოკა მიქუჩაძემ გამოიჩინეს თავი, შემადგენლობა კი ასეთი იყო: *მ. ალავიძე, თ. ლონდაძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, ჩიკვილაძე, სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ხუბუა, ფიფია, გ. ჩხეტიანი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. ნუგ. ჭელიძე, ა. გილაური, გორდეზიანი, სირბილაძე, მიქუჩაძე, ზ. ჭელიძე, კაკულია.*

მეორე მატჩმაც ოლიმპელთა უპირატესობით ჩაიარა და სიმა[...]თლე გითხრათ, „სიმურგი" ასეთი სუსტი გუნდი თუ იქნებოდა, არ ველოდით — რატომღაც აზერბაიჯანის ჩემპიონატზე ყველა მხრიდან ლამის დითირამბები გვესმოდა ხოლმე, მაგრამ ეს გუნდი თუ იქ ერთ-ერთი ლიდერია, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, რა ჩემპიონატის სიძლიერეზე ლაპარაკობს ეს ხალხი.

„სიმურგში" ისევ ის ქართველობა (კახა ჩხეტიანი, დავით ბოლქვაძე, მიხეილ მახვილაძე, რომან ახალკაცი, გრიგოლ დოლიძე) თუ გამოირჩევა, თორემ სხვებისა რა გითხრათ...

*მ. ალავიძე, თ. ლონდაძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, ა. გილაური, ზ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი, დობროვოლსკი, გ. ჩხეტიანი, მიქუჩაძე, მეგრელაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ლომიძე, ჩიკვილაძე, კაკულია, გორდეზიანი, გ. ნუგ. ჭელიძე, სეთურიძე, ფიფია, სირბილაძე.*

ასეთი იყო „ოლიმპის" შემადგენლობა მეორე მატჩში, გოლები კი გუნდში მიბრუნებულმა გიორგი მეგრელაძემ, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ და თენგიზ ჩიკვილაძემ გაიტანეს.

ახლა „ოლიმპი" იმ ბრაზილიელებს ელის, რომლებმაც საქართველომდე ჯერაც ვერ ჩამოაღწიეს — ლაპარაკია „ატლეტიკო პარანაენსეს" ფეხბურთელებზე, რომლებიც გოჩა ალადაშვილის დახმარებით ჩამოდიან.

იქამდე კი, როგორც შევიტყვეთ, „ოლიმპის" დამფუძნებელთა კრება ჩატარდა, რომელსაც ბიზნესმენი ჯოზეფ კეიც დაესწრო, თუმცა ოფიციალურად ამ ამბავს რატომღაც არ ახმაურებენ.

ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ყველაფერს...

**ოთარ მხეიძე**

# დეკანოსიძე ფუტსალში?



**რუსთავის** „ოლიმპის" ყოფილი ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძე, შესაძლოა, ფუტსალში გადავიდეს.

ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაუდასტურებელია, თუმცა ის კი შევიტყვეთ, რომ გიორგი უკვე ვარჯიშობს ამ სახეობაში და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს ამბავი.

ჯერჯერობით, თავად დეკანოსიძე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს...

**ლუკა თალაკვაძე**

# ლუჭაშვილი დაშავდა...

**ლატვიის** ჩემპიონატის მე-15 ტურში ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა" 2:1 დაამარცხდა დავით გამეზარდაშვილის და ლადო დვალიშვილის „სკონტო".

მენთეშაშვილმა და გამეზარდაშვილმა 90-90 წუთი ითამაშეს, დვალიშვილი კი ბოლო 20 წუთი გაისარჯა.

„ვენტსპილსი" გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა, „სკონტო" კი მესამე საფეხურამდე დაქვეითდა.

თამაზ პერტიას გაწვრთნილმა „დინაბურგმა" კი 3:0 სძლია „დაუგავას". ირაკლი ქორთუა 54-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, ვასილ ლუჭაშვილი კი დაშავდა და მე-11 წუთზე შესაცვლელი გახდა...

**ოთარ მხეიძე**

# კოძუაშვილის მჯობნს ადამია გაახსენდა



**აზერბაიჯანულმა** „ხაზარლენქორანმა" ახალი მწვრთნელი დანიშნა და ეს არ გამოდგა რევაზ ძოძუაშვილი. ქართველი სპეციალისტი კანდიდატთა სიაში კი იყო, თუმცა ლენქორანელებმა არჩევანი აგასალიმ მირჯავადოვზე შეაჩერეს.

სწორედ ამ მწვრთნელის იდეაა გუნდში გიორგი ადამიას მიყვანა და მხარეებს შორის მოლაპარაკებაც უკვე დაიწყო.

ადამია თავის დროზე მირჯავადოვის „ნეფთჩიში" თამაშობდა...

როგორც ადრეც ვწერდით, „ბაქოს" ქართველ თავდამსხმელს ევროპაში გადასვლის შანსიც აქვს და ვნახოთ, რას უპასუხებს „ხაზარს"...

**კახა შალამბერიძე**

# აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ინფორმაცია

**აფხაზეთის** ფეხბურთის ფედერაცია სფფ-სთან შეთანხმებით, შპს „სანდორასთან" ერთობლივად ჰარებს „სანდორას" თასის გათამაშებას 1991-92 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობას ღებულობენ: აფხაზეთის ნაკრები, „ნორჩი დინამოელის", 35-ე სკოლის და თენგიზ სულაქველიძის აკადემიის ნაკრები გუნდები.

„სანდორას" თასის გათამაშება მიზნად ისახავს ფეხბურთის განვითარებას და მის პოპულარიზაციას, მოზარდების მოზიდვას და წახალისებას. პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევას პროფესიონალური საფეხბურთო კლუბებისთვის. გამარჯვებული გუნდების გამოვლენას.

თამაშებზე ვიწვევთ საქართველოს შესაბამისი ნაკრები გუნდების, საფეხბურთო კლუბების მწვრთნელებს და სპეციალისტებს.

**კალენდარი**

I ტური

ნ. დინამო — აფხაზეთი

აკადემია — 35-ე სკოლა

II ტური

აფხაზეთი — აკადემია

35-ე სკოლა — ნ. დინამო

III ტური

35-ე სკოლა — აფხაზეთი

ნ. დინამო — აკადემია



# ფაქტები და დასკვნები

თბილისი მილიონნახევრიანი ქალაქია.

ამდენივე ადამიანი ცხოვრობს სევილიაშიც, ოღონდ გარეუბნებიანად, უშუალოდ ქალაქში კი 700 ათასი მოსახლეა.

თბილისის უდიდესი სტადიონის („ეროვნული") ტევადობა 55 600 მაყურებელია.

სევილიაში სტადიონი 52 ათას მაყურებელს იტევს.

სევილიაში ორი დიდი გუნდია — „სევილია" და „ბეტისი", ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, თითოეულ მათგანს ნახევარი ქალაქი გულშემატკივრობს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, თბილისში გრანდიოზული აქცია ჩატარდა, რომელმაც სტადიონი მთლიანად გაავსო და რამდენიმე ათასი კაციც სარბენ ბილიკებზე და გარე პერიმეტრზე იმყოფებოდა. ანუ მთლიანობაში, 60 ათასი კაცი მაინც გამოდიოდა.

წინა ოთხშაბათს სევილიაში საპროტესტო აქცია ჩატარდა, რომელშიც ასევე 60 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ესპანეთის ჩემპიონატში „ბეტისის" ცუდ თამაშს აპროტესტებდნენ. ცუდ შედეგად კი გუნდის უეფას ევროპის ლიგაში ვერმოხვედრას თვლიდნენ.

კლუბის პრეზიდენტი სეზონის წინ ქომაგებს დაჰპირდა, ევროთასის საგზურს უცილობლად მოვიპოვებთო.

და დასკვნა?

თუ მაინცდამაინც დასკვნა გსურთ, თავად გამოიტანეთ. ჩვენ, უბრალოდ, ფაქტად მოგახსენეთ...

უგენიალურესი ფრაზა, რაც ქართული კლუბების გაჭირვების შესახებ მოგვისმენია, ასეთია: გუნდს შედეგი როგორ უნდა მოვთხოვო, ფეხბურთელებს პაპიროსის ფული არ აქვთო.

ეს ამბავი და, ზოგადადაც, ჩვენი გაჭირვებული ყოფა ერთმა სიუჟეტმა გამახსენა, ამ სამი დღის წინ ერთ-ერთ უცხოურ არხზე რომ ვნახე. ამერიკაში ჩემპიონატი ჩატარდა SMS-ების აკრეფის სისწრაფეში. მონაწილეებს ტექსტს ეუბნებოდნენ და ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ ვინც აკრეფდა მობილურზე, გამარჯვებულიც ის იყო.

ერთმა გოგომ მოიგო და ჯილდოდ 150 ათასი დოლარი მისცეს.

150 ათასი დოლარი ბევრ ჩვენს უმაღლესლიგელს არ აქვს წლიურ ბიუჯეტად.

და დასკვნა?

აი, აქ კი ნაღდად არ გირჩევთ დასკვნების გამოტანას...

**გიორგი დარჯანია**



# მგლები და ბაია გაერთიანდნენ



ბესიკ შეროზია

**კონტრაქტი** არ გაფორმებულა, თუმცა ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ორი ზუგდიდური კლუბი — „მგლები" და „ბაია" — გაერთიანდება.

„მგლებმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი უპრობლემოდ შეინარჩუნა, „ბაიას" კი პირველ ლიგაში „სამტრედიამ" აჯობა და კვლავაც უელიტოდ რჩებოდა, თუმცა...

წლების განმავლობაში იყო ამ გუნდების გაერთიანებაზე ლაპარაკი. საქმეც თითქოს დაძრული იყო, მაგრამ შეთანხმება არა და არ ჩანდა.

გასული სეზონიც დამოუკიდებლად დაიწყო ორივე გუნდმა, თუმცა მერე „ბაიას" ფინანსური პრობლემები შეექმნა, ალბათ ამანაც დააკარგვინა პირველი ლიგის დასავლეთ ზონის ლიდერობა და...

ერთი სიტყვით, ურიგო იდეა არ უნდა იყოს — ორ საშუალო დონის გუნდს ერთი ძლიერი გუნდი სჯობს, ქალაქიც უფეხბურთოდ არ რჩება და, იმედია, მომავალ სეზონში ზუგდიდელებს სერიოზული მიზნები ექნებათ.

გაერთიანებულ გუნდს ალბათ „ოდიში" ერქმევა და „მგლებისა" და „ბაიას" ფეხბურთელებით დაკომპლექტდება. თუმცა ისიც ითქვა, რომ გუნდი თავიდან „მგლები"-„ბაიას" სახელით ითამაშებს. მწვრთნელი კი ბესიკ შეროზია იქნება.

მართალია, ჯერჯერობით შემადგენლობა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა ამ ეტაპისთვის „მგლები"-„ბაიას" ბირთვი ასეთია:

*მეკარე:* *ზარქუა (ბაია);*

*მცველები:* *პაჭკორია (ბაია), კვეკვესკირი (ბაია), სვირავა (ბაია), ქვარცხავა (ბაია), აფაქიძე (ბაია), ჟვანია (ბაია), რ. ონიანი (მგლები), აქუბარდია (მგლები);*

*ნახევარმცველები:* *ქირია (ბაია), გუგუჩია (ბაია), ვართაგავა (ბაია), ნ. შონია (ბაია), სიხარულია (ბაია), წურწუმია (ბაია), გუჩუა (მგლები), გულორდავა (ბაია), დ. ქირია (მგლები), ჯოჯუა (მგლები);*

*თავდამსხმელები:* *კუტალია (ბაია), რაფავა (ბაია), გ. თოდუა (მგლები).*

**ლუკა თალაკვაძე**

# გაგრამ იპოდრომით დაიწყო და ზღვით გააგრძელა...

**15 ივნისს** „გაგრამ" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო.

გეცოდინებათ, უკრაინელი ვიქტორ კაშჩეის გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა, თუმცა ჯერაც კარგი შანსი აქვს, მომავალი სეზონიც ელიტაში გაატაროს.

მიზეზიც გეცოდინებათ: ფინანსურ-სალიცენზიო პრობლემების გამო რამდენიმე ქართულ კლუბს შეექმნა მოუგვარებელი პრობლემები და „გაგრასა" ამიტომ ეხსნება ხელფეხი.

15 ივნისს შეკრებილმა გუნდმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და მეორე დღიდან იპოდრომზე დაიწყო ვარჯიში.

ვიქტორ კაშჩეის და გოჩა ჩიქოვანს 24 ფეხბურთელი ჰყავთ, ამათგან რამდენიმე მოთამაშე გასინჯვაზეა.

„გაგრა" უკვე დატოვა უკრაინელმა მცველმა ვლადიმირ კოზლენკომ, თუმც მის ნაცვლად გუნდს ორი ახალი უკრაინელი შეუერთდება. ასევე ელიან ოთხ ნიგერიელ ფეხბურთელსაც — ოთხივე 18 წლისაა (მცველი, ორი ნახევარმცველი და თავდამსხმელი).

21 ივნისს „გაგრა" ურეკში გაემგზავრა პირველ შეკრებაზე. იქ 4 ივლისამდე დარჩება და სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

დაგეგმილია უცხოური შეკრების გავლაც და კლუბის ხელმძღვანელობა ახლა ამ საკითხზე მუშაობს...

ურეკში კი ეს ფეხბურთელები ემზადებიან: *თევდორაძე, კოტრიკაძე, გოგაური, გაბუნია, კალანდაძე, ტყეშელაშვილი, შარიქაძე, ცხადაია, გაბედავა, ოვონიკოკო, ლ. დეკანოსიძე, კილაძე, ფილია, ქირია, კვანტალიანი, პავლიაშვილი, თუხარელი, მოსიაშვილი, კუპრეიშვილი, ირაკლი და თორნიკე შალიკაშვილები.*

**ბახა შალამბერიძე**



www.fcgagra.ge

# ქართული მომენტების ევროპული ანალიზი

## ავთანდილ შალამბერიძე: ვფიქრობ, უკრაინას და რუსეთს დავასწრებთ



**თვენახევრის წინ საქართველოს უეფას ინსტრუქტორი, ავსტრიელი იოჰან პანტჩაი სტუმრობდა. მიზანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტისთვის რჩევების მიცემა და არსებული ვითარების გაცნობა გახლდათ.**

**საქმე ის არის, რომ ჩვენი ფედერაცია უეფას მსაჯთა კონვენციასთან მიერთებას ცდილობს და ეს გაცნობა-ინსტრუქტაჟიც კონვენციასთან მიერთების ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო.**

**უეფას ინსტრუქტორის სტუმრობის თაობაზე მაშინ ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძეს ვესაუბრეთ და მან ისიც გვითხრა, მაისის ბოლოს ავსტრიაში რომ მიდიოდა ფიფა-უეფას ინსტრუქტორთა გაერთიანებულ სემინარზე.**

**სემინარზე საქართველოს ფიფას არბიტრი ლევან ფანიაშვილიც წარმოადგენდა.**

**წინა კვირაში ავთანდილ შალამბერიძეს ისევ დავურეკეთ და სემინარის შედეგების გარდა, ფიფას ახალ ინიციატივაზეც — მატჩებზე ორი დამატებითი მსაჯის დანიშვნის თაობაზეც ველაპარაკეთ...**

— ძალიან საინტერესო და სასარგებლო სემინარი იყო. კონკრეტულ სათამაშო ეპიზოდებში მსაჯთა მოქმედებებს ვარჩევდით...

სემინარის ორგანიზატორებმა თითოეულ ქვეყანას ჩვენი ჩემპიონატების მატჩების მომენტების ჩანაწერები მოგვთხოვეს, რომლებზეც სადავო ეპიზოდებში მსაჯთა გადაწყვეტილებები იქნებოდა ნაჩვენები. სამი დღის განმავლობაში ამ ჩანაწერებს ვარჩევდით და ვწყვეტდით, სწორად შეაფასა მსაჯმა ესა თუ ის ეპიზოდი, თუ შეცდა...

ძალიან საინტერესო იყო პრაქტიკული მეცადინეობაც. რამდენიმე ფეხბურთელთან წინასწარ დამუშავებული ჰქონდათ სათამაშო ეპიზოდები და სთხოვეს, რომ მოედანზე გაეთამაშებინათ. ადგილობრივ მსაჯებს კი ამ ეპიზოდების შეფასება ევალებოდათ. მოედანზევე იყო მოძრავი კამერა, რომელიც ძალიან ახლო რაკურსით იღებდა ეპიზოდს. ჩვენ ტრიბუნიდან ვაფასებდით მსაჯის გადაწყვეტილების სისწორეს და შემდეგ ახლო რაკურსით გადაღებულ ჩანაწერზე ვამოწმებდით...

ინსტრუქტაჟს გამოცდილი მსაჯები — სტივ ბენეტი, ჰიუ დალასი, ვალენტინ ივანოვი და სხვები ატარებდნენ.

**— სემინარზე ლევან ფანიაშვილთან ერთად იყავით. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ფანიაშვილი მსაჯობას თავს ანებებს?**

— არა, მას ზღვრულ ასაკამდე კიდევ ორი წელი უკლია. სამაგიეროდ, როცა მსაჯობას თავს დაანებებს, უკვე ექნება ინსტრუქტორობის გამოცდილება.

**— თქვენ კლუბებს წერილები გაუგზავნეთ და მათი ინსტრუქტირება გსურთ...**

— სემინარზე ორნი ვიყავით და, ცხადია, მიღებული ინფორმაცია და გამოცდილება სხვებსაც უნდა გავუზიაროთ — მათ შორის, კლუბებს და მათ ფეხბურთელებს. ისინი უნდა იცნობდნენ ფიფას და უეფას ახალ ინსტრუქციებს.

ეს დიდი მოცულობის სამუშაოა და ორ კაცს მისი შესრულება გაგვიჭირდება. ამიტომ ახლა ჩვენი ინსტრუქტორების შეკრებას ვაწყობთ, ფიფა-უეფას სემინარზე მიღებულ ინფორმაციას გავუზიარებთ და შემდეგ ისინი რაიონებში წავლენ და ყველაფერ ამას კლუბებს გააცნობენ.

**— მსაჯთა კონვენციასთან მიერთების კუთხით არის რაიმე სიახლე?**

— ამ კონვენციის წევრები არ არიან, მაგალითად, რუსეთი და უკრაინა. ვფიქრობ, ჩვენ კონვენციას მათზე ადრე მივუერთდებით. გაისად თებერვალში ერთხელაც გვესტუმრება უეფას წარმომადგენელი და, სავარაუდოდ, გაზაფხულზე კონვენციის წევრები გავხდებით.

**— ერთხელაც გავიხსენოთ, რას აძლევს საქართველოს ამ კონვენციასთან მიერთება...**

— საფუძვლიანად მოწესრიგდება ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გამოგვიგზავნიან სპეციალურ საათებს, რათა მსაჯთა ტესტირების დროს ხელის წამზომები აღარ გამოვიყენოთ; მოგვცემენ ყურსასმენებს მსაჯებისთვის, ასევე სიგნალიან დროშებს, საათებს, რომლებიც წნევას და გულისცემასაც ზომავს, კომპიუტერებს. ეს ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებებია. მაგალითად, ყურსასმენის მხოლოდ ერთი კომპლექტი 5 300 ევრო ღირს.

**— ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უეფა ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს — მატჩებს ორი დამატებითი მსაჯი მოემსახურება, რომლებიც კარს უკან იდგებიან და უშუალოდ საჯარიმო მოედანს გააკონტროლებენ. ამ სიახლის თაობაზე რას გვეტყვით?**

— ორი დამატებითი მსაჯის დანიშვნა ფიფას ინიციატივაა და ამ სიახლის პრაქტიკაში შემოწმება იტალიის დაბალ ლიგებში იყო გადაწყვეტილი. მაგრამ მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ უეფა მზად არის, ექსპერიმენტი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაატაროს. ფიფა ამის წინააღმდეგი არ წასულა. ახლა პროექტის დეტალებს ამუშავებენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ეროვნულ ფედერაციებს მერე შეგვატყობინებენ.

**— ანუ ამ წუთისთვის არ იცით, ვთქვათ, „ზესტაფონის" მატჩზე რამდენი მსაჯი ჩამოვა?**

— ჯერ არა. სავარაუდოდ, წილისყრა რომ ჩატარდება (22 ივნისს) და მსაჯთა ბრიგადების დაკომპლექტებას დაიწყებენ, საბოლოო პასუხსაც მაშინ იტყვიან.

**გიორგი დარჯანია**

# უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბთა საყურადღებოდ!

**ფიფას,** უეფას, სფფ-ის და პფლ-ის მოთხოვნათა შესაბამისად, გთავაზობთ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შევარჩიოთ დრო და ადგილი, რათა სფფ-ის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა ინსტრუქტორებთან ერთად, ახალი სეზონის დაწყებამდე განვიხილოთ სიახლეები ფეხბურთის თამაშის წესებში: თამაშგარე მდგომარეობა, ხელით თამაში, სიმულაცია, წითელი და ყვითელი ბარათები, ორთაბრძოლები, ჯარიმა და ასე შემდეგ.

*სფფ-ის პრესცენტრი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



**წინა კვირაში თბილისში ბრაზილიელი რენატო ლოპესი იმყოფებოდა, ვინც ფეხბურთელობისას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გამხდარა ფუტსალში, ახლა კი საფეხბურთო სკოლები აქვს სამშობლოში. საქართველოში მისი მასპინძელი სპორტული მენეჯმენტის კომპანია SBM-ი და ფუტსალში ქვეყნის ჩემპიონი „იბერია 2003" იყვნენ. სტუმართან საუბრისას თარჯიმნობას ძველი ფუტსალელი, პორტუგალიურის საუკეთესოდ მცოდნე ბესიკ ზოიძე გვიწევდა...**



# ჩამოდით, დააკვირდით, ისწავლეთ!

## რენატო ლოპესი — კაცი ფეხბურთელთა ინკუბატორიდან

— რენატო, მოდი, თქვენი საფეხბურთო ბიოგრაფიით დავიწყოთ...

— როგორც ყველა ბრაზილიელი ბავშვი, 5 წლისა ფუტსალზე შემიყვანეს და საბოლოოდ, ფუტსალშივე დავრჩი. პროფესიული კარიერა პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალში" დავიწყე. მერე იტალიაში წავედი. 4 წელი „ვერონაში" ვითამაშე, 2 წელი — „ლაციოში". ამ გუნდთან ერთად ორჯერ იტალიის თასიც მოვიგე. „ინტერნასიონალში" კი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონიც გავხდი. 1997 წელს საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში „ბარსელონა" დავამარცხეთ...

ჩემი ცოლიც, დუდა, ყოფილი ფეხბურთელია, ბრაზილიის დიდ ნაკრებში თამაშობდა. ახლა ბრაზილიაში 11 საფეხბურთო სკოლა გვაქვს.

**— თქვით, რომ ყველა ბრაზილიელი ბავშვი 5 წლისა ფუტსალზე შეჰყავთ. ალბათ, გინდოდათ გეთქვათ, ბევრი ბავშვიო...**

— ბევრი არა, ყველა! ეს რეალიგაისავითაა. როგორც ეკლესიაში დაჰყავთ მშობლებს ბავშვები, ასევე 5-6 წლის ასაკიდან ფეხბურთზეც შეჰყავთ.

**— კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი? ბრაზილიელებს ამ სახეობებშიც გყავთ ძლიერი სპორტსმენები...**

— ჩოგბურთში გუგა კუერტენის მერე გამორჩეული აღარავინ გვყოლია, თუმცა ამას არ აქვს მნიშვნელობა. ფაქტია, რომ ყველა ფეხბურთით, უფრო სწორად, ფუტსალით იწყებს და მერე თუ ვინმეს სხვა სახეობაში აღმოაჩნდა განსაკუთრებული ნიჭი, იმას მიჰყვება.

**— რატომ მაინცდამაინც ფუტსალი?**

— იმიტომ, რომ ეს ფეხბურთის საფუძველია. აქ სწავლობს ბავშვი ბურთის ფლობას. ასეთ ფაქტს გეტყვით: ფუტსალის ვარჯიშის დროს მოთამაშე 50-ჯერ და მეტჯერ ეხება ბურთს, ვიდრე დიდ ფეხბურთში. ფუტსალში გამუდმებით უნდა იმოძრაო, პასის ხაზი ეძებო. სხვათა შორის, ამ კომპონენტებით ფუტსალი ძალიან ჰგავს კალათბურთს. ისე, დააკვირდით, „ბარსელონა" ზუსტად ისე თამაშობს, როგორც ფუტსალს მოეთხოვება.

**— 11 ბავშვთა სკოლა გაქვთ და თქვენთანაც ისეთ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მწვრთნელები ფიზიკურ მომზადებას, როგორც საქართველოში?**

— რას ამბობთ, პატარა ბავშვისთვის დიდი ფიზიკური დატვირთვა როგორ შეიძლება?! თავიდან მან ბურთის ფლობა უნდა ისწავლოს, თამაშით გაერთოს.

**— ერთ ქართულ სენზეც გეტყვით: თუკი ბავშვმა ცუდად ითამაშა და წააგო, მშობლები ამას ტრაგედიად აღიქვამენ და შვილებს ხშირად ეჩხუბებიან...**

— ჩვენს სკოლებში ფსიქოლოგებიც გვყავს, რომლებიც კვირაში სამჯერ მშობლებთან საუბრობენ...

**— მშობლებთან თუ ბავშვებთან?**

— არა, მშობლებთან, რადგან თუ ბავშვს ოჯახში მოუგვარებელი პრობლემები აქვს, გაუჭირდება. ამიტომ ჩვენი ფსიქოლოგები მშობლებს არიგებენ, თუ როგორ უნდა მოექცნენ შვილებს.

**— ეს პირადად თქვენი სკოლების წესია თუ ყველა სკოლაში ასეა?**

— სტანდარტები ყველა სკოლას ერთნაირი აქვს.

**— ეგებ, ამ სტანდარტებზე უფრო დეტალურად მოგვიყვეთ...**

— ყველაფრის მოყოლა შეუძლებელია და აზრი არც აქვს. უნდა ჩამოხვიდეთ, დააკვირდეთ და ისწავლოთ. ამის გარეშე ბავშვთა სპორტული აღზრდის საიდუმლოს ვერ ჩაწვდებით.

**— და ამ დაკვირვებით ბრაზილიური ფეხბურთის საიდუმლოსაც ამოვხსნით?**

— როგორც გითხარით, ბავშვთა წვრთნის პროცესს საკუთარი თვალით უნდა დააკვირდეთ, ზოგადად ბრაზილიური ფეხბურთის საიდუმლოს კი გაგიმხელთ — 5-6 წლიდან ფუტსალზე რომ არ დადიოდნენ, ასეთი დონის ფეხბურთს ვერ ითამაშებდნენ.

**— სახელმწიფო რამდენად ეხმარება ფეხბურთს?**

— სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარება არც გვაქვს, რადგან არ გვჭირდება. ბრაზილიაში ფეხბურთი ბიზნესია. ფეხბურთელები ჩვენი საექსპორტო საქონელია. მათ ბავშვობიდან იციან, რომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის საუკეთესო ვარიანტი ფეხბურთელობაა. თანაც ბრაზილიური ფეხბურთისადმი უდიდესი დაინტერესების გამო ფეხბურთის ფედერაციას სპონსორები არ აკლია. თუნდაც „ნაიკი" და „მაკდონალდსი" ავიღოთ.

**— თქვენი სკოლის აღზრდილებზე როგორი მოთხოვნაა?**

— ათ წელიწადში ორასზე მეტი ფეხბურთელი გავყიდეთ.

**— მათგან თუ არის ვინმე ისეთი, ჩვენც რომ ვიცნობთ?**

— ბარსელონელი დანიელ ალვეში. ახლახანს ჩამოსულიც იყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რომ ჰქონდა ნაკრებს. სხვათა შორის, ალვეშს პატარა ძმა ჰყავს, რომელიც ასევე ჩვენს სკოლაში დადის.

ჩვენი აღზრდილები არიან მარკინიო და გაბრიელიც, რომლებიც ფუტსალის ვარსკვლავები არიან.

**— ნაკრები და შესარჩევი ციკლი ახსენეთ. ალბათ, გაგიხარდათ, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი დიეგო მარადონა რომ გახდა — უკვე ორი თამაში წააგო...**

— მე პორტუ ალეგრეში ვცხოვრობ, საიდანაც არგენტინის საზღვარი 30 კილომეტრშია და არგენტინელებთან და მათ ფეხბურთთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. მარადონას დანიშვნას რაც შეეხება, შეცდომად მიმაჩნია, რაკი მას ნაკრების მწვრთნელობამდე მისასვლელად საჭირო საფეხურები არ გაუვლია. აი, მაგალითად, დუნგა — სანამ ბრაზილიის ნაკრებში მოვიდოდა, ექვსი წელი სწავლობდა და პრაქტიკას გადიოდა. საერთოდ კი, არგენტინულ ფეხბურთს ძალიან ვაფასებ. ვთვლი, რომ ბრაზილიას საუკეთესო შეტევა აქვს, არგენტინას კი — საუკეთესო დაცვა. ეს ბუნებრივიცაა, რაკი ბევრი არგენტინელი იტალიაში თამაშობს, სადაც დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საუკეთესო სამწვრთნელო სკოლა კი ჰოლანდიური მგონია. ბრაზილიაში ძალიან ბევრი ჰოლანდიელი მუშაობს.

**— რატომ დაინტერესდით ჩვენი ქვეყნით?**

— ჩემთვის ეს ახალი გამოწვევაა და სიახლე ყოველთვის საინტერესოა.

**— ჩამოსვლამდე ქართულ ფეხბურთზე თუ იცოდით რამე?**

— ცხადია, ვიცი კახა კალაძე.

**— ის თუ იცით, საქართველოს სახელით ბრაზილიელი პლაყის ფრენბურთელები რომ თამაშობენ?**

— ისიც კი ვიცი, პეკინის ოლიმპიადაზე ნახევარფინალში რომ გავიდნენ...

**კოტე კიკელია**




ბრაზილია: ფეხბურთელების სამჭედლო




დანი ალვეში: რენატო ლოპესის სკოლაში აღზრდილი ბრაზილიელი ვარსკვლავი



დუდა: რენატო ლოპესის მეუღლე

# შინაური კაცი

## ოთარ გაბელიამ ახალგაზრდები ჩაიბარა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა კახა ცხადაძის ბაქოს „ინტერში“ გადასვლიდან უმოკლეს ვადაში დანიშნა ახალგაზრდული ნაკრების ახალი მწვრთნელი. ამიერიდან გუნდს ოთარ გაბელია ჩაუდგება სათავეში, ვინც აქამდე ცხადაძის თანაშემწე გახლდათ. ეტყობა, ფედერაციამ მაინც ნაკრების შიდა სამზარეულოში ჩახედული კაცი აარჩია, რადგან ევრო 2011-ის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ბევრი დროც არ რჩება და „გარედან“ მოყვანილ კაცსაც ვითარებაში სწრაფად გარკვევა გაუჭირდებოდა. მოკლედ, თითქმის სამწლიანი პაუზის შემდეგ გაბელია მთავარმწვრთნელობას ახალგაზრდულ ნაკრებში უბრუნდება. 21-წლამდელთა ახალმა თავკაცმა დანიშვნისთანავე პრესკონფერენცია მოაწყო და ჩვენც მის ნაუბარს მონოლოგის სახით გთავაზობთ...

— თავიდან მინდა ვთქვა, რომ კახა ცხადაძის წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მან საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა გუნდში, უამრავი ფეხბურთელი გასინჯა და, ფაქტობრივად, საბოლოოდ ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა. იმ გუნდს, რომელიც ევრო 2011-ის შესარჩევ ციკლში ითამაშებს, ჩვენ სწორედ ამ შემადგენლობიდან შევარჩევთ...

...სამწვრთნელო შტაბს უცვლელად დავტოვებთ: დავით გვარამაძე, ზაურ სვანაძე და გელა ინალიშვილი ჩემთან ერთად გააგრძელებენ მუშაობას. მათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტები აკავშირებთ...

...უახლოესი მატჩი აგვისტოში გველის — ლიტვას ამხანაგურად ვეთამაშებით. ხოლო რა გეგმით გავაგრძელებთ მუშაობას იქამდე, ეს ნაკრები გუნდებისა და ფედერაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა...

...მიუხედავად იმისა, რომ გაფართოებული სია თითქმის შედგენილია, ახალი ფეხბურთელების ძებნას მაინც არ შევწყვეტთ. ნაკრებში მხოლოდ საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ და ჩვენც შანსს ყველას მივცემთ...

**კახა შალამბერიძე**

*აქვე გავიხსენოთ, რომ ოთარ გაბელიას 1990 წლიდან 2006 წლამდე ცხრა ქართული გუნდი გაუწვრთნია: ზუგდიდის „ოდიში“, გურჯაანის „ალაზანი“, მარნეულის „ალგეთი“, ყვარლის „დურუჯი“, თსუ, თბილისის „მერანი 91“, ბოლნისის „სიონი“, ქუთაისის „ტორპედო“ და „ბათუმი“.*

*ბოლო სეზონში კი ცოტა ხნით „ბორჯომის“ კონსულტანტადაც იმუშავა...*



# ასეთი ცუდი შედეგი ნაკრების არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან რევაზ არველაძესთან ინტერვიუ „ფონდი არველაძეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა... სფფ-ის მაღალჩინოსანი რამდენიმე საინტერესო საკითხს შეეხო და მათ შორის, ცხადია, სანაკრებოსაც...

**— რას იტყვით საქართველოს ეროვნული ნაკრების ბოლო ორ თამაშზე?**

— ალბანეთში არ ვყოფილვარ და ტირანადან არც მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია იყო, რის გამოც ალბანეთთან მატჩზე საუბარს მოვერიდები. რაც შეეხება მოლდოვასთან შეხვედრას, ჩვენი ნაკრების ძალიან ცუდი თამაში ვნახეთ. ფედერაციის ხელმძღვანელობას ნაკრების მწვრთნელ ჰექტორ რაულ კუპერთან გვსურს შეხვედრა და ეს დღე-დღეზე მოხდება. კუპერის შეხედულებებში უკვე მკვეთრი პოზიციები გამოჩნდა. ამასწინათ ჩვენს პრესაში მასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა და ყოველივე ეს ამ ინტერვიუშიც გამოსჭვიოდა.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ არგენტინელი მწვრთნელის მკვეთრ შეხედულებებში?**

— შესაძლოა, კუპერმა ფეხბურთელთა დიდი ნაწილი არ გამოიყენოს და გვაინტერესებს, როგორ ესახება გუნდის დაკომპლექტების საკითხი. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ კუპერი სუსტი მწვრთნელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მის გაწვრთნილ გუნდს შედეგი არ აქვს. შესარჩევ ეტაპზე დაგროვილ ქულებს თუ გავითვალისწინებთ, თუ არ ვცდები, ასეთი ცუდი შედეგი საქართველოს ნაკრების არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონია.

**— კუპერის ინტერვიუში ისიც გაირკვა, რომ არ აქვს სრული ინფორმაცია ქართველ ლეგიონერებზე. რა არის ამის მიზეზი?**

— კუპერის საქმიანობაში ფეხბურთის ფედერაცია ვერ ჩაერევა. თუ ის მოიკითხავს ინფორმაციას, დახმარებაზე უარს არავინ ეტყვის. გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი, ალეკო ამისულაშვილი, გიორგი ადამია... ვფიქრობ, არიან ნაკრებისთვის საინტერესო ისეთი ლეგიონერები, კუპერს ჯერ რომ არ უნახავს.

**— ფედერაცია მწვრთნელთა საბჭოს შექმნას აპირებდა. რატომ დამუხრუჭდა ამ იდეის განხორციელება?**

— ჯერ კარგად უნდა განისაზღვროს, რა ფუნქციები ექნება ამ საბჭოს. საბჭო მწვრთნელს გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს, თუმცა ინფორმაციულ საკითხებში შეუძლია ნაკრების მწვრთნელის დახმარება. მთავარი კი ალბათ ის არის, რომ ნაკრების მწვრთნელს საბჭოს წევრების უნდა სჯეროდეს — თუ საბჭო შეიქმნება, ასეთი უნდა იყოს.

**— „ფონდი არველაძეს“ სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?**

— ამსტერდამის ტურნირზე ჩვენმა „ჯორჯიამ“ რომ ითამაშა, ამ გუნდისთვის სელექცია რეგიონებშიც უნდა დავიწყოთ. ზამთარში კი დაგეგმილი გვაქვს უცხოური შეკრება „ჯორჯიასთვის“. გაისად ეს გუნდი კვლავ ითამაშებს ამსტერდამის ტურნირში, სექტემბრიდან კი უკვე სისტემატურ ვარჯიშებზე გადავა — კვირაში ორჯერ შეიკრიბება წვრთნის ჩასატარებლად.

# A ლიცენზია და გრასრუტი



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია უეფას A ლიცენზიის კონვენციას და გრასრუტის ქარტიას შეუერთდა. ამის წყალობით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სფფ 800 ათას ევროს მიიღებს.

მწვრთნელთა განათლების დირექტორი გაიოზ დარსაძე: „ამიერიდან საქართველოში A ლიცენზიის კურსდამთავრებული მწვრთნელი შესაბამის დიპლომს მიიღებს. ამ დიპლომის მქონე მწვრთნელს ყველა იმ ქვეყანაში შეეძლება მუშაობა, რომელიც უეფას კონვენციის წევრია...

გარდა ამისა, საქართველო გახდა გრასრუტის ქარტიის წევრი, რომლის მიზანიც ფეხბურთის მასობრიობაა“.

და ერთიც: დაარსდა საქართველოს მწვრთნელთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც გაიოზ დარსაძე იქნება. ასოციაცია ქართველ მწვრთნელთა პრესტიჟს და უფლებებს დაიცავს, რათა ისინი კონტრაქტის მოულოდნელი გაწყვეტისგან დაიცვას.

**კახა შალამბერიძე**

# დევდარიანმა გუნდი შეკრიბა



გიორგი დევდარიანი

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შემოდგომიდან ჩაერთვება, იქამდე კი მოსამზადებელ ეტაპს გაივლის და მორიგი ასეთი შეკრება 17 ივნისს დაიწყო.

გიორგი დევდარიანის გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ დაბინავდა, სავარჯიშოდ კი საგურამოს ბაზაზე დადის.

მწვრთნელს 25 ფეხბურთელი ჰყავს გამოძახებული, თუმცა არ არის გამორიცხული, შეკრების მიმდინარეობისას შემადგენლობაში ცვლილებები კიდევ განახორციელოს.

დევდარიანმა ეს ფეხბურთელები გამოიძახა:

*მეკარეები: ლევაშვილი (ნორჩი დინამო), ცინცაძე (ნორჩი დინამო);*

*მცველები: ხარაბაძე (ტორპედო), მაჭავარიანი (საბურთალო), დოლიძე (საბურთალო), დრიაევი (გორი), გაგნიძე (ნორჩი დინამო), ივანაიძე (ბათუმი), ამისულაშვილი (კახეთი), ჩხეიძე (რენი, საფრანგეთი), ესებუა (ჩერნომორეცი, უკრაინა), არველაძე (დნეპრი, უკრაინა);*

*ნახევარმცველები: ყაზაიშვილი (საბურთალო), ფარუნაშვილი (საბურთალო), რეხვიაშვილი (საბურთალო), ხოჭოლავა (საბურთალო), მოგელაძე (დინამო), ხუციშვილი (დინამო), ხუბუა (ზუგდიდი), ზარნაძე (ოლიმპიკი);*

*თავდამსხმელები: კოშაძე (ამერი), სამუშია (ბაია), ხარლამოვი (ოლიმპი), ხოჯაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ჭანტურია (ბარსელონა, ესპანეთი).*

**კახა შალამბერიძე**



# გელით ჩვენს ოჯახში

14 ივნისს „დნიპროს" ფორვარდი ბექა გოცირიძე თბილისთან ახლოს ავარიაში მოხვდა. ბექა დროულად გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს და ელენთა ამოაჭრეს.

ამჟამად მის სიცოცხლეს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

რამდენიმე დღეში ბექას საავადმყოფოდან გამოწერენ და სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ ის შეძლებს ფეხბურთში დაბრუნებას.

მალე გამოჯანმრთელდი, ბექა! მოუთმენლად გელოდებით ჩვენს ოჯახში!

*„დნიპროს" პრესსამსახური*

# ორი სურვილი გოცირიძისთვის



**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და უკრაინული „დნიპროს" თავდამსხმელ ბექა გოცირიძისთვის ახლა თუ ვინმეს რაიმე სურვილი აქვს, პირველ რიგში, ეს მალე გამოჯანმრთელება და მოედანზე დაბრუნებაა. 20 წლის ფეხბურთელი ჯერაც საავადმყოფოში წევს და დღე-დღეზე გაწერენ სახლში. ბექას მდგომარეობა უკვე სტაბილურია, სიცოცხლისთვის საშიში აღარაფერი ემუქრება და ახლა სარეაბილიტაციო პერიოდის შეუფერხებლად გავლაა საჭირო. ექიმები ჯერჯერობით ზუსტად ვერ ამბობენ, როდის შეძლებს გოცირიძე ვარჯიშის დაწყებას, თუმცა ამ ეტაპზე ეს მაინც ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარი ის არის, რომ ბექა ცოცხალია და აღარაფერი ემუქრება. რამდენად საჭირო ორგანოა ადამიანისთვის ელენთა? ვფიქრობთ, ამ კითხვამ ბოლო დღეების განმავლობაში უამრავი გულშემატკივარი შეაწუხა. ბუნებრივია, დავინტერესდით ჩვენც და, მცოდნე ხალხში გაკითხვ-გამოკითხვის შემდეგ ასპროცენტიანი პასუხი მაინც ვერ მივიღეთ. თურმე არის შანსი, რომ ელენთას ფუნქციები სხვა ორგანოებმა გადაინაწილონ და ასეთ შემთხვევაში ადამიანი დანაკარგს ვეღარ იგრძნობს, ოღონდ ამას გარკვეული დრო და სიფრთხილე სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, მთლად უიმედოდ არ უნდა ვიყოთ და ვგებ ბექასთვისაც მალე დამთავრდეს ეს ტანჯვა.

**ბექა, ჩვენ გვჯერა, რომ შენ მალე დაბრუნდები და ისევ გაიტან გოლებს!**



# მზადება მხოლოდ კობახიძით დაიწყო

**დნეპროპეტროვსკის** „დნიპრომ" ახალი სეზონისთვის მზადება საკუთარ ბაზაზე დაიწყო.

გუნდთან ერთად მხოლოდ ერთი ჩვენიანი ვარჯიშობს — სანდრო კობახიძე.

რაც შეეხება ახალგამოჯანმრთელებულ ჯაბა კანკავას, ექიმებმა ინდივიდუალური პროგრამა შეუდგინეს და ისიც ცალკე ემზადება. ბექა გოცირიძის ამბავი კი ყველას გეცოდინებათ...

როგორც შევიტყვეთ, მალე კანკავა გუნდსაც შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ჯაბასთვის გასული სეზონი ძალიან რთული გამოდგა — ჯერ მხრის ოპერაცია გაიკეთა, მერე კი კოჭის.

იმედია, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ამ უიღბლობას წარსულს ჩააბარებს და ძველებურ ფორმასაც აღიდგენს.

**ქახა ზალამბერიძე**

# ბეროშვილისთვის დნიპრო დასრულდა



**დნეპროპეტროვსკის** „დნიპრომ" აღარ გაუგრძელა კონტრაქტი ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველ ბექა ბეროშვილს.

ეს განცხადება „დნიპროს" სარეზერვო გუნდის მწვრთნელმა ვლადიმირ გორილიმ გააკეთა და ამგვარად, ბეროშვილს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

19 წლის ქართველი ფეხბურთელი „დნიპროს" სარეზერვო გუნდში თბილისის „ოლიმპიკიდან" გადავიდა და გასულ სეზონში 13 მატჩი ჩაატარა.

**ქახა ზალამბერიძე**

# ელენთა










**ელენთა**, ადამიანისა და ხერხემლიან ცხოველთა (უყბოებისა და ზოგი ორგავარადმსუნთქავი თევზის გარდა) მუცლის ღრუს კენტი ორგანოა, რომელიც ჩართულია სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის სისტემაში. ელენთის მთავარ მასას შეადგენს რეტიკულური ქსოვილი, რომლის უჯრედებიდან ვითარდება სისხლის უჯრედები — ჰემოციტები.

უმდაბლეს ხერხემლიანებს და უმაღლესი ხერხემლიანების ემბრიონებს ელენთაში ყველა სახის ჰემოციტი წარმოექმნებათ. ამ ფუნქციას ზოგი უმაღლესი ხერხემლიანის ელენთა პოსტემბრიონულ პერიოდშიც ინარჩუნებს. უმეტესად კი მასში მხოლოდ უმარცვლო ლეიკოციტები (უმთავრესად ლიმფოციტები) წარმოიქმნება. გარკვეულ პირობებში ერითროციტებისა და გრანულოციტების წარმოქმნის უნარი შენარჩუნებული აქვს ადამიანის და ზოგი ძუძუმწოვრის (კატა, ძაღლი) ელენთასაც.

ელენთას დაცვითი ფუნქცია მისი უჯრედების მიერ ანტისხეულების წარმოქმნა და დაშლილი ერითროციტებისა და სისხლში მოხვედრილი მიკროორგანიზმების ფაგოციტოზია. ელენთა მნიშვნელოვანი „სისხლის დეპოა" — მასში გროვდება სისხლის მარაგი, რომელიც ზოგ შემთხვევაში (სისხლდენა, ტკივილი, ფიზიკური დატვირთვა და ა. შ.) ელენთის შეკუმშვის შედეგად სისხლძარღვებში გადადის, შესაბამისად, საგრძნობლად იცვლება ელენთის მოცულობაც (ეს თვისება განსაკუთრებით გამოხატული აქვთ ჩლიქოსნებსა და მტაცებლებს, რომელთა ელენთის გარსში კარგადაა განვითარებული კუნთები). ელენთაში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები ცხიმოვანი მჟავებისა და ნაწილობრივ ამინომჟავების ცვლასთანაა დაკავშირებული.

ადამიანის ელენთა წაგრძელებული ოვალური ფორმისაა, ზემო გარეთა ზედაპირი გამოღრეკილია, ქვემო შიგნითა — შედრეკილი. ქვემო ზედაპირზე ღარია (ელენთის კარი), რომლითაც ელენთაში სისხლძარღვები და ნერვები შედის. მოზრდილი ადამიანის ელენთის წონაა 150-200 გრამი, სიგრძე — 12 სანტიმეტრი, სიგანე — 7-8 სანტიმეტრი. ელენთა მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში მდებარეობს. ზოგიერთი დაავადების დროს (მალარია, შებრუნებითი ტიფი, ანემია და სხვა) ელენთა გადიდებულია. გარედან ელენთა დაფარულია მუცლის სეროზული გარსით — პერიტონეუმით, რომელიც გადადის შუამგიდეზე და კუჭზე და ელენთის დამაფიქსირებელ იოგებს ქმნის. პერიტონეუმის ქვეშ კუნთოვანი და ელასტიური ბოჭკოების შემცველი შემაერთებელქსოვილოვანი გარსია, მას ფიბროზული კაფსულა ეწოდება. კაფსულა სიღრმეში გრძელდება ხარიხებად, რომლებიც ელენთას წილაკებად ყოფს. ხარიხებს შორის შუალედი ამოვსებულია რეტიკულური ქსოვილით, რომელშიც დიდი რაოდენობითაა ლიმფოციტები და ერითროციტები (წითელი პულპა). ცალკეული უბნები, სადაც ლიმფოციტების ინტენსიური წარმოქმნა ხდება (ლიმფური ფოლიკული), ერითროციტებს არ შეიცავს და თეთრ პულპას შეადგენს.

სამკურნალო მიზნით ელენთის ამოცლა ან თანდაყოლილი უქონლობა ლიმფური კვანძების მოქმედებით კომპენსირდება.



ოთარ მარცვალაძე



სანდრო იაშვილი

# ქართველებს რუსეთის ვიზები ელირსათ

## ხოჯავას მყესი დაეჭიმა

**მახაჩყალის** „ანჟიმ" პირველი მარცხი იწვნია რუსეთის პირველ დივიზიონში.

დაღესტნელებმა სტუმრად 1:2 წააგეს „სიბირთან" და ამ მატჩში კიდევ ორი უსიამოვნო ამბავი შეემთხვათ — 31-ე წუთზე ედიკ სადჟაიამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, 39-ე წუთზე კი გოჩა ხოჯავამ მყესი დაიჭიმა და შესაცვლელი გახდა.

ჯერჯერობით ზუსტად ვერ ამბობენ, რამდენი ხანი გაუცდება ქართველ ნახევარმცველს.

„სიბირთან" სრულად ითამაშეს კახა ალადაშვილმა და ედიკ სადჟაიამ.

და რაც შეეხებათ „ანჟის" კიდევ ორ ქართველს — ოთარ მარცვალაძეს და სანდრო იაშვილს, მათ რუსეთის ვიზები, როგორც იქნა, მიიღეს და 18 ივნისს შეუერთდნენ გუნდს.

მარცვალაძე და იაშვილი იანვარში გადავიდნენ „ანჟიში", მაგრამ აქამდე ქვეყანაში შესვლის უფლება არ ჰქონდათ და საქართველოში ვარჯიშობდნენ. ახლა კი მათ უთამაშებლობას ბოლო მოეღო და ამან ძალიან გაახარა მახაჩყალელთა თავკაცი ომარ თეთრაძე.

კახა შალამბერიძე

# ლვინიანიძე მიუნხენიდან საბუთით გამოუშვეს

**გერმანული** „მიუნხენ 1860"-ის ქართველი მცველი მათე ლვინიანიძე ახლა შვებულებაშია.

გეხსომებათ, მათეს რამდენიმე დღის წინ უსიამოვნო ამბავი შეემთხვა — მავანი გერმანელი გოგონა გაუპატიურებაში სდებდა ბრალს, თუმცა სასამართლომ ქართველი ფეხბურთელი გაამართლა და თან საგანგებო საბუთიც გადასცა, რომელშიც შავით თეთრზე სწერია მისი უდანაშაულობა.

ლვინიანიძე 25 ივნისს ჩავა მიუნხენში და გუნდთან ერთად საახალსეზონო მზადებასაც დაიწყებს.

ოთარ მხეიძე

# ციმაკურიძე რჩება, მოდებაძე ვნახოთ...

**ლუგანსკის** „ზარიამ" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და გუნდთან ერთად ვარჯიშობს ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძეც.

უკრაინული სააგენტოების ცნობით, ციმაკურიძის „ზარიაში" დარჩენა 99 პროცენტით გადაწყვეტილია.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი „ზარიამ" ძლივს ჩაამთავრა — ფინანსური პრობლემები მიეძალა და ფეხბურთელებსაც გაქცევაზე ეჭირათ თვალი, თუმცა როგორც ჩანს, ვითარება შედარებით გამოსწორდა.

და ერთიც: „ზარიაში" ისინჯება თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე, ვინც ბოლოს ოდესის „ჩერნომორეცში" იყო...

კახა შალამბერიძე



ირაკლი მოდებაძე

# ლივერპულის ახალი შეთავაზება

## კალაძემ პირველი გამოცდა ჩააბარა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველმა კახა კალაძემ 14 კვირის წინ გაიკეთა მუხლზე ოპერაცია და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სარეაბილიტაციო პერიოდმა წარმატებით ჩაიარა.

რამდენიმე დღის წინ კახამ ტრენაჟორებზე ვარჯიში დაასრულა და მოედანზე გადაინაცვლა. ამ პროცესს დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს „მილანის" ექიმები და საბედნიეროდ, კალაძის მუხლმა დატვირთვას უპრობლემოდ გაუძლო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს უკვე თავისუფლად შეუძლია სირბილი და ტესტებიც ჩააბარა.

ახლა ის პირველი სეზონისწინა შეკრებისთვის ემზადება, თუმცა...

ისევ ისმის კითხვა: რომელ გუნდში გაივლის კალაძე ამ შეკრებას?

მართალია, სილვიო ბერლუსკონი ქართველ ფეხბურთელს არსად უშვებს, თუმცა „ლივერპულმა" უკვე ახალი შეთავაზება გაამზადა — 7 მილიონი გირვანქა კალაძის სანაცვლოდ.



კახა კალაძემ ძველი მეგობარი უკანასკნელ გზაზე გააცილა...

აქამდე „მილანმა" კალაძის შეძენაზე „ჩელსის" უთხრა უარი და ვნახოთ, რა პასუხს გასცემს „ლივერპულს".

და ერთიც: სანამ ეს დავიდარაბა გაირკვეოდეს, კახა კალაძე უკრაინაში ჩავიდა — უკრაინის ჭიდაობის ასოციაციის პრეზიდენტ ვლადიმირ კისელის დაკრძალვაზე.

ჩვენებურის დანახვისას უკრაინელი ჟურნალისტები უმალ დაფაცურდნენ, თუმცა კახამ კომენტარის გაკეთება არ ისურვა და ასე დატოვა იქაურობა...

კახა შალამბერიძე

# რუსები ქართველ მესისაც გვართმევენ?

## ანანიძე სპარტაკის მთავარ გუნდში გადაიყვანეს



**მოსკოვის** „სპარტაკის" თავკაცმა ვალერი კარპინმა 16 წლის ქართველი ნახევარმცველი ჯანო ანანიძე მთავარ გუნდში გადაიყვანა!

ქობულეთში დაბადებულ-გაზრდილი ანანიძე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერია და „სპარტაკის" დუბლებში კიევის „დინამოდან" მოხვდა.

სამწუხაროდ, რუსეთში უკვე დაიწყო მისთვის მოქალაქეობის მიცემის აუცილებლობაზე ლაპარაკი და ამ საქმეს გაგრძელება აუცილებლად ექნება, მაგრამ იმედია, ყველაფერი საჩვენოდ დასრულდება.

ანანიძე უნიჭიერესი ფეხბურთელია და უფროსი ასაკის ბიჭებშიც კი არ თმობს პოზიციებს.

რუსებმა მეტსახელიც უკვე მოუფიქრეს — ქართველი მესი.

ანანიძეს ახლა სავიზო პრობლემებს უგვარებენ და მალე ავსტრიაში წაიყვანენ შეკრებაზე.

ძალიან არ გვინდა, ეს ბიჭი საქართველოსთვის დაიკარგოს, მით უმეტეს, ამის პრეცედენტები ბოლო ხანს მრავლად გვაქვს და იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დროულად მოკიდებს საქმეს ხელს.

კახა შალამბერიძე

# ახალკაცი ახალი კაცია

**საქართველოში** შეკრებაზე მყოფმა ზაქათალის „სიმურგმა" ხუთ ახალ ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი და მათ შორის, ერთი ქართველია — რომან ახალკაცი.

ახალკაცი ბოლოს ბაქოს „ოლიმპიკში" თამაშობდა, თუმცა ცოტა ხნის წინ დატოვა გუნდი და „სიმურგს" ჩამოჰყვა შეკრებაზე.

ახალკაცი ფლანგელი ნახევარმცველია და აზერბაიჯანამდე მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდში იყო, თუმცა იქ კარიერა სათანადოდ ვეღარ აიწყო.

ქართველმა ფეხბურთელმა ზაქათალურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კახა შალამბერიძე

# გურულმა მოგებით დაიწყო

**ლვოვის** „კარპატი" პოლონეთში გადის შეკრებას და უკვე პირველი ტესტ-მატჩიც გამართა — სანდრო გურულის გუნდმა 2:1 მოიგო.

„კარპატის" მეტოქეები პოლონეთის ჩემპიონატის მესამელიგელები, „ტომაშოვია" და „სპარტაკუსი" იყვნენ — პირველ ტაიმში პირველმა გუნდმა ითამაშა, მეორეში კი მეორემ.

გურული ძირითად შემადგენლობაში იყო და შესვენებაზე შეცვალეს.

ლუკა თალაკვაძე



ბედნიერი დღე გამოდგა გიორგი ციმაკურიძისთვის 18 ივნისი — ლუგანსკის „ზარიას“ ქართველ მცველს ქალიშვილი შეეძინა! „ზარია“ საახალსეზონოდ ემზადება და ორმხრივი თამაშიც ამ სასიხარულო ამბავმა დაასრულა — თანაგუნდელები გიორგის შემოეხვივნენ და ქალიშვილის დაბადება მიულოცეს, რასაც, ცხადია, ჩვენც ვუერთდებით...

# გიორგი ციმაკურიძეს ქალიშვილი შეეძინა!

— უბედნიერესი კაცი ვარ დედამიწაზე. ძნელია, ჩემი გრძნობების სიტყვებით გადმოცემა...

— რა დაარქვი ქალიშვილს?

— ლიზა.

— ალბათ სავარჯიშოდ რომ გადიოდი, თავში სულ სხვა რამე გიტრიალებდა...

— იქამდე მოვინახულე მეუღლე. მინდოდა, მასთან კიდევ დავრჩენილიყავი, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ — ჩვენს პროფესიას განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს: და რა განწყობაზეც არ უნდა იყო, მოედანზე გასვლის წინ ყველაფერი უნდა დაივიწყო.

— და ორმხრივი თამაშის შემდეგ სახლში წახვედი თუ ბაზაზე დარჩი?

— რა თქმა უნდა, ბაზაზე დავრჩი. ჩემი გუნდი ახლა შეკრებაზეა და მეც მასთან ერთად უნდა ვიყო. შეღავათებს არ ვითხოვ, „ზარიას“ ისეთივე ჩვეულებრივი წევრი ვარ ახლაც, როგორც სხვები არიან.

— ჩანს, გუნდშიც კარგი განწყობაა...

— ყველანი მზად ვართ სამუშაოდ. ვიცით, რომ ახლა თუ არ მოვინდომეთ, მერე გაგვიჭირდება. შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა გველის.

— კეთილი. კიდევ ერთხელ გილოცავ ქალიშვილის შეძენას!

— დიდი მადლობა.

ბაჩა ზალამბერიძე

# ვაჟა თარხნიშვილი: სეზონს პირნათლად ჩავამთავრებ

ტირასპოლის „შერიფი“ საახალსეზონო მზადებაშია და ამხანაგური მატჩიც გამართა „აკადემიასთან“.

ეს შეხვედრა მოლდოველი ჟურნალისტებისთვის პირველ რიგში იმით გამოდგა საინტერესო, რომ მწვრთნელმა „შერიფის“ უცვლელი კაპიტანი, 38 წლის ვაჟა თარხნიშვილი შეცვალა და მანაც სამკლავური სხვას გადააბარა.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თარხნიშვილი ფეხბურთიდან მიდის?

აი, ამ კითხვით მიმართეს ჩვენმა კოლეგებმა ნამატჩევს ქართველ ვეტერანს: „გადაწყვეტილი მაქვს, რომ ახალი სეზონი ბოლომდე პირნათლად ჩავამთავრო. ახლა სერიოზული გამოცდა გველის — ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა ვითამაშოთ, მერე კი ჩემპიონატიც დაგვეწყება. რაც შეეხება ჩემს შეცვლას, საგანგაშო არაფერია — მწვრთნელმა ახალგაზრდებსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი. რა მოხდება ამ სეზონის მერე, ვერ გეტყვით, თუმცა უფეხბუროდ არ დავრჩები“.

ბაჩა ზალამბერიძე



# ვეფხვები ჩემპიონია!

თბილისის „ვეფხვების“ (დირექტორი გივი ნეფარიძე) 1997 წელს დაბადებულთა გუნდმა თბილისის ჩემპიონატი მოიგო.

ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ზაზა დიდებაშვილი გახლავთ, შემადგენლობას კი ფოტოს მინაწერზე ამოიკითხავთ.



ზედა რიგში: ვახტანგ ლომინაძე, გიორგი სირაძე (მწვრთნელი), გიორგი ქურხული, დავით ვარდოსანიძე, მიხეილ ბაშალეიშვილი, ნიკა გოგინაშვილი, ლევან ოდიკაძე, ზაზა დიდებაშვილი (მთავარი მწვრთნელი);

ქვედა რიგში: სანდრო წერეთელი, დავით დეკანოსიძე, გიორგი ბიბილური, ნიკა სულაძე, დავით სუმბაძე, ლუკა გადრანი, სანდრო შინჯიკაშვილი, ნიკა ბაშალეიშვილი, ზაზა ჯოხაძე, ლუკა დავლაშერიძე, ნიკა ხარაული, ნიკა კალაძე.

# ელიტ-ლიგა

## 1993-წლიანები

ვეფხვები-2 5:0 აკადემია-2
აკადემია-1 2:1 ნ. დინამო-1
ავაზა 2:1 შევარდენი
35-ე სკოლა-1 1:1 ნ. დინამო-2
მთ. გლობუსი 5:3 იმედი
საბურთალო 0:3 35-ე სკოლა-2
35-ე სკოლა-4 6:3 35-ე სკოლა-3
ამერი 3:0 ვეფხვები

გადადებული მატჩები

35-ე სკოლა-4 4:8 35-ე სკოლა-1
მთ. გლობუსი 2:2 ოლიმპიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 30 | 27 | 1 | 2 | 138:18 | 82 |
| აკადემია-1 | 30 | 24 | 1 | 5 | 99:34 | 73 |
| შევარდენი | 30 | 20 | 5 | 5 | 71:31 | 65 |
| ავაზა | 30 | 20 | 3 | 6 | 93:40 | 63 |
| ოლიმპიკი | 30 | 18 | 7 | 5 | 76:35 | 61 |
| 35-ე სკოლა-1 | 31 | 17 | 4 | 10 | 86:51 | 55 |
| საბურთალო | 30 | 15 | 5 | 10 | 62:43 | 50 |
| მთ. გლობუსი | 30 | 14 | 6 | 10 | 70:48 | 48 |
| 35-ე სკოლა-2 | 30 | 11 | 7 | 12 | 50:65 | 40 |
| ნ. დინამო-2 | 29 | 11 | 5 | 13 | 46:53 | 38 |
| ვეფხვები-2 | 30 | 9 | 7 | 14 | 40:50 | 34 |
| ამერი | 30 | 8 | 4 | 18 | 41:76 | 28 |
| იმედი | 30 | 8 | 3 | 19 | 40:88 | 27 |
| 35-ე სკოლა-4 | 30 | 6 | 5 | 19 | 35:69 | 23 |
| აკადემია-2 | 30 | 6 | 3 | 21 | 37:96 | 21 |
| ვეფხვები | 30 | 4 | 2 | 24 | 27:95 | 14 |
| 35-ე სკოლა-3 | 30 | 2 | 2 | 26 | 30:149 | 8 |

## 1994-წლიანები

ნახევარფინალი

თბილისი-1 2:1 (1:33) ლოკომოტივი (1:2)
შევარდენი 0:0 აკადემია-94 (1:2)
22 ივნისი. მესამე ადგილისთვის
თბილისი-1 — შევარდენი
22 ივნისი. ფინალი
ლოკომოტივი — აკადემია-94

## 1996-წლიანები

გორი 3:0 ჩემპიონი
35-ე სკოლა 9:0 შევარდენი
ამერი 2:3 თბილისი
ოლიმპი 8:1 საბურთალო
ლოკომოტივი 8:1 აკადემია-1
აკადემია-2 0:3 ნ. დინამო-2
ვეფხვები-1 — იმედი გადაიდო
ოლიმპიკი — ნ. დინამო-1 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 31 | 25 | 3 | 3 | 113:32 | 78 |
| 35-ე სკოლა | 31 | 23 | 6 | 2 | 117:30 | 75 |
| ჩემპიონი | 31 | 20 | 4 | 7 | 108:63 | 64 |
| თბილისი | 31 | 19 | 4 | 8 | 90:51 | 61 |
| ოლიმპიკი | 30 | 18 | 7 | 5 | 69:26 | 61 |
| ოლიმპი | 31 | 18 | 4 | 9 | 96:34 | 58 |
| აკადემია-1 | 30 | 17 | 7 | 6 | 84:47 | 58 |
| ამერი | 32 | 13 | 8 | 11 | 71:71 | 47 |
| შევარდენი | 31 | 13 | 6 | 17 | 56:49 | 45 |
| ნ. დინამო-1 | 30 | 12 | 7 | 11 | 107:75 | 43 |
| ვეფხვები-1 | 30 | 12 | 4 | 14 | 80:58 | 40 |
| საბურთალო | 31 | 8 | 4 | 19 | 63:128 | 28 |
| იმედი | 30 | 9 | 0 | 21 | 57:95 | 27 |
| ლოკომოტივი | 30 | 6 | 5 | 19 | 53:91 | 23 |
| აკადემია-2 | 31 | 5 | 5 | 21 | 46:100 | 20 |
| ნ. დინამო-2 | 31 | 2 | 4 | 25 | 59:159 | 10 |
| ვეფხვები-2 | 31 | 2 | 0 | 29 | 18:178 | 6 |

## 1997-წლიანები

ამერი 1:3 35-ე სკოლა-2
ნ. დინამო-1 3:1 თბილისი-2
საბურთალო 1:5 თბილისი-1
იმედი 1:1 ავაზა
35-ე სკოლა-1 3:5 ნ. დინამო-2
ნ. დინამო-3 3:0 აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი-1 | 24 | 23 | 0 | 1 | 120:24 | 69 |
| 35-ე სკოლა-2 | 23 | 15 | 3 | 5 | 66:29 | 48 |
| ავაზა | 24 | 13 | 5 | 6 | 49:41 | 44 |
| ლოკომოტივი | 24 | 13 | 4 | 7 | 85:41 | 43 |
| იმედი (თბ) | 24 | 13 | 4 | 7 | 54:44 | 43 |
| ნ. დინამო-1 | 24 | 12 | 4 | 8 | 71:59 | 40 |
| საბურთალო | 24 | 9 | 2 | 13 | 63:66 | 29 |
| 35-ე სკოლა-1 | 24 | 9 | 1 | 14 | 42:83 | 28 |
| თბილისი-2 | 24 | 7 | 6 | 11 | 50:55 | 27 |
| აკადემია | 24 | 7 | 4 | 13 | 45:54 | 25 |
| ნ. დინამო-3 | 23 | 6 | 2 | 15 | 39:50 | 20 |
| ნ. დინამო-2 | 24 | 5 | 1 | 18 | 47:109 | 16 |
| ამერი | 24 | 3 | 4 | 17 | 23:99 | 13 |

# სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

## 1992-93-წლიანები

ნახევარფინალი

ზედა 2:1 განთიადი (1:1)
22 ივნისი
ნ. დინამო — იმედი
24 ივნისი
იმედი — ნ. დინამო

# ჭაბუკთა ლიგა

## 1991-92-წლიანები

სიონი 2:4 ლოკომოტივი
ბორჯომი 2:0 მესხეთი
გაგრა 1:3 ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია 1:3 დინამო
სპარტაკი 1:3 ოლიმპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 32 | 28 | 2 | 2 | 105:23 | 86 |
| გაგრა | 32 | 21 | 2 | 9 | 98:55 | 65 |
| მგლები | 31 | 20 | 3 | 8 | 81:42 | 63 |
| ვიტ ჯორჯია | 32 | 19 | 5 | 8 | 49:25 | 62 |
| ზესტაფონი | 31 | 15 | 5 | 11 | 71:43 | 50 |
| სპარტაკი | 31 | 13 | 6 | 12 | 50:38 | 45 |
| ნაკრები U 16 | 33 | 14 | 2 | 17 | 69:58 | 44 |
| ლოკომოტივი | 31 | 12 | 3 | 16 | 57:71 | 39 |
| ბორჯომი | 33 | 11 | 4 | 18 | 49:79 | 37 |
| სიონი | 32 | 8 | 3 | 21 | 43:90 | 27 |
| ოლიმპი | 31 | 7 | 5 | 19 | 61:84 | 26 |
| მესხეთი | 31 | 0 | 2 | 29 | 15:142 | 2 |

## 1993-94-წლიანები

ლოკომოტივი 2:1 სიონი
მესხეთი 0:3 ბორჯომი
ზესტაფონი 0:2 გაგრა
დინამო 4:0 ვიტ ჯორჯია
ოლიმპი 1:1 სპარტაკი
ამერი 1:2 მგლები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 32 | 28 | 3 | 1 | 115:9 | 87 |
| ვიტ ჯორჯია | 31 | 20 | 7 | 4 | 64:29 | 67 |
| ამერი | 31 | 18 | 3 | 10 | 65:41 | 57 |
| ზესტაფონი | 31 | 16 | 4 | 11 | 50:36 | 52 |
| ლოკომოტივი | 31 | 16 | 3 | 12 | 64:31 | 51 |
| მგლები | 31 | 15 | 6 | 10 | 74:39 | 51 |
| ბორჯომი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:60 | 38 |
| სპარტაკი | 31 | 10 | 7 | 14 | 32:42 | 37 |
| გაგრა | 31 | 9 | 10 | 12 | 40:39 | 37 |
| ოლიმპი | 31 | 7 | 9 | 15 | 33:63 | 30 |
| სიონი | 31 | 3 | 3 | 25 | 17:82 | 12 |
| მესხეთი | 31 | 2 | 3 | 26 | 12:130 | 9 |

## 1995-96-წლიანები

ლოკომოტივი 3:1 სიონი
მესხეთი 1:2 ბორჯომი
ზესტაფონი 1:0 გაგრა
დინამო 4:0 ვიტ ჯორჯია
ოლიმპი 5:2 სპარტაკი
ამერი 0:3 მგლები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 31 | 26 | 3 | 2 | 76:13 | 81 |
| გაგრა | 31 | 19 | 6 | 6 | 52:14 | 63 |
| ზესტაფონი | 31 | 16 | 9 | 6 | 58:34 | 57 |
| ოლიმპი | 31 | 17 | 5 | 9 | 52:37 | 56 |
| მგლები | 31 | 16 | 5 | 10 | 44:28 | 53 |
| დინამო | 32 | 13 | 12 | 7 | 40:33 | 51 |
| ბორჯომი | 32 | 13 | 5 | 14 | 32:33 | 44 |
| ვიტ ჯორჯია | 31 | 12 | 5 | 14 | 37:40 | 41 |
| სიონი | 31 | 8 | 5 | 18 | 36:54 | 29 |
| ამერი | 31 | 7 | 5 | 19 | 22:53 | 26 |
| სპარტაკი | 31 | 4 | 7 | 20 | 20:56 | 19 |
| მესხეთი | 31 | 0 | 5 | 26 | 5:79 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა




# მესამე ლიგაშიც ვერ ვყოჩაღობთ

**გასულ** შაბათ-კვირას ბოსნიურ სარაევოში ევროპის მესამე ლიგის გუნდური ჩემპიონატი ჩატარდა მძლეოსნობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრებმაც მიიღო მონაწილეობა.

სარაევოში მძლოსნები 13 ქვეყნიდან შეიკრიბნენ: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია, დანია, მაკედონია, საქართველო, ისლანდია, ისრაელი, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ჩერნოგორია.

საქართველოდან ბოსნიაში 32-კაციანი დელეგაცია გაემგზავრა, რომელთაგან 24 სპორტსმენია. მათ მძლეოსნობის ყველა დისციპლინაში მიიღეს მონაწილეობა ჭოკით ხტომის გარდა.

ქვემოთ შაბათის შედეგებს გაგაცნობთ, საკვირაო რეზულტატებს კი ბოლო გვერდზე წარმოგიდგენთ.



**პირველი დღის მერე**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ისრაელი | 210,5 |
| 2 | დანია | 203 |
| 3 | მოლდოვა | 202,5 |
| 4 | აზერბაიჯანი | 182,5 |
| 5 | ბოსნია | 178 |
| 6 | ისლანდია | 178 |
| 7 | ლუქსემბურგი | 157,5 |
| 8 | სომხეთი | 140 |
| 9 | საქართველო | 110 |
| 10 | ჩერნოგორია | 105 |
| 11 | ალბანეთი | 78,5 |
| 12 | ანდორა | 57 |
| 13 | მაკედონია | 56,5 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| დავით ილარიანი | 100 მ (11,41 წმ. XI ადგილი, 3 ქულა) |
| დავით ცუცქირიძე | 4x100 მ ესტაფეტა (42,17 წმ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| გიორგი ანთელიძე | 400 მ თარჯრბენი (54,56 წმ. VI ადგილი, 8 ქულა); 4x100 მ ესტაფეტა (42,17 წმ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| ენდრიკ ზილბერშტეინი | 400 მ (47,54 წმ. III ადგილი, 11 ქულა); 4x100 მ ესტაფეტა (42,17 წმ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| გიგლა ზილბერშტეინი | 1500 მ (4.05,65 წთ. XI ადგილი, 3 ქულა) |
| გიორგი შეკრელიძე | 5000 მ (16.32,43 წთ. X ადგილი, 4 ქულა) |
| ბოლესლავ სხირტლაძე | სიგრძეზე ხტომა (7,43 მ. III ადგილი, 11 ქულა) |
| ზურაბ გოგოჭური | სიმაღლეზე ხტომა (2,00 მ. V ადგილი, 9 ქულა) |
| ლერი ჩიტაიშვილი | უროს ტყორცნა (ტრავმა) |
| ზურაბ გიგაია | ბირთვის კვრა (15,95 მ. III ადგილი, 11 ქულა) |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ლიკა ლოლუა | 100 მ (13,62 წმ. XII ადგილი, 2 ქულა); 4x100 მ ესტაფეტა (51,25 წმ. IX ადგილი, 3 ქულა) |
| თეა ფაცურია | 400 მ (1,01.06 წთ. XII ადგილი, 2 ქულა), 400 მ თარჯრბენი (1,08.17 წთ. VIII ადგილი, 6 ქულა), 4x100 მ ესტაფეტა (51,25 წმ. IX ადგილი, 3 ქულა) |
| გაიანე უსტიანი | 800 მ (2,16.54 წთ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| გიული დეკანაძე | 3000 მ (10,36.66 წთ. VI ადგილი, 8 ქულა) |
| სოფო მაჭავარიანი | 4x100 მ ესტაფეტა (51,25 წმ. IX ადგილი, 3 ქულა) |
| სალომე რიგიშვილი | ბადროს ტყორცნა (45,06 მ, II ადგილი, 12 ქულა) |
| ქრისტინე შალამბერიძე | სამმაგი ხტომა (10,53 მ, XI ადგილი, 3 ქულა) |

ჩოგბურთი

# მწირშედეგიანი კვირა



სოფო შაფათავა

**ფრანგულ** მონპელიეში 25-ათასიან ტურნირზე ჩვენმა სოფო შაფათავამ მიიღო მონაწილეობა და მერვედფინალამდე გააღწია. იქ კი ქართველი გოგონა გერმანელ ლაურა სიგემუნდთან დამარცხდა — 1:6 0:6.

ამავე ტურნირზე შაფათავა წყვილთა ნახევარფინ-ალში გავიდა.

ნიკოლოზ ბასილაშილმა კი ამერიკულ საკრამენტ-ოში ითამაშა 15-ათასიან ტურნირზე და სამივე საკვა-ლიფიკაციო მატჩი მოიგო. ამის მერე ნიკოლოზი ძირითადი ბადის პირველივე წრეში დამარცხდა ავსტრალიელ ენდრიუ კოელიოსთან — 5:7 4:6.

სტამბოლში, 10-ათასიან ტურნირზე ითამაშეს მანანა შაფაქიძემ და სოფო ქვაცაბაიამ.

სოფო პირველივე წრეში დამარცხდა, მანანამ კი ერთი მატჩი მოიგო და მერვედფინალში დამარცხდა რუს გალინა ფოკინასთან — 6:1 1:6 2:6.

**ირაკლი ნინიძე**

პლაჟის ფრენბურთი



რენატო და ჟორჟი

# პირველად მსოფლიოზე ქართული დროშით

**26 ივნისს** დაიწყება და 5 ივლისამდე გასტანს მსოფლიოს ჩემპიონატი პლაჟის ფრენბურთში, რომელიც ნორვეგიულ სტავანგერში ჩატარდება.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი მილიონი დოლარია და ქართულპასპორტიანი ბრაზილიელებიც — რენატო და ჟორჟიც მიიღებენ მონაწილეობას.

მსოფლიოს ჩემპიონატზე 48 გუნდი ითამაშებს, რომლებიც პირველ ეტაპზე თორმეტ 4-გუნდა ჯგუფში განაწილდნენ.

რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ-გია წილისყრამ "I" ჯგუფში მოახვედრა, სადაც მათი მეტოქეები რუსი, ესტონელი და ფრანგი ფრენბურთელები იქნებიან.

ქვემოთ მეტოქეებს უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ.

**რუსეთი:** იგორ კოლოდინსკი და დმიტრი ბარსუკი.

2007 წელს ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, შარშან კი მსოფლიო ტურის ერთი ეტაპის გამარჯვებულები გახდნენ, ერთი ეტაპიც მეორე ადგილზე დაასრულეს.

**ესტონეთი:** კრისტიან კაისი და რივო ვესიკი.

წელს ევროპული ტურის ერთ ეტაპზე ბრინჯაო აიღეს.

**საფრანგეთი:** იანიკ სალვეტი და ჟილერმ დელუფი.

რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არასდროს მიუღწევიათ.

ჩვენი რენატოს და ჟორჟის საუკეთესო შედეგი კი, გეხსომებათ, მეოთხე ადგილი იყო პეკინის ოლიმპიადაზე.

სხვათა შორის, ჯგუფის ფავორიტად მიჩნეულმა რუსებმა იმავე ოლიმპიადაზე გეორ-გიაზე უარესი შედეგი აჩვენეს.

ჯგუფებიდან პლეი ოფში ორ-ორი საუკეთესო და 8 საუკეთესო მესამეადგილოსანი გადიან.

და ერთიც: ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს გუნდი აქამდე არასდროს ჰყოლია მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

**ირაკლი ნინიძე**

სპორტი



მზევინარ სამუკაშვილი

# ჩვენი სპორტის მისები

**17 ივნისს** რესტორან „მონოპოლში" „მის სპორტის" გამოსავლენი კონკურსი ჩატარდა და მასში მონაწილეობა 25-მა სპორტსმენმა გოგონამ მიიღო.

გამარჯვებული გახდა მხატვრულად ტანმოვარჯიშე მზევინარ სამუკაშვილი. სხვა ნომინაცებში კი ტიტულები ასე განაწილდა:

თათია დოლიძე (სპორტული ცეკვა) — მის პრემიერი;

ქეთი კაციტაძე (მხატვრული ტანვარჯიში) — მის გრაცია;

ანი კირაკოსიანი (სპორტული ცეკვა);

ქეთი ხატიაშვილი — (მხატვრული ტანვარჯიში) — მის ელეგანტურობა.

„მის სპორტის" ტიტულისთვის ბრძოლაში კი მზევინარ სამუკაშვილმა მშვილდოსან თაკო შუბითიძეს აჯობა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჟიურიმ, რომელსაც საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია ხელმძღვანელობდა.

## ვაჟების ბადე

1/32 – 1/16 – 1/8 – 1/4 – 1/2

დელ პორტო (5) — კლემენტი
პიუიტი — გინეპრი
რამი — პეშნერი
ზვერევი — ტურსუნოვი (25)
შტეპანეკი (23) — ფალია
სტარაჩე — აკასუსო
ფონინი — ისტომინი
კიმი — ფერერი (16)
დავიდენკო (12) — ევანსი
კრივოი — ფაუ
ტილი — მაცუ
ბოგდანოვიჩი — ბერდიხი (20)
მელცერი (26) — ოლენნიკი
ბეკერი — კარანუშიჩი
დიმიტროვი — კუნიცინი
შარდი — როდიკი (6)
მიური (3) — კენდრიკი
გრემინი — გულბისი
დენტი — ხიმენო-ტრავერი
დაბული — ტროიცკი (30)
ვავრინკა (19) — შვანკი
ანდუხარი — არკელო
როხუსი — კუევასი
ლევინი — საფინი (14)
ფ. გონსალესი (10) — გაბაშვილი
ერნანდესი — მაიერი
ფერერო — იუჟნი
ხანტორო — კოფერი (33)
პანეტკა (31) — ნავარო
ფლუდერი — ლაპენტი
ალვეში — პაველი
რეინოლდსი — სიმონი (8)
ბლეიკი (17) — სები
მონარინო — ტიკელი
კამკეილი — საადეა
კორილიოვი — ანდრეევი (29)
ჰაასი (24) — პეია
ლორდა — გოდალი
კოურეი — ლიუბიჩიჩი
მარტინი — ჩილიჩი (11)
რობრედო — გრეგორიჩი
როდეუ-ვასელინი — კუბეკი
ხელა — ს. გონსალესი
მალისი — შუტლერი (18)
ფიში (28) — როიტმანი
პენრიხი — ტიპსარევიჩი
გრეული — იანი
ბენეტო — ჯოკოვიჩი (4)
ვერდასკო (7) — ვარდი
ლუ — ელიგენი
ხუნკეირა — კანასი
ჟემლია — მონტანესი (32)
კარლოვიჩი (22) — ლაკო
დარსისი — დანცევიჩი
ბოლელი — კოლერერი
გოლუბევი — ცონგა (9)
სოდერლინგი (13) — მიულერი
გრანოლიერსი — ა. ბეკი
ალმაგრო — მონაკო
კ. ბეკი — ლოპესი (21)
კოლშრეიბერი (27) — სერა
მინარი — მ. გონსალესი
გარსია-ლოპესი — კალერი
ლუ — ფედერერი (2)

უიმბლდონი 2009. ბალახი. საპრიზო 12 550 000გ[illegible]

# ნადალმა ფედერერს ფავორიტობა აჩუქა



წლევანდელ „უიმბლდონზე" შარშანდელი ფინალი დაწყებამდე გამოირიცხა

**მთავარი** ამბავი, რაც „უიმბლდონს" უძღოდა, უკვე ჩატარებულ წილისყრაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გახდა. თავდაპირველად წილისყრამ ფრანგ არნო კლემენტს თვით რაფაელ ნადალი არგუნა, მაგრამ შემდეგ ფრანგის მეტოქე ხუან მარტინ დელ პორტო გახდა.

საქმე კი ის არის, რომ ორგანიზატორები ბოლო წუთამდე ელოდნენ ნადალის პასუხს და ეს პასუხი უარყოფითი გამოდგა. მსოფლიო რეიტინგის პირველმა ნომერმა და „უიმბლდონის" მოქმედმა ჩემპიონმა ეგრეც ვერ შეძლო პარიზში მიღებული მუხლის ტრავმის მორჩენა, რაც, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელიც იყო.

ამგვარად, როჯერ ფედერერი, ვისი ხუთწლიანი ბატონობაც „უიმბლდონზე" შარშან ნადალმა დაარღვია, კვლავ უპირველეს ფავორიტად რჩება.

„ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა — თქვა ნადალმა — მაგრამ მეორე მხრივ, ვიცოდი, რომ ფორმაში არ ვიყავი და „უიმბლდონის" დარ ტურნირზე ნაკლები ძალით თამაში უაზრობაა. ბოლო ორი კვირა ვცდილობდი ჩვეულ რიტმში მევარჯიშა, მაგრამ ორივე მუხლზე ჰემატომა მაქვს და წარმოუდგენელია, როგორც უნდა ვითამაშო."

წინა კვირაში ნადალმა ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ორივე წააგო.

ამგვარად, რაფაელ ნადალი ერთადერთი ჩემპიონია ბოლო შვიდ წელიწადში, რომელიც ტიტულის დაცვას ვერ შეძლებს — 2002-ში ჩემპიონმა გორან ივანიშევიჩმა ვერ შეძლო თამაში.

ნაწილისყრევს მიიღო ტრავმა კვიპროსელმა მარკოს ბაღდატისმაც, ვინც პირველ წრეში 21-ე ნომერ ფელისიანო ლოპესს უნდა შეხვედროდა. ახალ რეალობაში კი ლოპესის მეტოქე სლოვაკი კაროლ ბეკი გახდა.

**ირაკლი ნინიძე**

## უიმბლდონის რეკორდები. კაცები



ახალი ერის უტიტულოვანესი პიტ სამპრასი

| | | |
|---|---|---|
| **ყველაზე მეტი გამარჯვება:** | | |
| უილიამ რენშოუ (დ. ბრიტანეთი) | 7 | 1881-89 |
| ახალი ერა — პიტ სამპრასი (აშშ) | 7 | 1993-2000 |
| **ყველაზე მეტი მიჯრით გამარჯვება:** | | |
| უილიამ რენშოუ (დ. ბრიტანეთი) | 6 | 1881-86 |
| ახალი ერა — ბიორნ ბორგი (შვედეთი) | 5 | 1976-80 |
| როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5 | 2003-07 |
| **ყველაზე მეტი გამარჯვება წყვილებში:** | | |
| რეგი და ლორი ბოჰერტი (დ. ბრიტანეთი) | 8 | 1897-05 |
| ახალი ერა — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 9 | 1993-2004 |
| **ყველაზე მეტი მიჯრით გამარჯვება წყვილებში:** | | |
| რეგი და ლორი ბოჰერტი (დ. ბრიტანეთი) | 5 | 1897-01 |
| ახალი ერა — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 5 | 1993-97 |
| მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | 5 | 1993-97 |
| **ყველაზე მეტი გამარჯვება შერეულ წყვილებში:** | | |
| კენ ფლეტჩერი (ავსტრალია) | 4 | 1963-68 |
| ვიკ სიქსასი (აშშ) | 4 | 1953-56 |
| ახალი ერა — ოუენ დევიდსონი (ავსტრალია) | 4 | 1967-74 |
| **ყველაზე მეტი გამარჯვება (ერთეული, წყვილები, შერეული):** | | |
| უილიამ რენშოუ (დ. ბრიტანეთი) | 14 | 1880-89 |
| ახალი ერა — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 9 | 1993-2004 |

## უიმბლდონის ჩემპიონები. ახალი ერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1969 — როდ ლეივერი | 1978 — ბიორნ ბორგი | 1989 — ბორის ბეკერი | 2000 — პიტ სამპრასი |
| 1970 — ჯონ ნიუკომბი | 1979 — ბიორნ ბორგი | 1990 — სტეფან ედბერგი | 2001 — გორან ივანიშევიჩი |
| 1971 — ჯონ ნიუკომბი | 1980 — ბიორნ ბორგი | 1991 — მიხაელ შტიხი | 2002 — ლეიტონ ჰიუიტი |
| 1972 — სტენ სმიტი | 1981 — ჯონ მაკინროი | 1992 — ანდრე აგასი | 2003 — როჯერ ფედერერი |
| 1973 — იან კოდეში — ალექსანდრე მეტრეველი 6:1, 9:8, 6:3 | 1982 — ჯიმი კონორსი | 1993 — პიტ სამპრასი | 2004 — როჯერ ფედერერი |
| | 1983 — ჯონ მაკინროი | 1994 — პიტ სამპრასი | 2005 — როჯერ ფედერერი |
| | 1984 — ჯონ მაკინროი | 1995 — პიტ სამპრასი | 2006 — როჯერ ფედერერი |
| 1974 — ჯიმი კონორსი | 1985 — ბორის ბეკერი | 1996 — რიჩარდ კრაიჩეკი | 2007 — როჯერ ფედერერი |
| 1975 — არტურ ეში | 1986 — ბორის ბეკერი | 1997 — პიტ სამპრასი | 2008 — რაფაელ ნადალი |
| 1976 — ბიორნ ბორგი | 1987 — პატ კეში | 1998 — პიტ სამპრასი | |
| 1977 — ბიორნ ბორგი | 1988 — სტეფან ედბერგი | 1999 — პიტ სამპრასი | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უიმბლდონი 2009. 22 ივნისი–5 ივლისი

# უიმბლდონის ნაირგვარი ამბები

## ერთადერთი ქართველი პირველივე წრეში

ანა ტატიშვილი „უიმბლდონს" პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოეთიშა.

საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი გერმანელ იულია შრუფთან დამარცხდა ორ სეტში — 6:7 4:6.

ანა მსოფლიო რეიტინგში 167-ე ადგილზეა, ხოლო მისი გერმანელი მეტოქე 27 საფეხურით მაღლაა.

შეგახსენებთ, რომ ანა ტატიშვილმა რამდენიმე კვირის წინ „როლან გაროსის" კვალიფიკაციაშიც სცადა ბედი და მესამე წრეში გააღწია.

სხვა ქართველი ჩოგბურთელი წლევანდელ „უიმბლდონზე" არ ყოფილა.



ცენტრალური კორტი

## კორტები და ... შევარდენი

კორტებზე ბალახის სიმაღლე 8 მილიმეტრია. უმთავრესი მატჩები ცენტრალურ კორტზე იმართება, დანარჩენი კორტები კი უბრალოდ დანომრილია.

მეტსახელი კი მხოლოდ №2 კორტს აქვს, რომელსაც „ჩემპიონების სასაფლაოს" უწოდებენ. რაოდენობრივად სწორედ ამ კორტზე დამარცხებულა ყველაზე მეტი განთესილი ჩოგბურთელი.

ადრე კორტების თავზე უამრავი მტრედი დაფრინავდა და ისეც მომხდარა, რომ მოთამაშეებსაც კი დასჭირვებიათ მათი მოგერიება. ბოლო წლებში ორგანიზატორები ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ბაზიერებს იწვევენ და მტრედებს შევარდენებით ანადგურებენ.

### ტრადიციები

ინგლისელებს უყვართ ტრადიციები და ბუნებრივია, თავისი ტრადიციები აქვს „უიმბლდონსაც"...

— ჩოგბურთელები სათამაშოდ მხოლოდ თეთრი ფერის ფორმით გადიან;

— ქალებს მიმართავენ: მის ან მისის. ხოლო კაცებს — გვარით;

— განთესვა მხოლოდ ATP-ის და WTA-ს რეიტინგების მიხედვით არ ხდება. ამ რეიტინგების მიხედვით დარიცხულ ქულებს ბოლო 12 თვეში ბალახის საფარიან ტურნირებზე მოპოვებული ქულები ემატება და საუიმბლდონო რეიტინგი ისე გამოჰყავთ;

— ტურნირი აგვისტოს პირველ ორშაბათამდე ექვსი კვირით ადრე იწყება და ორ კვირას გრძელდება;

— ტურნირის დაწყებიდან პირველ კვირა დღეს მატჩები არ ტარდება. ამ ტრადიციას მხოლოდ სამი გამონაკლისი ჰქონდა (ბოლო 2004 წელს), რაკილა წვიმების გამო ორგანიზატორები დათქმულ ორ კვირაში ვერ ეტეოდნენ და დასვენების დღეც გამოიყენეს;

— 2007 წლამდე კაცთა საპრიზო ფონდი ქალებისას აღემატებოდა, მაგრამ კრიტიკის გამო ორგანიზატორებმა ფონდების გათანაბრება გადაწყვიტეს.

— საპატიო სტუმრებს ტრადიციულად მარწყვით და შამპანურით უმასპინძლდებიან. ულუფაში აუცილებლად 10 ცალი მარწყვი უნდა იყოს და აუცილებლად ინგლისში უნდა იყოს მოწეული.

### უიმბლდონის რეკორდები. ქალები

| | | |
|---|---|---|
| ყველაზე მეტი გამარჯვება: | | |
| ჰელენ ვილსი (აშშ) | 8 | 1927-38 |
| ახალი ერა — მარტინა ნავრატილოვა (ჩეხეთი, აშშ) | 9 | 1978-90 |
| ყველაზე მეტი მიჯრით გამარჯვება: | | |
| სიუზენ ლენგლენი (საფრანგეთი) | 5 | 1919-23 |
| ახალი ერა — მარტინა ნავრატილოვა (ჩეხეთი, აშშ) | 6 | 1982-87 |
| ყველაზე მეტი გამარჯვება წყვილებში: | | |
| ელიზაბეტ რაიანი (აშშ) | 12 | 1914-34 |
| ბილი ჯინ კინგი (აშშ) | 10 | 1961-78 |
| ახალი ერა — მარტინა ნავრატილოვა (ჩეხეთი, აშშ) | 7 | 1976-86 |
| ყველაზე მეტი მიჯრით გამარჯვება წყვილებში: | | |
| სიუზენ ლენგლენი და ელიზაბეტ რაიანი | 5 | 1919-23 |
| ახალი ერა — ნავრატილოვა და პამ შრივერი (აშშ) | 4 | 1981-84 |
| ნატაშა ზვერევა (სსრკ, ბელარუსი) | 4 | 1991-94 |
| ყველაზე მეტი გამარჯვება შერეულ წყვილებში: | | |
| ელიზაბეტ რაიანი (აშშ) | 7 | 1919-32 |
| ახალი ერა — მარტინა ნავრატილოვა (ჩეხეთი, აშშ) | 4 | 1985-2003 |
| ყველაზე მეტი გამარჯვება (ერთეული, წყვილები, შერეული): | | |
| ბილი ჯინ კინგი (აშშ) | 20 | 1961-79 |
| ელიზაბეტ რაიანი (აშშ) | 19 | 1914-34 |
| ახალი ერა — მარტინა ნავრატილოვა (ჩეხეთი, აშშ) | 20 | 1976-2003 |



უტიტულოვანესი მარტინა ნავრატილოვა

### უიმბლდონის ჩემპიონები. ახალი ერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1969 ------ ენ ჰეიდონ ჯონსი | 1979 მარტინა ნავრატილოვა | 1989 ----------- შტეფი გრაფი | 1999 -- ლინდსი დევენპორტი |
| 1970 მარგარეტ სმიტ კორტი | 1980 - ივონ გულაგონგ კოული | 1990 - მარტინა ნავრატილოვა | 2000 -------- ვინუს უილიამსი |
| 1971 ------ ივონ გულაგონგი | 1981 -- კრის ევერტ ლოიდი | 1991 ----------- შტეფი გრაფი | 2001 -------- ვინუს უილიამსი |
| 1972 -------- ბილი ჯინ კინგი | 1982 მარტინა ნავრატილოვა | 1992 ----------- შტეფი გრაფი | 2002 ------- სერენა უილიამსი |
| 1973 -------- ბილი ჯინ კინგი | 1983 მარტინა ნავრატილოვა | 1993 ----------- შტეფი გრაფი | 2003 ------- სერენა უილიამსი |
| 1974 ----------- კრის ევერტი | 1984 მარტინა ნავრატილოვა | 1994 --- კონჩიტა მარტინესი | 2004 --------- მარია შარაპოვა |
| 1975 -------- ბილი ჯინ კინგი | 1985 მარტინა ნავრატილოვა | 1995 ----------- შტეფი გრაფი | 2005 -------- ვინუს უილიამსი |
| 1976 ----------- კრის ევერტი | 1986 მარტინა ნავრატილოვა | 1996 ----------- შტეფი გრაფი | 2006 --------- ამელი მორესმო |
| 1977 ------- ვირჯინია უეიდი | 1987 მარტინა ნავრატილოვა | 1997 ------- მარტინა ჰინგისი | 2007 -------- ვინუს უილიამსი |
| 1978 - მარტინა ნავრატილოვა | 1988 --------- შტეფი გრაფი | 1998 ----------- იანა ნოვოტნა | 2007 ------- სერენა უილიამსი |

### ქალების ბადე

1/32 1/16 1/8 1/4 1/2

- საფინა (1) — დომინგეს ლინო
- ვაიდიშოვა — დე ლოს რიოსი
- ბალტაჩა — ა. ბონდარენკო
- ფლიპკენსი — სუავაი
- მორესმო (17) — ცინკი
- სრებოტნიკი — ნაკამურა
- კინგი — კორიცევა
- ვიეესი — ჰენტა (15)
- ვოზნიაცკი (9) — კრუმი
- კვიტოვა — კირილენკო
- ბრიანტი — გარბინი
- დომახოვსკა — მედინა გარიგესი (20)
- ჩაკვეტაძე (32) — ლისიცკი
- მაიერი — კეტავონგი
- პარმენტიერი — ამანმურადოვა
- მორიგამი — კუზნეცოვა (5)
- ვ. უილიამსი (3) — ვოეგელი
- სევასტოვა — კ. ბონდარენკო
- მაკაროვა — სტრიცოვა
- სუარეს ნავარო — კანეპი (25)
- სტოსური (18) — მატეკ-სანდზი
- დოკიჩი — მალეკი
- ერანი — დუბუა
- პრადეცკა — ივანოვიჩი (13)
- ა. რადვანსკა (11) — მარტინეს-სანჩესი
- გლაჩი — პენგი
- გოვორცოვა — პერებიინისი
- ვოსკობოევა — ლი (19)
- ბამერი (29) — ოუდინი
- ნიკოლესკუ — შვედოვა
- ობრაიენი — ბენეშოვა
- ჯორჯესი — იანკოვიჩი (6)
- ზვონარიოვა (7) — სტუბი
- სუთი — იოჰანსონი
- კრეიბასი — პირონკოვა
- პაჟეკი — რაზანო (26)
- ვოზნიაკი (23) — სკიავონე
- დე ბრიტო — ზაკოპალოვა
- ბაშინსკი — მანასიევა
- ჩანი — ბარტოლი (12)
- ციბულკოვა (14) — კოინი
- პესკირიჩი — უ. რადვანსკა
- ვიკმაიერი — ვესნინა
- დუშევინა — კორნე (22)
- კლეიბანოვა (27) — კარატანჩევა
- სპრემი — კულიკოვა
- რეზაი — მორიტა
- კუდრიავცევა — დემენტიევა (4)
- აზარენკა (8) — ბელტრამი
- დეში — ოლარუ
- გრონეფელდი — მირზა
- გალოვიცი — კირსტეა (28)
- შარაპოვა (24) — კუტუზოვა
- დულკო — ფორეცი
- კამერინი — პეერი
- იაკიმოვა — პეტროვა (10)
- ქენგი (16) — ბართოლი
- ჰანტუხოვა — რობსონი
- ტანასუგარნი — სანტონია
- სუგიამა — შნიდერი (21)
- პავლიუჩენკოვა (31) — ცეტკოვსკა
- ვინჩი — რიბარიკოვა
- საფაროვა — გროთი
- ხილვა — ს. უილიამსი (2)

# საჩემპიონო თარეში ანგელოზთა ქალაქში

## რეპერმა შაკმა პასუხი მოედანზე მიიღო

**ფინალი. V მატჩი**
**ორლანდო 86:99 ლეიკერსი**

**ორლანდო:** ელსტონი (12), ლი (12), თურქოღლუ (12), ლუისი (18 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (11 ქულა, 10 მოხსნა); რედიკი (8), ნელსონი (5), პიეტრუსი (4), გორტატი (4), ბათი
**ლეიკერსი:** ფიშერი (13), ბრაიანტი (30), არიზა (15), გასოლი (14 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება), ბაინამი (6); ოდომი (17 აქულა, 10 მოხსნა), ულტონი (2), ფარმარი (2), ვუიაჩიჩი

**კობი ბრაიანტს** კარგა კვირანახევარი არ გაუცინია. ბუნებით ცელქი სუპერვარსკვლავი, ალბათ, არასდროს ყოფილა ასე კონცენტრირებული და მიზანმიმართული. იღიმებოდა, მაგრამ არ იცინოდა, მთელი ყურადღება ბურთზე და მოწინააღმდეგის ხელებზე ჰქონდა გადატანილი. აგდებდა წარმოუდგენლად რთულ ბურთებს და მერე კუშტად იხევდა დაცვის სიღრმეში.

„ლეიკერსის“ ლიდერს სახეზე ჩვეული უდარდელი გამომეტყველება მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა, როდესაც ფინალური სერიის უკანასკნელი მატჩის დასრულებას 40-ოდ წამი აკლდა და „ორლანდოს“ ყველაზე თავგადაკლულ ქომაგებსაც მოუხდათ მეტოქის სიძლიერის აღიარება. საბოლოოდ რომ გაირკვა, ჩემპიონობა „ლეიკერსს“ რჩებაო, კობი ძველ კობიდ იქცა — ბედნიერებისგან დახტოდა და თანაგუნდელებს ზანგურად, ჰაერში უკანა ადგილით „ესალმებოდა“ (ისე კი, თანაგუნდელი თეთრიც ბევრი ჰყავს — ამერიკელიც და ევროპელიც და ეს აფრო-ამერიკული სალამი მათაც უნაკლოდ აითვისეს).

### შაკ, მაკოცე ტრ. . .ზე!

„ოცნება ავისრულე — ხარობდა ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ ოფიციალურად დასახელებული ბრაიანტი — ახლა ხომ მაინც დასრულდება იდიოტური წამოძახილები, რომ მე შაკის გარეშე არაფერი მომიგია.“

მართლაც, ბრაიანტი მეოთხედ ხდება ჩემპიონი და პირველად შაკილ ონილის დაუხმარებლად.

ოდესღაც ის მეორე კაცი იყო „ლეიკერსში“ და სამივე წინა ჩემპიონობისას (2000-02) უძვირფასესის წოდება შაკილ ონილს შეხვდა. კობის კი მუდამ მისი მოუსვენარი ზრდილის იარლიყი მიაწება.

2004 წლის ფინალში „დეტროიტთან“ წაგების შემდეგ ის უძლეველი „ლეიკერსი“ დაიშალა. კლუბის ბოსებმა დააცალკევეს ერთმანეთთან ყოვლად ტუტუცურად წაკიდებული ორი ვარსკვლავი და უფრო ასაკოვანი შაკი „მაიამიში“ გაუშვეს, სადაც ის 2006 წელს ჩემპიონი შეიქნა და იქიდან — რბილად რომ ვთქვათ — ნიშნს უგებდა მეგობარ-ყოფილს. გეცოდინებათ, შაკი რეპერობას იჩემებს და თუმცა დიდი ნიჭი ვერ გამოიჩინა, რაღაცას მაინც ჯახირობს. ჰოდა, ასეთი სიმღერა შეთხზა და მერე მრავალათასიან კონცერტზე ბღაოდა — კობი, გასინჯე ჩემი ტრ...ის გემოო.




**ასე დახვდა ხალხი ლოს ანჯელესში „ლეიკერსის“ გადაჭრილ ავტობუსს**

ახლა კი შაკი ხალისით შეუერთდა ბრაიანტის მიმლოცავთა რიგებს — „კობი, გილოცავ, ძალიან მაგრად ითამაშე და ჩემპიონობა დაიმსახურე. დატკბი ბედნიერებით, ჩემო ბიჭუნი. და ვხვდები, ახლა რისი თქმაც გინდა — „შაკ, მაკოცე ტრ. . .ზე!“

შაკი რისი შაკი იქნებოდა, გულში რომ ბოღმა ჩაედო?

### გადაღლილი პრეტენდენტი

„ორლანდო“ კარგი გუნდია და წლევანდელმა პლეი ოფმა კიდევ უფრო გამოაბრძმედა. ნუ დავივიწყებთ, ფლორიდელებმა აღმოსავლეთის ფინალში აღიარებული ფავორიტი, ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი“ დაჩაგრეს და ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს საოცნებო ფინალი — კობი ლებრონის წინააღმდეგ — ჩაუშალეს.

მაგრამ „ორლანდოს“ გამოცდილება არ ეყო კიდევ ერთი სუპერგუნდის დასამარცხებლად. ხუთი თამაშიდან პირველი და უკანასკნელი პირწმინდად წააგო, შუა სამში კი მართალია, ღირსეულად იომა და იქნებ სამივეშიც იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხვედრა მიიყვანა სასურველ დასასრულამდე, ორი კი საკუთარი უთაობით დამატებით დროში დათმო.

ამგვარად გამოვიდა, რომ ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა კლუბს ორ ფინალში (პირველად 1995 წელს გავიდა, როცა მთლად ჯეელი შაკილ ონილი ლიდერობდა) ეს ერთადერთი გამარჯვება შერჩა რვა მარცხის წილ.

„ორლანდო“ თითქოს მრავალფეროვან გუნდად ითვლება, სამქულიანებს საუცხოოდ ისვრის და ამავე დროს უძლიერესი ცენტრიც ჰყავს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, შიგნიდანაც კარგია და გარედანაც, მაგრამ საქმე „ლეიკერსისთვის“ ჩემპიონობის წართმევაზე რომ მიდგა, მკვლელის ინსტინქტი ვერ გამოიჩინა. გუნდის ფაქტობრივი ლიდერი ჰიდაიეთ თურქოღლუ გადაღლილი ჩანდა და ტრევორ არიზას მარწუხებში ფართხალებდა; უზარმაზარხელფასიანმა რაშარდ ლუისმა ხუთ თამაშში 16 სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ მხოლოდ ორჯერ დააგროვა 20 ქულაზე მეტი; ნბა-ს ულაპარაკოდ საუკეთესო ცენტრ დუაიტ ჰოვარდს კი მიუხედავად იმისა, რომ 80-90-იანების ლეგენდარული გოლიათი პატრიკ იუინგი ჰყავს პირად მწვრთნელად, მაინც აკლია მონდომებაც, ბრძოლისუნარიანობაც, სიჯიუტეც და ოსტატობაც.

„ჯადოქრებზე“ დამთრგუნავად იმოქმედა მეოთხე თამაშში წაგებამ. ფაქტობრივად მოგებული ჰქონდათ და ჰოვარდს ბოლო წამებზე ორი საჯარიმოდან ერთიც რომ ჩაეგდო, იგებდნენ. 2:2 ანგარიშზე ვინ იცის, როგორი გაგრძელება ექნებოდა ამ ძალზე საინტერესო და სანახაობრივ ფინალს. ბოლო თამაშში კი მხოლოდ ერთი მეოთხედი გაძლეს, მერე კი ჩაბარდნენ მეტოქეს.

დაბრუნდება „ორლანდო“ გაისად ფინალში? არავინ იცის, ისტორიას მრავლად ახსოვს შემთხვევები, როდესაც ძალიან მაგარ გუნდებს ფინალი წაუგიათ და ამით იმხელა ფსიქოლოგიური დარტყმა მიუღიათ, რომ შემდეგ წლებში გონზე ველარ მოსულან და ისტორიას, ამერიკულად რომ ვთქვათ, „ლუზერებად“ დაამახსოვრდნენ.

ძალიან ბევრია დამოკიდებული „ორლანდო მეჯიქის“ თავკაც სტენ ვან განდიზე. მის ახალგაზრდულ გუნდს ახლა სჭირდება გონიერი თავი. ჰოვარდი მხოლოდ 23 წლისაა და არც სხვა ლიდერები არიან თუნდაც 30 წლისები.

### კობის მწვრთნელი არ სჭირდებაო?!

ვის ვის და, „ლეიკერსს“ კი ნამდვილად ისეთი მწვრთნელი ჰყავს, ვისაც ფსიქოლოგიაში არაფერი ემლება. ფილ ჯექსონი არასდროს ყვირის მოედნის კიდიდან, არასდროს ცოფავს შეგირდებს წუთშესვენებებზე და თითქმის არ ეკამათება მსაჯებს. ზოგიერთ ჭკუათხელს შეიძლება ისიც ეგონოს, რომ ეს კაცი „ლეიკერსის“ შტაბის ცოცხალი დეკორაციაა და მეტი არაფერი.

დღესაც მრავლად მოიძებნებიან ისეთები, ვისაც დიდი ფილის აუღელვებლობა „ატყუებს“. გადამდგარმა ვარსკვლავმა ალონზო მურნინგმა სულ ახლახან დააბრეხვა — „ლეიკერსს“ მწვრთნელი არც სჭირდება, კობი ბრაიანტი ისე სრულყოფილად უხსნის თანაგუნდელებს კომბინაციებს და ისე მუშაობს მათთან, რომ ჯექსონი მხოლოდ ტაიმაუტების აღებისთვისღა ვარგაო.

მაიკლ ჯორდანის ეპოქაშიც მრავალი ცდილობდა მისი გაკეთებულისთვის წითელი ხაზის გადასმას, მაგრამ დიდი ფილი არადროს გამოხმაურებია ამგვარ გამოხტომებს. მისი პასუხია საქმე და შედეგი. შედეგი კი ასეთია — ათი ჩემპიონობა, რაც ყველა დროის რეკორდია. ამ მეათეთი მან გადაასწრო „ბოსტონ სელტიქსის“ ლეგენდარულ თავკაც რედ აუერბახს, ვინაც ბოლო ტიტული 1966 წელს მოიპოვა.

ფილ ჯექსონმა 12-ჯერ აიყვანა თავისი გუნდი ფინალში — ექვსჯერ „ჩიკაგო ბულზი“ (1991, 92, 93, 96, 97, 98) და ამდენჯერვე „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ (2000, 01, 02, 04, 08, 09) და მხოლოდ ორჯერ წააგო. გამოცდილ ფსიქოლოგს ბადალი არა ჰყავს მოთამაშეთა მოედანსგარეთ დამუშავებაში. კარგი მოთამაშეები მის ხელში ვარსკვლავებად იქცევიან, ვარსკვლავები კი ლეგენდები ხდებიან. ბრაიანტი ჯექსონისეული მეტამორფოზის კლასიკური მაგალითია.

მურნინგს ვინძლო დაავიწყდა კიდეც — 2004 წლის ფინალის წაგებამ ჯაჭვური რეაქცია რომ გამოიწვია: „ლეიკერსმა“ ჯერ შაკი გაუშვა, შემდეგ კი ფილ ჯექსონიც ერთი წლით წავიდა და კობი ბრაიანტის ოფოფების შემყურე ლოსანჯელესელები საერთოდ უპლეიოფოდ დარჩნენ პირველად 1994 წლიდან მოყოლებული.

კობიმ კი, როცა მრავალთა ჩიჩინის შემდეგ თავისი მკაფიოდ გამოხატული ეგო გულის კუნჭულში შემალა და მწვრთნელისთვის ყურისგდება ისწავლა, შედეგიც მოვიდა — ზედიზედ ორი ფინალი, რომელთაგან მართალია, პირველი 2008 წელს „ლეიკერსის“ მოსისხლე „სელტიქსთან“ დათმო, მაგრამ სწორედ დიდი ფილის ფსიქოლოგიური გაკვეთილების წყალობით შეძლო მომდევნო წელს ფინალში დაბრუნება და ჩემპიონობა.

აქვე ვთქვათ, „ლეიკერსისთვის“ ეს ტიტული რიგით მე-15 გახლდათ. მასზე ერთით მეტი აქვს „სელტიქსს“. სხვები კი გვარიანად ჩამორჩებიან ამ ორ გოლიათს.

### ლეიკერსი მარტო ბრაიანტი არაა

ახალი ჩემპიონი ფილ ჯექსონის ახალი ქმნილებაა. 2002 წლის პლეი ოფის მომგები გუნდიდან დღემდე

**ლეიკერსის შემადგენლობა, დამსახურებები და ანაზღაურება 2008-09 წლების სეზონში**

| | | | |
|---|---|---|---|
| კობი ბრაიანტი | 26,8 | 30,2 | 21 300 000 |
| პაუ გასოლი | 18,9 | 18,3 | 15 100 000 |
| ენდრიუ ბაინამი | 14,3 | 6,3 | 2 800 000 |
| ლამარ ოდომი | 11,4 | 12,3 | 14 100 000 |
| დერეკ ფიშერი | 9,9 | 8,0 | 4 700 000 |
| ტრევორ არიზა | 8,9 | 11,3 | 3 100 000 |
| ჯორდან ფარმარი | 6,4 | 4,7 | 4 000 000 |
| საშა ვუიაჩიჩი | 5,8 | 3,0 | 4 500 000 |
| ლუკ ულტონი | 5,0 | 3,8 | 4 400 000 |
| ჯოშ პაუელი | 4,2 | 2,0 | 900 000 |
| შენონ ბრაუნი | 3,2 | 4,9 | 800 000 |
| დიჯეი მბენგა | 2,7 | 0,3 | 900 000 |

*პირველ სვეტში ნაჩვენებია საშუალოდ ქულა რეგულარული ჩემპიონატის მატჩებში, მეორე სვეტში საშუალოდ ქულა პლეი ოფის მატჩებში, მესამეში წლიური ხელფასი დოლარში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 10: ჭკუათხელთათვის დეკორაციის მონაგარი

## ჯადოქრები ლუზერებად ხომ არ იქცევიან?



მაინც რას ეჩჩის კობი ბრაიანტს შაქილ ონილი?

მხოლოდ ბრაიანტი და ვეტერანი ხელბასრი გამთამაშებელი დერეკ ფიშერი შერჩა. სხვაფრივ კი თავიდან დააბალანსა გუნდი. პლეი ოფი მშვენივრად გალია ესპანელმა პაუ გასოლმა, ვისაც სიგამხდრის გამო ამერიკაში ხშირად „უძლურ ევროპელს" ეძახიან, მაგრამ კუნთმაგარ ღუაიტ ჰოვარდთან ჯაჯგურში გასოლს უძლურებისა არაფერი ეტყობოდა, საშუალოდ 18,6 ქულა და 12 მოხსნა აკეთა და მისი დიდი დამსახურებაა, ჰოვარდი მხოლოდ ერთხელ რომ ასცდა 20-ქულიან ნიშნულს.

დაცვაში კარგი იყო ტრევორ არიზა, ვინაც მყარად მოიკიდა ფეხი ხუთეულში და გუნდის გრძელვადიან გეგმებშიც ზის. ეგაა, რომ ამ დღეებში კონტრაქტი უმთავრდება და წლიური 3 მილიონის ნაცვლად ერთიორად მეტს მოითხოვს.

კიდევ ერთ მოთამაშეს ეწურება კონტრაქტი — სათადარიგო ფორვარდი ლამარ ოდომი მალე თავისუფალი აგენტი გახდება, მაგრამ არც ის და არც არიზა არ აპირებენ გუნდის დატოვებას. „ლეიკერსს" სჭირდება ისინი და მათაც სჭირდებათ „ლეიკერსი". ტრაბახა და გადარეული ოდომი სტაბილურობით ვერ გამოირჩევა, მაგრამ როდესაც კარგად თამაშობს, როგორც წესი, გუნდი დამაჯერებლად იგებს. აბა, კობი ბრაიანტი და პაუ გასოლი ხომ მუდამ აგროვებენ ჯამში 50 ქულას. სხვა საქმეა, რომ ოდომს ხშირად გული დარბაზსგარეთ მიუწევს და სიამოვნებით შეუერთდებოდა „ლეიკერსის" გულშემატკივართა იმ შლეგ არმიას, რომელმაც საყვარელი გუნდის ჩემპიონობა ანგელოზთა ქალაქის ქუჩებში ვანდალური თარეშით აღნიშნა და მათი სიხარულის ზღვამ ქუჩაში გულუბრყვილოდ მიტოვებული ათეულობით მანქანა იმსხვერპლა.

**იასონ ფოლადაშვილი**



ფილ ჯექსონი

### ფინალები და უძვირფასესები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2008-09 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ორლანდო მეჯიქი | 4-1 | კობი ბრაიანტი |
| 2007-08 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-2 | პოლ პირსი |
| 2006-07 | სან ანტონიო სფურზი | კლივლენდ კავალიერზი | 4-0 | ტონი პარკერი |
| 2005-06 | მაიამი ჰითი | დალას მავერიკსი | 4-2 | დუეინ ვეიდი |
| 2004-05 | სან ანტონიო სფურზი | დეტროიტ პისტონზი | 4-3 | ტიმ დანკანი |
| 2003-04 | დეტროიტ პისტონზი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-1 | ჩონსი ბილაფსი |
| 2002-03 | სან ანტონიო სფურზი | ნიუ ჯერსი ნეთსი | 4-2 | ტიმ დანკანი |
| 2001-02 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ნიუ ჯერსი ნეთსი | 4-0 | შაკილ ონილი |
| 2000-01 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ფილადელფია 76 | 4-1 | შაკილ ონილი |
| 1999-00 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ინდიანა პეისერზი | 4-2 | შაკილ ონილი |
| 1998-99 | სან ანტონიო სფურზი | ნიუ იორკ ნიქსი | 4-1 | ტიმ დანკანი |
| 1997-98 | ჩიკაგო ბულზი | იუტა ჯაზი | 4-2 | მაიკლ ჯორდანი |
| 1996-97 | ჩიკაგო ბულზი | იუტა ჯაზი | 4-2 | მაიკლ ჯორდანი |
| 1995-96 | ჩიკაგო ბულზი | სიეტლ სუპერსონიქსი | 4-2 | მაიკლ ჯორდანი |
| 1994-95 | ჰიუსტონ როკიტსი | ორლანდო მეჯიქი | 4-0 | ჰაკიმ ოლაჯუონი |
| 1993-94 | ჰიუსტონ როკიტსი | ნიუ იორკ ნიქსი | 4-3 | ჰაკიმ ოლაჯუონი |
| 1992-93 | ჩიკაგო ბულზი | ფინიქს სანზი | 4-2 | მაიკლ ჯორდანი |
| 1991-92 | ჩიკაგო ბულზი | პორტლენდ ბლეიზერსი | 4-2 | მაიკლ ჯორდანი |
| 1990-91 | ჩიკაგო ბულზი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-1 | მაიკლ ჯორდანი |
| 1989-90 | დეტროიტ პისტონზი | პორტლენდ ბლეიზერსი | 4-1 | აიზია ტომასი |
| 1988-89 | დეტროიტ პისტონზი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-0 | ჯო დუმარსი |
| 1987-88 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | დეტროიტ პისტონზი | 4-3 | ჯეიმს ვორსი |
| 1986-87 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ბოსტონ სელტიქსი | 4-2 | მეჯიქ ჯონსონი |
| 1985-86 | ბოსტონ სელტიქსი | ჰიუსტონ როკიტსი | 4-2 | ლარი ბერდი |
| 1984-85 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ბოსტონ სელტიქსი | 4-2 | ქარიმ აბდულ ჯაბარი |
| 1983-84 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-3 | ლარი ბერდი |
| 1982-83 | ფილადელფია 76-ერსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-0 | მოზეს მელოუნი |
| 1981-82 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ფილადელფია 76 | 4-2 | მეჯიქ ჯონსონი |
| 1980-81 | ბოსტონ სელტიქსი | ჰიუსტონ როკიტსი | 4-2 | სედრიკ მაქსველი |
| 1979-80 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ფილადელფია 76 | 4-2 | მეჯიქ ჯონსონი |
| 1978-79 | სიეტლ სუპერსონიქსი | ვაშინგტონ ბულიტსი | 4-1 | დენის ჯონსონი |
| 1977-78 | ვაშინგტონ ბულიტსი | სიეტლ სუპერსონიქსი | 4-3 | ვეს ანსელდი |
| 1976-77 | პორტლენდ ბლეიზერსი | ფილადელფია 76 | 4-2 | ბილ უოლტონი |
| 1975-76 | ბოსტონ სელტიქსი | ფინიქს სანზი | 4-2 | ჯო ჯო ვაიტი |
| 1974-75 | გოლდენ სტეიტი | ვაშინგტონ ბულიტსი | 4-0 | რიკ ბერი |
| 1973-74 | ბოსტონ სელტიქსი | მილუოკი ბაქსი | 4-3 | ჯონ ჰავლიჩეკი |
| 1972-73 | ნიუ იორკ ნიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-1 | ვილის რიდი |
| 1971-72 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | ნიუ იორკ ნიქსი | 4-1 | უილტ ჩემბერლენი |
| 1970-71 | მილუოკი ბაქსი | ვაშინგტონ ბულიტსი | 4-0 | ქარიმ აბდულ ჯაბარი |
| 1969-70 | ნიუ იორკ ნიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-3 | ვილის რიდი |
| 1968-69 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-3 | ჯერი ვესტი |
| 1967-68 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-2 | |
| 1966-67 | ფილადელფია 76 | სან ფრანცისკო ვორიორზი | 4-2 | |
| 1965-66 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-3 | |
| 1964-65 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-1 | |
| 1963-64 | ბოსტონ სელტიქსი | სან ფრანცისკო ვორიორზი | 4-1 | |
| 1962-63 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-2 | |
| 1961-62 | ბოსტონ სელტიქსი | ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4-3 | |
| 1960-61 | ბოსტონ სელტიქსი | სენტ ლუის ჰოქსი | 4-1 | |
| 1959-60 | ბოსტონ სელტიქსი | სენტ ლუის ჰოქსი | 4-3 | |
| 1958-59 | ბოსტონ სელტიქსი | მინეაპოლის ლეიკერსი | 4-0 | |
| 1957-58 | სენტ ლუის ჰოქსი | ბოსტონ სელტიქსი | 4-2 | |
| 1956-57 | ბოსტონ სელტიქსი | სენტ ლუის ჰოქსი | 4-3 | |
| 1955-56 | ფილადელფია ვორიორზი | ფორტ ვეინ პისტონზი | 4-1 | |
| 1954-55 | სირაკუზ ნეშნელზი | ფორტ ვეინ პისტონზი | 4-3 | |
| 1953-54 | მინეაპოლის ლეიკერსი | სირაკუზ ნეშნელზი | 4-3 | |
| 1952-53 | მინეაპოლის ლეიკერსი | ნიუ იორკ ნიქსი | 4-1 | |
| 1951-52 | მინეაპოლის ლეიკერსი | ნიუ იორკ ნიქსი | 4-3 | |
| 1950-51 | როჩესტერ როიალზი | ნიუ იორკ ნიქსი | 4-3 | |
| 1949-50 | მინეაპოლის ლეიკერსი | სირაკუზ ნეშნელზი | 4-2 | |
| 1948-49 | მინეაპოლის ლეიკერსი | ვაშინგტონ კეპიტალზი | 4-2 | |
| 1947-48 | ბალტიმორ ბულიტსი | ფილადელფია ვორიორზი | 4-2 | |
| 1946-47 | ფილადელფია ვორიორზი | ჩიკაგო სტეგზი | 4-1 | |

# შავი სია ჩამოწერილია!
## ზოგი კეთილსინდისიერი ეჭვმიტანილია, ყველა ეჭვმიტანილი საინტერესო არ არის



კაროლინ ვოზნიაცკი

**კაცები**
ორდინა ოუფენი
ჰერტოგენფოსი, ჰოლანდია
ბალახი, 450 000 ევრო

**II წრე**

**ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — 7:5 7:6; **მიკაელ ლორდა** (საფრანგეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:2 6:3; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ტიმო დე ბაკერი (ჰოლანდია) 6:3 7:6; **ივან ნავარო** (ესპანეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:4 3:6 7:5; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:4 6:3; **რამონ სლიუტერი** (ჰოლანდია) — მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) 4:3 უარი; **ჟერემი შარდი** (საფრანგეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 3:6 6:3 6:3; **დუდი სელა** (ისრაელი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:4 6:3

**მეოთხედფინალი**

**ბენჯამინ ბეკერი** — მიკაელ ლოდრა 7:6 7:5; **რაინერ შუტლერი** — ჟერემი შარდი 7:6 3:6 7:6; **ივან ნავარო** — დავიდ ფერერი 6:4 6:2; **რამონ სლიუტერი** — დუდი სეპა 4:6 6:4 6:4

**ნახევარფინალი**

**ბენჯამინ ბეკერი** — რაინერ შუტლერი 3:6 7:5 6:1; **რამონ სლიუტერი** — ივან ნავარო 6:7 6:3 6:3

**ფინალი**

**ბენჯამინ ბეკერი** — რამონ სლიუტერი 7:5 6:3

აეგონი
ისტბორნი, დიდი ბრიტანეთი
თიხნარი, 450 000 ევრო

**II წრე**

**ფრანკ დანცევიჩი** (კანადა) — ჯეიმს უორდი (დ. ბრიტანეთი) 7:6 6:4; **ლეონარდო მაიერი** (არგენტინა) — ჟულიენ ბენიტო (საფრანგეთი) 6:4 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — რობი გონეპრი (აშშ) 4:6 6:4 6:1; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ჯოშუა გუდალი (დ. ბრიტანეთი) 6:3 7:5; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — სუნ ლიუ იენი (ტაივანი) 6:5 6:7 7:6; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ბრაიდან კლეინი (ავსტრალია) 7:6 6:1; **დენის ისტომინი** (უზბეკეთი) — სემ კიურეი (აშშ) 3:6 7:6 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ალექს ბოგდანოვიჩი (დ. ბრიტანეთი) 6:7 6:4 7:6

**მეოთხედფინალი**

**ფრანკ დანცევიჩი** — ლეონარდო მაიერი 6:7 6:4 7:5; **ფაბრის სანტორო** — ივან ლიუბიჩიჩი 3:6 4:2 უარი; **გილერმო გარსია-ლოპესი** — იანკო ტიპსარევიჩი 6:4 3:6 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი** — დენის ისტომინი 7:6 6:4

**ნახევარფინალი**

**ფრანკ დანცევიჩი** — ფაბრის სანტორო 6:4 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** — გილერმო გარსია-ლოპესი 6:2 6:2

**ფინალი**

**დმიტრი ტურსუნოვი** — ფრანკ დანცევიჩი 6:3 7:6

**ქალები**
აეგონი
ისტბორნი, დიდი ბრიტანეთი
ბალახი, 600 000 დოლარი

**II წრე**

**ვირჟინი როზანო** (საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:0 3:6 7:6; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 3:1 უარი; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 7:5 6:3; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1 7:5; **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:1 5:7 6:1; **ეკატერინა მაკაროვა** (რუსეთი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 7:6 7:6; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 5:7 1:0 უარი; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — ციე ჟენი (ჩინეთი) 7:6 6:3

**მეოთხედფინალი**

**ვირჟინი რაზანო** — აგნეშკა რადვანსკა 7:6 7:5; **მარიონ ბარტოლი** — ანაბელ მედინა-გარიგესი 6:1 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი** — ეკატერინა მარკოვა 6:3 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი** — ვერა დუშევინა 6:1 6:0

**ნახევარფინალი**

**ვირჟინი რაზანო** — მარიონ ბარტოლი 6:4 1:0 უარი; **კაროლინ ვოზნიაცკი** — ალექსანდრა ვოზნიაკი 3:6 6:4 6:4

**ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი** — ვირჟინი რაზანო 7:6 7:5

ორდინა ოუფენი
ჰერტოგენფოსი, ჰოლანდია
ბალახი, 220 000 დოლარი

**II წრე**

**დინარა საფინა** (რუსეთი) — იაროსლავა შვედოვა (ყაზახეთი) 6:3 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) — 2:6 6:2 6:1; **ფლავია პენეტა** (იტალია) — ქსენია პერვაკი (რუსეთი) 6:1 6:1; **ტამარინ ტამასუგარნი** (ტაილანდი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3 6:1; **კრისტინა ბაროისი** (გერმანია)— მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4 6:3; **იანინა ვიკმაიერი** (ბელგია) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 6:4 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 4:6 7:5 6:3; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1 6:3

**მეოთხედფინალი**

**დინარა საფინა** — დანიელა ჰანტუხოვა 1:6 6:4 6:3; **ტამარინ ტანასუგარნი** — ფლავია პენეტა 2:6 6:3 6:3; **იანინა ვიკმაიერი** — კრისტინა ბაროისი 6:1 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე** — ოლგა გოვორცოვა 6:1 6:3

**ნახევარფინალი**

**ტამარინ იანასუგარნი** — დინარა საფინა 7:5 7:5; **იანინა ვიკმაიერი** — ფრანჩესკა სკიავონე 7:6 2:6 6:3

**ფინალი**

**ტამარინ იანასუგარნი** — იანინა ვიკმაიერი 6:3 7:5





ოსკარ ერნანდესი და დანიელ კოლერერი

**ATP**-მ აღიარა, რომ მის ტურნირებში გარიგებული მატჩები მომრავლდა და რომ ამიერიდან ეჭვმიტანილებს ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

ცნობილი გახდა, რომ საჩოგბურთო ორგანიზაციამ სინდისიერებაში დაეჭვებულ მოთამაშეთა საგანგებო სიაც შეადგინა.

კონკრეტული გვარები გასაიდუმლოებულია, თუმცა ინგლისურმა „ინდეპენდიენტმა“ მკითხველს აცნობა, რომ ამ სიიდან 12 ჩოგბურთელი წლევანდელ „უიმბლდონზეც“ თამაშობს. ისიც ითქვა, რომ შავ სიაში მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო 50 ჩოგბურთელთა შორის მყოფნიც არიან. ზოგი მათგანის ეროვნებაც დასახელდა: რუსი, ესპანელი, იტალიელი და არგენტინელი.

ATP-ის ჩინოვნიკმა კი თქვა, შავ სიაში ისეთი ჩოგბურთელებიც მოხვდნენ, რომელთა კეთილსინდისიერებაში აქამდე ეჭვი არავის შეუტანია, ამავე დროს ყველა, ვისაც პრესა ცუდი თვალით უყურებს, ეჭვმიტანილი არ არისო.

ბოლო საეჭვო მატჩი, რომელმაც საჩოგბურთო წრეები აალაპარაკა, ჰოლანდიურ ჰერტოგენფოსში წინა კვირაში ჩატარებული ტურნირისაა.

იქ პირველ წრეში მსოფლიო რეიტინგის 67-ე ნომერი ესპანელი ოსკარ ერნანდესი და 91-ე რეიტინგის მქონე ავსტრიელი დანიელ კოლერერი შეხვდნენ.

საბუქმეკერო კანტორა „უილიამ ჰილმა“ იმის გამო, რომ ფსონები რატომღაც მხოლოდ ერნანდესის გამარჯვებაზე იდებოდა, ჯერ კოეფიციენტი შეამცირა, მერე კი სულაც შეწყვიტა ესპანელის სასარგებლოდ ფულის მიღება. ამასთანავე, ფერნანდესზე გვარიანი თანხებიც დაიდო.

ცეცხლზე ნავთი იმანაც დაასხა, რომ მატჩის დასრულებისთანავე (რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ერნანდესმა მოიგო) „იუთუბზე“ დაიდო ამ მატჩის დასასრულის კადრები, რომელზეც ჩანს, რომ გამარჯვებულს მოგება არ გახარებია, ხოლო დამარცხებულს წაგება არ სწყენია.

ამ ფაქტის კომენტირება ATP-ის მოთამაშეთა საბჭოს პრეზიდენტ როჯერ ფედერერს სთხოვეს, რომელმაც დიპლომატიურად თქვა, მსგავსი ხმები ჩოგბურთს დიდად ვნებს, მოთამაშეებმა კი საკუთარი ემოციები უნდა აკონტროლონო.

ამავე ტურნირზე დააკავეს 29 წლის რუსი გულშემატკივარი, რომელიც ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას ტრიბუნაზე იჯდა და ნოუთბუქით „ლაივში“ დებდა ფსონს. საჩოგბურთო წეს-კანონები ასეთ რამეს სასტიკად კრძალავს.

ამბობენ, რომ საეჭვო მატჩთა ნუსხაში, სულ მცირე, წლევანდელი ორი სხვა მატჩიცაა. ერთი მათგანი მაისში, ავსტრიული კიცბიუელის ტურნირზე გაიმართა, ოღონდ კონკრეტულად რომელ თამაშზეა ლაპარაკი, არ ამხელენ.

მეორე საეჭვო თამაში კი მონტე კარლოს ტურნირზე ჩატარდა აპრილში, სადაც ფრანგმა ჟან-რენე ლისნარმა მასზე გაცილებით ძლიერი ბელგიელი კრისტოფ როხუსი დაამარცხა — 6:2 6:2.

თუმცა ეჭვი ერთია და, დამტკიცება, მოგეხსენებათ, ძალიან რთული საქმეა.

მაგალითად, პოლონურ სოპოტში შარშანდელი მატჩი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელმაც უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა.

მაშინ რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ, ვინც იმხანად მსოფლიო რეიტინგის მე-5 ნომერი იყო, 87-ე ნომერ არგენტინელ მარტინ ვასალიო-არგუელოსთან წააგო. დავიდენკომ პირველი სეტი მოიგო, მეორეში დამარცხდა და მესამე სეტის თამაშზე უარი თქვა, მიზეზად კი ტრავმა დაასახელა.

მატჩის დასრულებისთანავე კი საბუქმეკერო კანტორა „ბეტფაირმა“ გამოაცხადა, რომ დავიდენკოს წაგებაზე 7 მილიონი დოლარი იყო დადებული.

ბუქმეკერთა ინიციატივით ATP-იმ გამოძიება დაიწყო, მაგრამ მალე იძულებული გახდა ასეთი განცხადება გაეკეთებინა: „ჩვენ ამოვწურეთ გამოძიების ყველა რესურსი და იძულებულები ვართ, საქმე შევწყვიტოთ.“

მეორე მხრივ, თუკი ATP ამ სენის ალმოფხვრას ვერ შეძლებს და უძლურებას აღიარებს, ჩოგბურთს სერიოზული საფრთხე დაემუქრება — მას მაყურებელი მოაკლდება, რაც თავის მხრივ, სპონსორულ შემოსავლებსაც მოაკლებს.

**ირაკლი ნინიძე**





ნიკოლაი დავიდენკო და მარტინ ვასალიო-არგუელო

სპორტი



# რებეკამ რეკორდი დაამხო და ლოურენსი ჩაიხუტა

**ᲬᲘᲜᲐ** „სარბიელში" გაუწყეთ, „ლოურენსის" უპრესტიჟულესი პრემია, რომელსაც სპორტულ „ოსკარსაც" უწოდებენ, იამაიკელმა მძლეოსანმა უსაინ ბოლტმა რომ მიიღო, როგორც 2008 წლის პლანეტის უძლიერესმა სპორტსმენმა.

ქალთა შორის იგივე ჯილდო, ორიოდე კვირით ადრე, რუს ჭოკით მხტომელ ელენა ისინბაევას ერგო.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო პრემიის დამწესებლებმა გალა-ცერემონიაზე უარი თქვეს და პრიზებს ნელ-ნელა, პირადად უგზავნიან ლაურეატებს.

რამდენიმე დღის წინ კი ჯილდო კიდევ ერთმა გამარჯვებულმა ჩაიბარა — ბრიტანელი მოცურავე რებეკა ედლინგტონი წლის პროგრესისთვის დააჯილდოვეს.

ამ 19 წლის გოგომ პეკინის ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალი მოიგო და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ძველი რეკორდი მთელი 19 წელი ხელშეუხებელი გახლდათ.

რებეკამ ნომინაციაში ანა ივანოვიჩს და ნოვაკ ჯოკოვიჩს გადაუსწრო.

**ირაკლი ნინიძე**

ჭადრაკი

# უსინათლოებმა ჭადრაკი ითამაშეს

**ᲬᲘᲜᲐ** კვირაში ფონიჭალის კულტურის სახლში თბილისის ჩემპიონატი ჩატარდა ჭადრაკსა და შაშში უსინათლოთა შორის.

უსინათლოთა ტურნირი, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით პირველად გაიმართა.

ტურნირში 28 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, ადგილები კი ასე განაწილდა:

| ჭადრაკი | შაში |
|---|---|
| გოგი ჭუმბურიძე | ზვიად ფხიკლეიშვილი |
| პეტრე კუჩეროვი | ჯაბა ჭიოკაძე |
| ნიკოლოზ მირონოვი | რომან გოგოლაძე |

რაგბი

### უმაღლესი ლიგა

VIII ტური

უნივერსიტეტი 5:12 აკადემია
რუსთავი 8:9 ლოკომოტივი
ბათუმი 28:39 ლელო
აია 20:20 ვისოლი-ყოჩები

*ჩაიშალა 76-ე წუთზე*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 5 | 5 | 0 | 0 | 188:98 | 10 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 95:68 | 8 |
| აკადემია | 8 | 4 | 0 | 4 | 120:122 | 8 |
| ბათუმი | 8 | 4 | 0 | 4 | 148:173 | 8 |
| ვისოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 61:38 | 6 |
| აია | 6 | 2 | 0 | 4 | 82:72 | 4 |
| რუსთავი | 8 | 2 | 0 | 6 | 69:122 | 4 |
| უნივერსიტეტი | 6 | 1 | 0 | 5 | 63:133 | 2 |

### ჭაბუკთა A ჯგუფი

VIII ტური

ყოჩები 50:3 ბორჯომი
აკადემია 29:8 არმაზი
შევარდენი 0:6 რუსთავი
ჯიქები — ივერია

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 7 | 7 | 0 | 0 | 307:78 | 14 |
| აკადემია | 7 | 6 | 0 | 1 | 234:81 | 12 |
| ყოჩები | 6 | 4 | 1 | 1 | 173:60 | 9 |
| ივერია | 7 | 4 | 1 | 2 | 207:95 | 9 |
| ჯიქები | 6 | 3 | 0 | 3 | 170:85 | 6 |
| შევარდენი | 7 | 3 | 0 | 4 | 197:115 | 6 |
| არმაზი | 7 | 3 | 0 | 4 | 131:104 | 6 |
| რუსთავი | 7 | 2 | 0 | 5 | 39:188 | 4 |
| ბორჯომი | 8 | 1 | 0 | 7 | 119:265 | 2 |
| თელავი | 6 | 0 | 0 | 6 | 25:531 | 0 |

### დუბლები

VIII ტური

ბათუმი 10:25 ლელო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისოლი | 6 | 5 | 0 | 1 | 104:75 | 10 |
| ლელო | 8 | 5 | 0 | 3 | 151:102 | 10 |
| ბათუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 96:146 | 5 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 1 | 4 | 88:116 | 3 |

### ჭაბუკთა B ჯგუფი

IX ტური

ხულიგანა 57:3 თელავი
ჯიქები 15:12 აკადემია
ივერია 12:14 რაინდები
ლელო 16:0 არმაზი
რუსთავი — შევარდენი
უნივერსიტეტი — ყოჩები

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქები | 7 | 7 | 0 | 0 | 159:42 | 14 |
| აკადემია | 8 | 7 | 0 | 1 | 338:45 | 14 |
| უნივერსიტეტი | 7 | 6 | 0 | 1 | 157:61 | 12 |
| ლელო | 8 | 5 | 0 | 3 | 207:68 | 10 |
| რუსთავი | 8 | 5 | 0 | 3 | 191:106 | 10 |
| არმაზი | 8 | 3 | 2 | 3 | 173:99 | 8 |
| ხულიგანა | 8 | 4 | 0 | 4 | 158:182 | 8 |
| შევარდენი | 7 | 3 | 1 | 3 | 55:98 | 7 |
| ყოჩები | 7 | 2 | 1 | 4 | 117:141 | 5 |
| რაინდები | 8 | 1 | 0 | 7 | 75:193 | 2 |
| თელავი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:421 | 0 |
| ივერია | 8 | 0 | 0 | 8 | 46:223 | 0 |

კალათბურთი

# რუს ქალებს შუა თითი ბოლომდე ვერ დაეხმარა

**ᲥᲐᲚᲗᲐ** ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც ლატვიამ უმასპინძლა, ფრანგთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ჩემპიონატმა ამავდროულად ის ქვეყნებიც გამოავლინა, გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ითამაშებენ ევროპიდან. ესენი არიან: საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, ბელარუსი, იტალია. მსოფლიოს პირველობა ჩეხეთში ტარდება და შესაბამისად, მეექვსე ევროპული ქვეყანა ჩეხეთი იქნება.



ფრანგებმა ევროპა მოიგეს და ბადეც მოჭრეს

ევროპულ ფინალში კი ფრანგი ქალები ერთი ხანობა 19 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ მერე ამხელა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქრათ და საბოლოოდ, 4-ქულიან გამარჯვებას დასჯერდნენ. თუმცა ამას, აბა, ახლა რა მნიშვნელობა აქვს

რუსეთმა ევროპის ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა.

სათაურში გამოტანილი შუა თითის ამბავი კი მეოთხედფინალიდანაა: მასპინძელ ლატვიასთან მატჩი რუსებმა ოვერტაიმში მოიგეს.

ძირითადი დროის მიწურულამდე ლატვია წინ იყო და რუსებმა ბოლოსკენ მოახერხეს გარდატეხა. როცა გაათანაბრეს, მათმა სტეპანოვამ ტელეკამერის ობიექტივს შუა თითი უჩვენა, აქაოდა, ხომ მაინც მაგრები ვართო.

ფინალში რუს კალათბურთელს იგივე ჟესტი არ უხმარია — აზრი არ ჰქონდა.

**ლუკა თალაკვაძე**

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები ლატვია. 7-20 ივნისი

#### მეორე ეტაპი

**E ჯგუფი**

პოლონეთი 56:65 სლოვაკეთი
საბერძნეთი 48:67 ესპანეთი
ჩეხეთი 47:65 ლატვია
საბერძნეთი 62:45 ჩეხეთი
ესპანეთი 67:55 პოლონეთი
სლოვაკეთი 78:69 ლატვია
სლოვაკეთი 57:59 საბერძნეთი
პოლონეთი 68:82 ჩეხეთი
ლატვია 60:67 ესპანეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 5 | 0 | +62 | 10 |
| სლოვაკეთი | 5 | 3 | 2 | +6 | 8 |
| ლატვია | 5 | 3 | 2 | +38 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 3 | -4 | 7 |
| ჩეხეთი | 5 | 1 | 4 | -35 | 6 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 4 | -57 | 6 |

**F ჯგუფი**

იტალია 59:64 თურქეთი
ბელარუსი 51:66 რუსეთი
ლიტვა 55:57 საფრანგეთი
ბელარუსი 61:55 ლიტვა
რუსეთი 67:59 იტალია
თურქეთი 43:55 საფრანგეთი
იტალია 72:58 ლიტვა
თურქეთი 70:86 ბელარუსი
საფრანგეთი 72:66 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | +37 | 10 |
| რუსეთი | 5 | 4 | 1 | +38 | 9 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 3 | -4 | 7 |
| იტალია | 5 | 2 | 3 | -5 | 7 |
| თურქეთი | 5 | 2 | 3 | -33 | 7 |
| ლიტვა | 5 | 0 | 5 | -33 | 5 |

**მეოთხედფინალი**

ესპანეთი 61:42 იტალია
რუსეთი 69:64 (ოტ) ლატვია
სლოვაკეთი 68:70 ბელარუსი
საფრანგეთი 51:49 საბერძნეთი

**ნახევარფინალი**

ესპანეთი 61:77 რუსეთი
ბელარუსი 56:64 საფრანგეთი

**სანუგეშო ნახევარფინალი**

იტალია 68:66 (ოტ) ლატვია
სლოვაკეთი 59:64 საბერძნეთი

**მე-7 ადგილისთვის**

ლატვია 67:59 სლოვაკეთი

**მე-5 ადგილისთვის**

იტალია 56:60 საბერძნეთი

**მე-3 ადგილისთვის**

ესპანეთი 63:56 ბელარუსი

**ფინალი**

რუსეთი 53:57 საფრანგეთი

ცურვა

# ასე იცის მარიხუანამ

**ᲛᲐᲘᲙᲚ ᲤᲔᲚᲞᲡᲛᲐ** პეკინის ოლიმპიადის მერე რვა გაცურვაში მიიღო მონაწილეობა და ამათგან ოთხში ხელი მოეცარა. ბოლოს ფელპსი წინა კვირაში, სანტა კლარაში ჩატარებულ ტურნირზე გამოვიდა ორ დისტანციაზე და — არაფერი. ფელპსმა თავისი საყვარელი, 100 მეტრზე თავისუფალი სტილიც კი წააგო.

ზოგადად, ვის არ წაუგია და 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონიც შეიძლება დამარცხდეს, მაგრამ წინაისტორიასაც თუ გავიხსენებთ, ამ წაგებას სხვა ელფერი დაჰკრავს.

შეგახსენებთ, რომ პეკინში 8 ოლიმპიური ოქროს მომგებმა ამერიკელმა (6 ოქრო ათენში მოიგო), ცოტა ხნით განტვირთვა მოინდომა, ოლონდაც დასვენების და გართობის საეჭვო მეთოდი შეარჩია — მარიხუანას მიეძალა, რაშიც ამხილეს და ოთხთვიანი დისკვალიფიკაციაც მოახდევინეს. ამასთანავე — ახლახან გვეწერა — რომ მავანმა ბალტიმორელმა სტრიპტიზიორმა გოგომ განაცხადა, მაიკლი ჯგუფური სექსის დიდი მოყვარულიაო.

ჰოდა, მარიხუანას და დისკვალიფიკაციის ამბავს თუ გავიხსენებთ, დიადი ჩემპიონის მიჯრით წაგებულ ტურნირებს განსხვავებული ელფერი მართლაც დაჰკრავს.



სანტა კლარაში ფელპსის გამსწრებმა კანადელმა ბრენტ ჰეიდენმა კი დაიტრაბახა, ვისაც გინდა დავამარცხებ, საქმე მხოლოდ ადგილსა და დროშიაო.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უეფა. ევ 2009 (21) შვედეთი | | | | | | |
| | | 22 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 1 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 9.00 | 5.00 | 1.30 | 3.21 | 1.13 | 1.03 |
| 22:45 | 2 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 3.20 | 1.95 | 3.65 | 1.21 | 1.70 | 1.27 |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 3 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| 22:45 | 4 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 8.30 | 4.30 | 1.35 | 2.83 | 1.16 | 1.02 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 41 | ჰონკა-კუოპიო | 1.30 | 4.50 | 9.60 | 1.00 | 1.14 | 3.06 |
| 19:30 | 42 | ტურკუ-როვანიემი | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| 19:30 | 44 | იარო-მარიეჰამნი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:30 | 45 | ვაასა-ივესკილა | 1.75 | 3.25 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.86 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 57 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:15 | 58 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I ტაიმის შედეგი | | | | | | |
| 10001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 8.00 | 2.60 | 1.50 | 1.96 | 1.26 | 1.00 |
| 10002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 7.00 | 2.50 | 1.55 | 1.84 | 1.26 | 1.00 |
| | II ტაიმის შედეგი | | | | | | |
| 19001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 8.00 | 3.20 | 1.30 | 2.28 | 1.11 | 1.00 |
| 19002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 3.25 | 2.65 | 2.20 | 1.45 | 1.31 | 1.20 |
| 19057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.75 | 2.60 | 6.00 | 1.04 | 1.35 | 1.81 |
| 19003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 3.20 | 2.30 | 2.55 | 1.33 | 1.41 | 1.20 |
| 19004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 7.00 | 3.20 | 1.45 | 2.19 | 1.20 | 1.00 |

### ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 5.70 | 1.11 |
| 16002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 2.20 | 1.50 |
| 16057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 1.52 | 2.20 |
| 16058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.12 | 4.60 |
| 16003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 1.95 | 1.65 |
| 16004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 5.70 | 1.11 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| *14001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 2.90 | 1.08 |
| *14002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 1.90 | 1.90 |
| *14057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 1.75 | 2.10 |
| *14058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.20 | 2.60 |
| *14003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 1.95 | 1.85 |
| *14004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 2.60 | 1.20 |

### პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 3.65 | |
| 23002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 1.70 | 1.27 |
| 23057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 1.27 | 1.75 |
| 23058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.01 | 3.30 |
| 23003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 1.55 | 1.37 |
| 23004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 3.65 | |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *12001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| *12002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 2,5 | 1.55 | 2.10 | 6.75 |
| *12057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 2,5 | 2.50 | 1.40 | 3.70 |
| *12058 | ვალური-ვესტმანეიერი | 2,5 | 2.30 | 1.45 | 4.00 |
| *12003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| *12004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *15001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15058 | ვალური-ვესტმანეიერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 1.85 | 1.95 |

### 1-ლი-ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 11.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.75 |
| 11002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11057 | ბრეიდაბლიკი-სტიერნერი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11058 | ვალური-ვესტმანეიერი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11003 | სერბეთი 21-შვედეთი 21 | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11004 | ბელარუსი 21-იტალია 21 | 10.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | ფინეთი 21-ესპანეთი 21 | 1.90 | 1.70 |
| 13002 | გერმანია 21-ინგლისი 21 | 1.55 | 2.10 |

**უიმბლდონის ტურნირის კოეფიციენტებს სრული ფორმით ადგილზე გაეცანით**

### ჩოგბურთი . ქალები WIMBLEDON

22 ივნისი

14:00 3000 - აზარენკა-ბრემონი 1.05 ---- 10.00
14:00 3008 - ამანმურადოვა-პარმენტიე .80 ---- 2.00
14:00 3016 - ბამერი-ოუდინი 1.60 ---- 2.30
14:00 3024 - ბარტოლი-იუ ჯ ჩანი 1.12 ---- 6.00
14:00 3032 - ბენეშოვა-ო ბრაიანი 1.45 ---- 2.70
14:00 3040 - ა ბონდარენკო-ბალტაჩა 1.30 ---- 3.50
14:00 3048 - კ ბონდარენკო-სევასტოვა 1.40 ---- 2.90
14:00 3056 - ვაიდიშოვა-დე ლოს რიოს 1.20 ---- 4.40
14:00 3064 - ვეშპაიერი-ვესნინა 1.25 ---- 3.90
14:00 3072 - ვოზნიაკი-სუარეზი 1.60 ---- 2.30
14:00 3080 - ვოზნიაცკი-დალე კრუში 1.03 ---- 12.00
14:00 3088 - განტუხოვა-ლე რომბსონი 1.15 ---- 5.00
14:00 3096 - გარბინი-ბრიანტი 1.80 ---- 2.00
14:00 3104 - გოვორცოვა-პერებიინისი 1.15 ---- 5.20
14:00 3112 - დემენტიევა-კუდრიავცევა 1.05 ---- 8.00
14:00 3120 - დემი-ოლარუ 1.40 ---- 2.90
14:00 3128 - დოკიჩი-მალეკი 1.45 ---- 2.70
14:00 3136 - დულკო-ფორეში 1.30 ---- 3.50
14:00 3144 - დუშევინა-კორნე 1.80 ---- 2.00
14:00 3152 - ზაკოპალოვა-ლარჩერ დე ბრიტო 1.35 ---- 3.20
14:00 3160 - ზვონარიოვა-სტოიაპი 1.03 ---- 12.00
14:00 3168 - ივანოვიჩი-პრაკუშა 1.05 ---- 10.00
14:00 3176 - კანეპი-სუარეს ნავარო 1.40 ---- 2.90
14:00 3184 - კეტავონგი-პ მაიერი 1.20 ---- 4.40
14:00 3192 - კინგი-კორიტცევა 1.90 ---- 1.90
14:00 3200 - კირსტეა-გალოვიცი 1.25 ---- 3.90
14:00 3208 - კლეიბანოვა-კარატანჩევა 1.45 ---- 2.70
14:00 3216 - კუზნეცოვა-მორიგამი 1.02 ---- 13.00
14:00 3224 - ნ ლი-ვოსკობოევა 1.10 ---- 6.50
14:00 3232 - მაკაროვა-სტროკოვა 1.25 ---- 3.80
14:00 3240 - მანასიევა-ბაჩინსკი 1.70 ---- 2.15
14:00 3248 - მედინა გარიგესი-დომახოვსკა 1.25 -- 3.80
14:00 3256 - მირზა-გრონეფელდი 1.55 ---- 2.40
14:00 3264 - მორესმო-ფინკი 1.20 ---- 4.40
14:00 3272 - პავლიუჩენკოვა-ცეტკოვსკა 1.20 ---- 4.50
14:00 3280 - პეერი-კამერინი 1.65 ---- 2.20
14:00 3288 - პენეტა-გლატჩი 1.55 ---- 2.40
14:00 3296 - პენეტა-ლიაგოსტერა ვივესი 1.10 ---- 6.50
14:00 3304 - პეტროვა-იაკიმოვა 1.15 ---- 5.00
14:00 3312 - პირონკოვა-კრეიბასი 1.75 ---- 2.05
14:00 3320 - ა რადვანსკა-მარტინეს სანჩესი 1.15 -- 5.20
14:00 3328 - უ რადვანსკა-ზენ პესკირიჩი 1.15 --- 5.00
14:00 3336 - რაზანო-პასეკი 1.10 ---- 6.50
14:00 3344 - რეზაი-მორიტა 1.20 ---- 4.50
14:00 3352 - რიბარიკოვა-ვინჩი 1.45 ---- 2.70
14:00 3360 - სავაი-ფლიპკენსი 1.25 ---- 3.80
14:00 3368 - საფინა-მატ იოჰანსონი 1.45 ---- 2.70
14:00 3376 - საფაროვა-გროტი 1.65 ---- 2.20
14:00 3384 - სავინა-დომინგეს ლინო 1.02 ---- 13.00
14:00 3392 - სტოსური-მატეკი 1.20 ---- 4.40
14:00 3400 - ტანასუგარნ-პარა 1.12 ---- 6.00
14:00 3408 - ვ უილიამსი-ვოგელი 1.02 ---- 8.00
14:00 3416 - ს უილიამსი-ნ სილვა 1.03 ---- 12.00
14:00 3424 - ციბულკოვა-ჯ კინი 1.10 ---- 6.00
14:00 3432 - ჩაკვეტაძე-ლისიცკი 1.50 ---- 2.50
14:00 3440 - ჩენგი-ბართისი 1.20 ---- 4.50
14:00 3448 - შარაპოვა-კულიხოვა 1.05 ---- 8.00
14:00 3456 - შვედოვა-ნიკულესკუ 1.55 ---- 2.40
14:00 3464 - შნიდერი-სუგიამა 1.70 ---- 2.15
14:00 3472 - შპრემი-კულიკოვა 1.80 ---- 2.00
14:00 3480 - ერაკი-დიუბუა 1.40 ---- 2.90
14:00 3488 - იანკოვიჩი-გერგესი 1.07 ---- 8.00

### ჩოგბურთი . კაცები WIMBLEDON

22 ივნისი

14:00 4000 - გასკესი-სტარაჩე 1.55 ---- 2.30
14:00 4008 - ალვესი-პაველი 1.65 ---- 2.20
14:00 4016 - ალმაგრო-მონაკო 1.70 ---- 2.10
14:00 4024 - ანდრეევი-კოროლიოვი 1.40 ---- 2.90
14:00 4032 - ბეკი-მ გრანოლერსი 1.15 ---- 5.30
14:00 4040 - ბეკერი-კარანუშიჩი 1.35 ---- 3.00
14:00 4048 - ბერდიხი-ბოგდანოვიჩი 1.15 ---- 5.00
14:00 4056 - ჯ ბლეიკი-სეპი 1.15 ---- 5.30
14:00 4064 - ბოლელი-კოლერერი 1.12 ---- 6.00
14:00 4072 - ვავრინკა-შვანკი 1.07 ---- 7.50
14:00 4080 - ვასაი არგუელო-ანდუხარი 1.65 ---- 2.20
14:00 4088 - ვერდასკო-უორდი 1.04 ---- 11.00
14:00 4096 - გინეპრი-ი ნავარო 1.85 ---- 1.90
14:00 4097 - გინეპრი-ი ნავარო 3:0 ---- 5.00
14:00 4104 - გარსია ლოპესი-კალერი 1.10 ---- 5.00
14:00 4112 - გიკელი-მანარინო 1.40 ---- 2.70
14:00 4120 - ფ გონსალესი-გაბაშვილი 1.05 ---- 8.40
14:00 4128 - გროუელი-იანი 1.50 ---- 2.30
14:00 4136 - გულბისი-გედოვი 1.10 ---- 5.00
14:00 4144 - დავიდენკო-დ ვანსი 1.05 ---- 7.40
14:00 4152 - დანჩევიჩი-დარსისი 1.60 ---- 2.20
14:00 4160 - დელ პოტრო-კლემანი 1.05 ---- 6.40
14:00 4168 - დენტი-ხიმენო ტრავერი 1.05 ---- 6.70
14:00 4176 - ნ ჯოკოვიჩი-ბენეტო 1.03 ---- 9.00
14:00 4184 - დიმიტროვი-კუნიცინი 1.70 ---- 1.90
14:00 4192 - ზემლია-მონტანესი 1.60 ---- 2.20
14:00 4200 - ისტომინი-ფოგნინი 1.30 ---- 3.00
14:00 4208 - კანასი-ჟუკუეირა 1.25 ---- 3.30
14:00 4216 - კარლოვიჩი-ლაცკო 1.05 ---- 6.00
14:00 4224 - კიფერი-სანტორო 1.55 ---- 2.20
14:00 4232 - კოლშრაიბერი-სერა 1.15 ---- 4.90
14:00 4240 - კუევასი-კ როჩუსი 1.75 ---- 1.90
14:00 4248 - კუერი-ლიუბიჩიჩი 1.55 ---- 2.20
14:00 4256 - ნ ლაპენტი-დევილდერი 1.30 ---- 2.90
14:00 4264 - ლოდრა-გუდალი 1.05 ---- 6.20
14:00 4272 - ფ ლოპესი-კ ბეკი 1.25 ---- 3.50
14:00 4280 - ლ მაიერი-ო ერნანდესი 1.30 ---- 3.00
14:00 4288 - მალისი-შუტლერი 1.75 ---- 1.90
14:00 4296 - მარი-გილი 1.35 ---- 2.90
14:00 4304 - მატიე-ვლიეგენი 1.25 ---- 3.50
14:00 4312 - მელცერი-ოდესნიკი 1.20 ---- 3.90
14:00 4320 - ი მინარი-მ გონსალესი 1.35 ---- 2.80
14:00 4328 - ე მიური-კენდრიკი 1.01 ---- 19.00
14:00 4336 - პეტშნერი-რ რამი 1.45 ---- 2.40
14:00 4344 - რობრედო-გრეგორცი 1.05 ---- 7.00
14:00 4352 - როდიკი-ნარდი 1.05 ---- 7.40
14:00 4360 - როჯერ ვასელინ-კუბოტი 1.35 ---- 3.10
14:00 4368 - საფინი-ლევაინი 1.35 ---- 3.00
14:00 4376 - სელა-გონსალესი 1.50 ---- 2.50
14:00 4384 - სიმონი-რეინოლდსი 1.20 ---- 4.20
14:00 4392 - სოდერლინგი-ჟ მიულერი 1.10 ---- 6.30
14:00 4400 - სპედი-კოპდევილე 1.75 ---- 2.00
14:00 4408 - ტიპსარევიჩი-გერინისი 1.22 ---- 4.00
14:00 4416 - ტროიცკი-დაბული 1.15 ---- 5.00
14:00 4424 - ტურსუნოვი-ზვერევი 1.40 ---- 2.80
14:00 4432 - ფეუ-კრივოი 1.42 ---- 2.80
14:00 4440 - ფედერერი-ლუ 1.00 ---- 8.00
14:00 4456 - ფიში-როიტმანი 1.03 ---- 12.00
14:00 4464 - ჰაასი-პეია 1.05 ---- 9.00
14:00 4472 - ჰიუიტი-ჯინეპრი 1.15 ---- 5.00
14:00 4480 - ცონგა-გოლუბევი 1.04 ---- 11.00
14:00 4488 - ჩილიჩი-ა მარტინი 1.03 ---- 12.00
14:00 4496 - შტეპანეკი-ფალა 1.30 ---- 3.40
14:00 4504 - იუჟნი-ფერერო 1.80 ---- 2.00

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჯენარო გატუზო და კარლო ანჩელოტი



დავიდ ვილია და ფერნანდო ტორესი



ფრანკ რიბერი

# 26: მანჩესტერის სურვილის ზღვარი

## ჯენარო გატუზომ ინგლისს სიყვარული აუხსნა

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** კლუბის ახალი სატრანსფერო დოქტრინა გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, მანჩესტერელები უარს ამბობენ 26 წელს გადაცილებული ფეხბურთელების შეძენაზე.

პირველ რიგში ეს ნიშნავს, რომ „იუნაიტედი“ ფრანკ რიბერისთვის ბრძოლას გამოეთიშა, რაკი საფრანგეთის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელს 26 წელი ამ ორიოდე თვის წინ შეუსრულდა.

ამგვარად, ბოლო ასაკგადაცილებული ფეხბურთელი, რომელიც ალექს ფერგიუსონმა იყიდა, ბულგარელი დიმიტარ ბერბატოვია, რომელიც კონტრაქტის გაფორმების მომენტში უკვე 27 წლისა იყო.

რიბერის თაობაზე კი მანჩესტერელებმა საგანგებოდაც განაცხადეს, რომ „ბაიერნის“ პრეზიდენტის, კარლ-ჰაინც რუმენიგეს ნათქვამი, რიბერის ყიდვა „მანჩესტერსაც“ სურსო, სიმართლეს არ შეესაბამება.

26 წლისანი უკვე არიან ბარსელონელი სამუელ ეტოო და ვალენსიელი დავიდ ვილია, რომელთა სახელებსაც ასევე უკავშირებდნენ „მანჩესტერს“.

თუმცა მანჩესტერელთა ახალ წესს ერთი გამონაკლისი მაინც აქვს — ასაკიან ფეხბურთელს იმ შემთხვევაში გაუფორმებენ ახალ კონტრაქტს, თუ ის 26 წლის შესრულების მომენტში უკვე თამაშობდა „მანჩესტერში“ და ამასთანავე კლუბი ჩათვლის, რომ ამ ფეხბურთელს სატრანსფერო ღირებულება არ დაუკარგავს.

რიბერისთვის ბრძოლას კი „რეალი“, „ჩელსი“ და „ბარსელონა“ განაგრძობენ.

და თუ ამ ბრძოლაში გამარჯვება „რეალს“ დარჩა და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მადრიდელებმა უკვე გააფორმეს კაკასთან კონტრაქტი და კრიშტიანუ რონალდუსთან საბოლოოდ შეთანხმდნენ, კლუბს კვლავაც შეეძლება თავს „ელ გალაქტიკო“ უწოდოს, როგორც ეს იმ დროს იყო, იქ ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, რონალდო და დევიდ ბექემი რომ თამაშობდნენ.

„რეალი“ „ბაიერნს“ ფრანკის სანაცვლოდ 55 მილიონ ევროს სთავაზობს.

იმასაც ამბობენ — და ეს დადასტურებული ინფორმაციაა — რომ „რეალს“ დავიდ ვილიას ყიდვაც სურს. ამ ფეხბურთელის თაობაზე კი „ვალენსიას“, შესაძლოა, „ლივერპულმაც“ მიმართოს. საქმე ის არის, რომ მერსისაიდელი ფერნანდო ტორესი თავის ბოსებს დაჟინებით ურჩევს ვილიას ყიდვას.

ტორესმა თქვა: „კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას მე რომ ვწყვეტდე, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი და ყველაფერს ვილონებდი ვილიას გადმოსაყვანად. მე და ვილია მოედანზე ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ და „ლივერპულს“ უდიდეს სარგებელს მოვუტანდით.“

„რეალის“ სამ ფეხბურთელს კი „ტოტენჰემმა“ დაადგა თვალი. ესენი არიან — არიენ რობენი, კლაას იან ჰუნტელაარი და გაბრიელ ჰაინცე. ლონდონელთა მენეჯერმა დენიელ ლევიმ განაცხადა, რომ ამ სამეულში ერთად 43 მილიონი ევროს გადამხდელები არიან.

„ტოტენჰემმა“ რეალელების ყიდვის სურვილი მას მერე გამოხატა, რაც რამდენიმე დღის წინ ნახევარმცველი დიდიე ზოკორა „სევილიას“ მიჰყიდა. კონტრაქტი 4-წლიანია და ფეხბურთელი წელიწადში 1,2 მილიონ ევროს მიიღებს.

ზემოთ რიბერით „ჩელსის“ დაინტერესება ვახსენეთ და დიდი შანსია, ამ კლუბში მილანელმა ჯენარო გატუზომაც ამოჰყოს თავი.

მოგეხსენებათ, „მილანის“ ყოფილი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ახლახანს გადავიდა „ჩელსიში“ და რა გასაკვირია, თავისი ყოფილი ფეხბურთელის წაყვანაც რომ სურდეს.

დაინტერესების შესახებ საფეხბურთო აგენტმა ანდრეა დამიკომ განაცხადა, ხოლო თავად გატუზომ, რომელსაც შესაძლო ტრანსფერის თაობაზე „დეილი მირორი“ შეეკითხა, თქვა: „ინგლისური პრემიერლიგა საუკეთესოა მსოფლიოში და ვთვლი, რომ ჩემი მონაცემების მქონე ფეხბურთელისთვის პრემიერლიგაში თამაში საუკეთესო ვარიანტი იქნება. თუმცა „მილანიდან“ წასვლის გადაწყვეტილებას იოლად ვერ მივიღებ, რაკი ამ გუნდში ძალიან დიდი ხანია, ვთამაშობ და აქაურობა ჩემი სახლია. მაგრამ ეს ცხოვრებაა და წინასწარ ვერ ვიტყვი, ხვალ რა იქნება“.

შეგახსენებთ, რომ გატუზო „მილანში“ 1999 წლიდან თამაშობს და მიმდინარე კონტრაქტის ვადა ორი წლის მერე ეწურება.

აი, ინტერელი ზლატან იბრაჰიმოვიჩის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე კი ლაპარაკი, ალბათ, შეწყდება — ამბობენ, რომ შვედმა სუპერფორვარდმა ჟოზე მოურინიოსთან დარჩენა გადაწყვიტა.

**კოტე კეკელია**

# ათასფერი ტრანსფერი

## ევროპაში მიდი-მოდი გახურდა

**გერმანულ** მედიაში ინფორმაციამ გაჟონა, ჩემპიონი „ვოლფსბურგი“ „ჰამბურგის“ თავდამსხმელით, მლადენ პეტრიჩით არის დაინტერესებული.

ამის პასუხად ჰამბურგელთა მენეჯერმა ბერნდ ჰოფმანმა თქვა, გამორიცხულია, პეტრიჩი არ იყიდება და თუ „ვოლფსბურგს“ მაღალი კლასის ფორვარდი სჭირდება, სადმე სხვაგან ეძებოსო.

ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელს მოქმედი კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს. მან წინა სეზონში გუნდის 82 გოლიდან 21 გაიტანა და ამითაც იოლი მისახვედრია, რაოდენ ფასეულ ფეხბურთელს წარმოადგენს საპორტო ქალაქის გუნდისთვის. მით უმეტეს, „ჰამბურგი“ უკვე შეელია ივიცა ოლიჩს, რომელმაც წინა სეზონში 25 გოლი გაიტანა და „ბაიერნს“ მიაშურა.

ბელგიის ნაკრების ფეხბურთელ ტომას ვერმალენს ლონდონის „არსენალში“ გადასვლამდე ოდენ სამედიცინო შემოწმება უკლია. 23 წლის მცველი „მეთოფეებთან“ 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ვერმალენი აქამდე „აიაქსში“ თამაშობდა და წინა სეზონის 31 მატჩში 4 გოლიც გაიტანა. ჰოლანდიელები მის სანაცვლოდ 11 მილიონ გირვანქას მიიღებენ.

33 წლის შემტევი ნახევარმცველი ივან დე ლა პენია „ესპანიოლს“ ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება და პრაქტიკულად გადაწყვეტილია მისი ახალ კლუბში გადასვლა. ახლა საკითხავი, ამ ახალი კლუბის სახელია.

ფეხბურთელის აგენტმა მანუელ ფერერმა განაცხადა, რომ ინგლისური „ბლექბერნის“, რუსული „სპარტაკის“, ასევე ბერძნული და არაბული ვარიანტები აქვს.

ჩემი კლიენტი საუკეთესოა „ესპანიოლში“, რაც მის ხელფასზე, სამწუხაროდ, არ ისახება — განმარტა დე ლა პენიას და კატალონიური კლუბის უთანხმოების მიზეზი აგენტმა.

„ლიონის“ ლიდერი და ჯარიმების უბადლო შემსრულებელი ჟუნინიო პერნამბუკანო ყატარში წავიდა, სადაც „ალ ჯაფარაში“ გააგრძელებს კარიერას.

34 წლის ბრაზილიელმა ყატარელებთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ჟუნინიო 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონია.

**კარლოს ტევესმა** კი უარი უთხრა „მანჩესტერს“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე. კლუბმა არგენტინელის გამოსასყიდად — რომლის საკონტრაქტო უფლებებიც ბიზნესმენ კია ჯურაბჩიანს ეკუთვნის — 25 მილიონი გირვანქა გაიმეტა და თავად ფეხბურთელსაც ხვირიანი ხელფასი შესთავაზა. მაგრამ ტევესის პრობლემა ის არის, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ამიტომაც სურს სხვა კლუბში გადასვლა.

კონტრაქტის გაფორმებაზე უარის თქმის მერე კი დიდი შანსია, ტევესი მანჩესტერშივე დარჩეს, ოღონდ „სიტის“ მაისურა მოირგოს.

„ჩელსის“ ფეხბურთელები, რიკარდუ კარვალიუ და დეკუ საკვარაუდოდ, „ინტერში“ გადავლენ — ყველაფერი აქეთკენ მიდის, სადაც მათ ყოფილი დამრიგებელი ჟოზე მოურინიუ ელოდება.




კარლოს ტევესი



ივან დე ლა პენია

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ კარლო ანჩელოტის მათი შემცვლელების სასწრაფოდ მოძებნაც ესაჭიროება. დეკუსი რა გითხრათ, კარვალიუს ნაცვლად კი ანჩელოტის რომაელი ფილიპ მექსეში სურს, რომელშიც „ჩელსი“ 12 მილიონი გირვანქის გადამხდელია.

სხვათა შორის, ანჩელოტის თავის დროზე მექსეშის „მილანში“ წაყვანა სურდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ახლა კი, როცა „რომას“ ფინანსური პრობლემები აწუხებს, ეს ტრანსფერი რეალურად მოჩანს.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კლუბის ლოდინში ცოლი მოიყვანა



**განთქმული** ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო კარლოსი დაოჯახდა. მისი რჩეული 25 წლის მარიანა ლუკონია.

ფეხბურთელმა ქორწილი სან პაულუში გადაიხადა და 600 სტუმარი ჰყავდა. ღამე „შერატონის" ლუქსში გაატარეს და დუბაიში გაემგზავრნენ საქორწინო მოგზაურობაში.

რობერტო კარლოსმა სახელი, მოგეხსენებათ, მილანის „ინტერში" გაითქვა, საუკეთესო წლები მადრიდის „რეალში" გაატრა, ახლა კი „ფენერბაჰჩეში" თამაშობს. თუმცა ამ თვენახევრის წინ, როცა ფლორენტინო პერესმა „რეალში" კვლავ გაპრეზიდენტება გადაწყვიტა, ბრაზილიელმა უმალ განაცხადა, ფლორენტინო თუ დამიძახებს, ბედნიერი ვიქნები მადრიდში დაბრუნებითო.

პერესი პრეზიდენტის სავარძელში 1 ივნისს დაბრძანდა, 36 წლის რობერტო კარლოსისთვის კი ჯერ არ დაუძახია.

ისიც გავიხსენოთ, რომ პელემ ის 125 საუკეთესო ცოცხალ ფეხბურთელს შორის დაასახელა, რობერტო კარლოსის დარტყმული ბურთი კი საათში 140 კმ სიჩქარით მიფრინავს და საჯარიმო დარტყმებს საოცრად ასრულებს.

ისიც გვახსენდება, ერთხელ, „რელში" თამაშისას, ნახტომი რომ გაჭიმა და ბურთი კარიდან ხელით გამოიტანა.

# სად თამაშობ, ბიჭი?

**რუსეთ**-უკრაინის საზღვარზე, სოფელ სოპიჩთან, მესაზღვრეებმა შავანი სენეგალელი ახალგაზრდა დააკავეს, რომელიც უკრაინაში გადასვლას ლამობდა.

დაკავებულმა მესაზღვრეებს განუცხადა, მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელი ვარ, იქ ორი წელი ვთამაშობდი და ახლა ახალი კონტრაქტისთვის მივდივარ უკრაინაშიო.

დამაჯერებლად კი ცრუობდა, მაგრამ მესაზღვრეებმა მაინც გადაწყვიტეს კლუბში გადამოწმება.

„დინამოს" პრესსამსახურიდან ასეთი პასუხი მიიღეს: არც ერთი სენეგალელი გუნდში არ გვყავსო.

მეტიც — დინამოელები თავად შეკითხვის გამო დარჩენილან შეურაცხყოფილები — როგორ გაიფიქრეთ, რომ პრემიერლიგის ფეხბურთელი საზღვარზე შეიძლება იპარებოდეს და ახალ კონტრაქტს ქუჩა-ქუჩა დაეძებდესო.

ამ პასუხით აშკარაა, რომ რუსები თავიანთ ჩემპიონატს დიდად აფასებენ და კაცმა რომ თქვას, ასეცაა. ეჭვი თუ გეპარებათ, მათ შედეგებს გადახედეთ ევროთასებზე.

და რა მოხდებოდა, საქართველო-რუსეთის საზღვარზე რომ დაეკავებინათ სენეგალელი და მას ქართული გუნდის ფეხბურთელობა დაეჩემებინა?

ძალიან დიდი ეჭვი გვაქვს, რომ, დაუჯერებდნენ...

**ქოტე ქეკელია**

# მოედანს მიღმა დაკარგული



**სასაცილო** ამბავი შეემთხვა პერუს ნაკრების ფეხბურთელ ერნან რენხიფოს.

პერუელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, კოლუმბიურ მედელინში ჩაატარეს და 0:1 წააგეს, სამშობლოში დაბრუნებულებმა კი აღმოაჩინეს, რომ ერთი ფეხბურთელი აკლდათ.

სასტუმროს ნომერში რენხიფო იოახიმ ფანოსთან ერთად ცხოვრობდა. ეს უკანასკნელი კოლუმბიურ „ონსე კალდასში" თამაშობს და ნაკრებს უკან არ გაჰყოლია. ნაკრების ადმინისტრატორს კი, რომელსაც ფეხბურთელების ჩამოელა და გალეიძება ევალებოდა, დაავიწყდა, რომ ფანოსთან ერთად ნომერში რენხიფოც ცხოვრობდა და...

ფეხბურთელმა რომ გაიღვიძა, სახლში დაბრუნება მაინც ვერ შეძლო, რაკი მისი პასპორტიც ადმინისტრატორს ედო ჯიბეში.

საბოლოოლ, რანხიფო სამშობლოში, ცხადია, დაბრუნდა, მაგრამ ამ ამბის გამო პერუში დიდი ხმაური ატყდა. ნაკრები სამხრეთამერიკულ შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილზეა და 1982 წლის მერე მუნდიალზე არ უთამაშია. ჰოდა, გაავებულმა გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა ფეხბურთის ფედერაცია ლანძღვით აიკლეს — ასეთი უთავბოლოები რომ ხართ, იმიტომ არის ჩვენი ნაკრები შავ დღეშიო.

„ელ ბოკონმა" კი ხატოვნადაც დაწერა: ჩვენი ფეხბურთელები ახლა უკვე მოედნის მიღმაც იკარგებიანო.

**ქოტე ქეკელია**

# ტყვია ჩემპიონს

**ნიგერიული** „ბაიელსა იუნაიტედი" ისტორიაში პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ეს ტიტული „ურონ ვულვზთან" ფრის მერე გაინაღდა.

ბუნებრივია, იქვე მოედანზე პირველი სიხარულის მერე გუნდი დიდი ზეიმისთვის მოემზადა, მაგრამ არ დასცალდა. თამაშის დასრულებიდან მცირე ხანში გუნდის კაპიტანი აბელ ტადორი მოკლეს.

ფეხბურთელს ნამატჩევს სახლში შევლა განუზრახავს და კარის ზღურბლზე თავში ესროლეს. პოლიცია ამბობს, რომ მკვლელობა გაძარცვის მიზნით მოხდა.





# რამ მოაწონა ბექემს ვიქტორია?

**ბრიტანულმა** ჟურნალმა MORE! თავის მკითხველთა შორის გამოკითხვა ჩაატარა და ყველაზე სექსუალური და არასექსუალური ქალების დასახელება სთხოვა.

მიმზიდველ არსებათა შორის პირველობა მოიპოვა განთქმული მორაგბე დენი ჩიპრიანის მეგობარმა გოგომ კელი ბრუკმა.

ხუთეულში მოხვდა ჩელსელი ეშლი კოულის ცოლი შერილი, ვინაც ჩამონათვალში მეოთხე ადგილზე გავიდა.

არასექსუალურ ქალთა სიას კი თავში ჩაუდგა დევიდ ბექჰმის ცოლი ვიქტორია. ასეთი ცუდი სხეული არც ერთ სხვა სელებრითის არ აქვსო — დაასკვნეს ჟურნალის მკითხველებმა. ხუთეულში ბოლო ადგილზე გავიდა უეინ რუნის ცოლი კოლინი.

# ჩეხებში მატებაა

**მარტინა** ჩეხმა, ვინაც „ჩელსის" მეკარის პეტერ ჩეხის მეუღლეა, პარიზის ერთ-ერთ სამშობიაროში ვაჟი გააჩინა. ბედნიერმა მშობლებმა ბავშვს დამიანი დაარქვეს, მოფერებით კი, ჩეხურ ყაიდაზე, დამიანეკს ეძახიან.

„ცხრა თვე ველოდით ამ დიდებულ მომენტს — წერს მეკარე თავის ვებგვერდზე — ახლა საოცრად ბედნიერები ვართ. მარტინაც და დამიანეკიც თავს შესანიშნავად გრძნობენ. როგორც იქნა ოჯახში ოთხნი ვართ".

ჩეხებს უკვე ჰყავდათ ერთი შვილი, გოგონა, რომელიც ახლა წლინახევრისაა.

ალბათ, ოჯახის მატება ამით არ დასრულდება, რაკი მეკარეს არაერთხელ უთქვამს, სამი შვილი მინდა მყავდესო.

**ქოტე ქეკელია**

# ფერდინანდის ელტონ ჯონობა

**დააკვირდით** ამ ფოტოს, უფრო სწორად, თუ რა აცვია რიო ფერდინანდს...

„მანჩესტერ იუნაიტედის" და ინგლისის ნაკრების მცველი შვებულებას ისრაელში ატარებს, სადაც ყოფილ ჩელსელ, ახლა კი შოტლანდიური „სენტ ჯონსტონის" მოთამაშე ჯოდი მორისთან ერთად არის ჩასული.



მეტისმეტად მოკლე და ტანზე შემოტმასნილი შორტი და ქალის ტოპიკი — ასე გამოწყობილი დაინახეს ფერდინანდი ინგლისელმა პაპარაცებმა და პრესასაც უმალ საქილიკო თემა გაუჩნდა — ელტონ ჯონს რომ ჩაეცვა ასე, კიდევ, ჰო, მაგრამ ფერდინანდსო?!

ისიც თქვეს, კრიშტიანუ რონალდუ აღარ ჰყავს გუნდში და ახლა ნახეთ, როგორი ჩაცმული ივლისო...



1. ალიონა სერედოვა (ჯანლუიჯი ბუფონი, იუვენტუსი)



2. ნერეიდა გალიარდო (კრიშტიანუ რონალდუ, რეალი)



3. კლიო ზენდენი (ბუდევინ ზენდენი, მარსელი)



4. ვანდა ნარა (მაქსი ლოპესი, გრემიო)



5. შერილ კოული (ეშლი კოული, ჩელსი)

# ფეხბურთელების ცოლების გამოფენა

ფრანგულმა ჟურნალმა Le dessous du sport-მა ინტერნეტ-გამოკითხვა მოაწყო, რომლის მიზანიც ფეხბურთელის ყველაზე მიმზიდველი ცოლის ან შეყვარებულის დასახელება იყო.

2877 ხმით გამარჯვება „იუვენტუსის" და იტალიის ნაკრების მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის ჩეხ ცოლს, სუპერმოდელ ალიონა სერედოვას ერგო.



6. სილვია ვან დერ ვარტი (რაფაელ ვან დერ ვარტი, რეალი)



7. დანიელ ლოიდი (ჯეიმი ოჰარა, ტოტენჰემი)




8. ევა გონსალესი (იკერ კასილიასი, რეალი)



9. სარა ბრანდნერი (ბასტიან შვაინშტაიგერი, ბაიერნი)



10. ვიქტორია ბექჰემი (დევიდ ბექჰემი, მილანი)

# მივცეთ გასაქანი ფანტაზიას

## რონალდუმ ვახშმად ჰილტონი შეუკვეთა

ეს ამბავი წინა კვირას მოხდა ჰოლივუდში, პერის ჰილტონის დის, ნიკის ვილაში. ამ ამბავს კი სხვა სამი ამბავიც უძღოდა.

ორი დღით ადრე პერის ჰილტონი თავის ძველ ბოიფრენდ ბეისბოლისტ დაგ რეინჰარდს დაშორდა და დარდის გასაქარვებლად თუ პირიქით, ახალი საკბილოს საძებნად, My House Club-ში წავიდა.

იმავე დროს მადრიდის „რეალმა" კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ მოაგვარა, რაც ბიძაშვილებთან და მეგობრებთან ერთად ლოს ანჯელესში მყოფმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა, ბუნებრივია, საგანგებოდ აღნიშვნის ღირსად ჩათვალა.

აღნიშვნის ადგილად მანაც My House Club-ი შეარჩია.

რა მოხდა კლუბში, უფრო სწორად როგორ გაგრძელდა პერის ჰილტონის და კრიშტიანუ რონალდუს ურთიერთობა თავაზიანი მისალმების მერე, ამ ფოტოზე შეგიძლიათ ნახოთ — მეტისმეტად კაბააწეული ჰილტონების გვარის შემარცხვენელი, რონალდუს ფრიად ინტიმურად ეხუტება.

ჰილტონი და რონუალდუ აქამდე ერთმანეთს არ შეხვედრილნენ, თუმცა ერთი წლით ადრე ტელეფონზე უსაუბრიათ — საუბრის ინიციატორი გოგო იყო.

კლუბში მყოფი თვითმხილველი კი ყვება, რონალდუ სასუსნავის მოლოდინში გარინდულ კატას ჰგავდაო.

რონალდუს ხილი და უძვირესი შამპანური „კრისტალი" შეუკვეთია, მთავრი კერძად კი, ცხადია, პერისი ჰყავდა.

გართობა დილის 5 საათამდე გაგრძელდა.

ახლა თავში ნახსენებ ამბავს მივუბრუნდეთ. კლუბში ერთმანეთის ჟინი რომ ვერ დაიკმაყოფილეს, მეორე დღეს პერისმა კრიშტიანუ თავისი დის ვილაში დაპატიჟა, სადაც წვეულება იყო მეგობართა ვიწრო წრეში.

აბა, იმ დახურულ წვეულებაზე ჟურნალისტს და მით უფრო ფოტოგრაფს ვინ შეუშვებდა და ამდენად, მხოლოდ ფანტაზიისთვის გასაქანის მიცემით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა შეიძლება მომხდარიყო.

იმის ეჭვი კი გვაქვს, რომ რონალდუ გოგოს იმაზე არ ელაპარაკებოდა, როგორ უნდა გაინაწილონ მან და კაკამ მოედნის ცენტრი და ფლანგი.

და რა აზრისაა ამის თაობაზე ნერეიდა გალიარდო, რომელიც „სარბიელის" ამავე გვერდზე კრიშტიანუ რონალდუს გელფრენდად გვყავს მოხსენიებული?

ბოტე ბებელია





პერის ჰილტონი და კრიშტიანუ რონალდუ კლუბიდან გამოსვლის მერე



# ოუენს თუ უნდა ჰალი?



**პრემიერლიგური** „ჰალის“ პრეზიდენტმა პოლ დაფენმა განაცხადა, რომ კონტრაქტის გაფორმებას შესთავაზებს მაიკლ ოუენს.

მოგეხსენებათ, ერთ კვირაში ოუენის და „ნიუკასლის“ შეთანხმებას ვადა გაუვა და ფეხბურთელი თავისუფალ აგენტად იქცევა. ისიც ცნობილია, რომ „ლივერპულისა“ და „რეალის“ ყოფილი თავდამსხმელი დაბალ ლიგაში თამაშს არ აპირებს, სადაც „ნიუკასლი“ აწ გასრულებული სეზონის შედეგების მიხედვით დაქვეითდა.

თუმცა ისიც არის, რომ „ჰალს“ გაუჭირდება ოუენისთვის თავის მოწონება, რაკი ფეხბურთელით უფრო დიდი კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. მაგალითად, „ევერტონი“ და „რომა“.

პოლ დაფენმა კი თქვა, ოუენს ქრონიკული ტრავმები სტანჯავს, ჩვენ კი ამის მიუხედავად გვსურს მასთან კონტრაქტის გაფორმებაო.

**რომან თურქია**

# რანიერი რუსების ხელში

**იტალიური** „ტუტოსპორტ-ის“ ცნობით, კლაუდიო რანიერი, შესაძლოა, სანქტ პეტერბურგის „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს.

მოგეხსენებათ, რანიერი სერია A-ს სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოხსნეს ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელის პოსტიდან. იმასაც შეგახსენებთ, რომ „ზენიტის“ ჰოლანდიელი დამრიგებელი დიკ ადვოკაატი, სეზონის დასრულების მერე ბელგიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიდის.

იტალიური წყარო გვეუბნება, რომ რანიერი და რუსული კლუბის პრეზიდენტი ალექსანდრ დიუკოვი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და თანამშრომლობის შესახებ პირველი მოლაპარაკებაც გამართეს.

თუკი შეთანხმება მოხდება, კლაუდიო რანიერი მეორედ აღმოჩნდება რუსი პრეზიდენტის ხელში. თავის დროზე ის „ჩელსიდან“ რომან აბრამოვიჩმა დაითხოვა.



**კოტე კეკელია**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21) შვედეთი. 15-29 ივნისი

# ორნი და ორისთვისაც იბრძვიან

**ევროპის** ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელსაც შვედეთი მასპინძლობს, მოქმედი ჩემპიონის გარეშე ტარდება. ბოლო ორი ტურნირის გამარჯვებული ჰოლანდია ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

ხოლო ვინც მოხვდა, იმათგან ორმა — იტალიამ და ინგლისმა— უკვე გაინაღდეს ნახევარფინალში თამაში და ახლა მათ ამოცანას ისღა წარმოადგენს, ჯგუფში პირველი ადგილისთვის იბრძოლონ.

ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები ჯგუფში რუსეთთან, ესპანეთთან, ყაზახეთთან და პოლონეთთან ერთად იყო და იმ ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე, როგორც ხედავთ, ესპანეთის ნაკრებია.

**A ჯგუფი**

I ტური
შვედეთი 5:1 ბელარუსი
იტალია 0:0 სერბეთი

II ტური
შვედეთი 1:2 იტალია
ბელარუსი 0:0 სერბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| სერბეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |

II ტური. 23 ივნისი
სერბეთი — შვედეთი
ბელარუსი — იტალია

**B ჯგუფი**

I ტური
ინგლისი 2:1 ფინეთი
ესპანეთი 0:0 გერმანია

II ტური
გერმანია 2:0 ფინეთი
ესპანეთი 0:2 ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

II ტური. 22 ივნისი
ფინეთი — ესპანეთი
გერმანია — ინგლისი



ორი ტურის მერე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ჰოლანდიური „გრონინგენის“ და შვედეთის ნაკრების ფორვარდი მარკუს ბერგია 3 გოლით

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აფრიკა

აფრიკიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი ნაკრები გადის — შესარჩევი ჯგუფების გამარჯვებულები. მეექვსე გუნდი კი მასპინძელი სამხრეთ აფრიკა იქნება.

**A ჯგუფი**

მაროკო 0:0 ტოგო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაბონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ტოგო | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| მაროკო | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

**B ჯგუფი**

კენია 2:1 მოზამბიკი
ტუნისი 0:0 ნიგერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ნიგერია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 5 |
| კენია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| მოზამბიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

**C ჯგუფი**

ზამბია 0:2 ალჟირი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალჟირი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| რუანდა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

**D ჯგუფი**

სუდანი 0:2 განა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ბენინი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სუდანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| მალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

**E ჯგუფი**

ბურკინა ფასო 2:3 კოტ დივუარი
გვინეა 2:1 მალავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| ბურკინა ფასო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| გვინეა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| მალავი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |



# ალონსო იუბილარზე ახალგაზრდაა

**ლივერპულელ** ხაბი ალონსოს თვალი „ჩელსიმაც“ დაადგა, აქამდე კი მისი ხელში ჩაგდების მთავარ პრეტენდენტად „რეალი“ ითვლებოდა. თავად 27 წლის ფეხბურთელს აქამდეც უთქვამს, რომ ზაფხულში კლუბის გამოცვლა სურს. ბრიტანული „მირორის“ ინფორმაციით, თუკი „ლივერპული“ და „ჩელსი“ შეთანხმდნენ, ტრანსფერი დაახლოებით 18 მილიონი გირვანქა ეღირება.

საქმე ის არის, რომ ლონდონელთა ახალ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ნახევარდაცვის გაახალგაზრდავება განუზრახავს, რაკი ფრენკ ლამპარდი გუშინწინ 31-ისა გახდა, სექტემბერში კი მიხაელ ბალაკი მოიყრება 33 წლის.

# მუქარა ძველი ფეხბურთელებით

**„შალკეს“** ახალი მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი, ვინაც წელს „ვოლფსბურგი“ ჩემპიონობამდე მიიყვანა, იმუქრება: მომდევნო სეზონში „შალკეს“ ვაჩემპიონებო.

ეს მუქარა ბუნდესლიგის დანარჩენ 17 კლუბს მაგათმა „ბილდის“ ფურცლებიდან შეუთვალა, თუმცა ისიც დასძინა, შეგუებული ვარ იმ ფაქტს, რომ ისევ ძველ ფეხბურთელებს უნდა დავეყრდნოო.

საქმე ის გახლავთ, რომ კრიზისის გამო გელზენკირხენული კლუბის ბოსებმა ბიუჯეტი შეკვეცეს და მწვრთნელს ახალი მოთამაშეების საყიდლად ოდენ 5 მილიონი ევრო მიუთვალეს.

# გამხელილი ოცნება: რონალდინიო

**პორტუ ალეგრეს** „გრემიომ“ ოცნება გაამხილა — რონალდინიოს დაბრუნება სურს. განთქმულმა ბრაზილიელმა სწორედ ამ კლუბში დაიწყო კარიერა.



გრემიოელებმა თქვეს, რონალდინიოს ტრანსფერის ფული კი გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, უფასოდაც ჩავიგდებთ ხელშიო. ბრაზილიელებმა იმაზე მიანიშნეს, რომ „მილანის“ ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა 2011 წელს ეწურება, როცა ის 31 წლისა იქნება და თავისუფალი აგენტის სტატუსით დაუბრუნდება სამშობლოს. მოგეხსენებათ, ამგვარ გზას უამრავი სამხრეთამერიკელი ადგება კარიერის მიწურულს.

# გეშინოდეთ მილიციის!

**რუსეთის** პირველი ლიგა თუ გაინტერესებთ, გეცოდინებათ, რომ იქ შინაგან სამინისტროს გუნდიც — „მვდ როსიიც“ თამაშობს.

წინა კვირაში კი კლუბის ოფისს მილიცია დაეცხრა თავს და იქ ამასწინათ „ვნუკოვოს“ აეროპორტიდან გატაცებულ დიდძალ ფულს ეძებდნენ. ეჭვია, რომ სწორედ ამ ფულს კლუბის დასაფინანსებლად და გასათეთრებლად იყენებდნენ.

კლუბის პრესმდივანმა განაცხადა, რომ მილიციას არც ჩხრეკის ორდერი წარმოუდგენია და არც ამოღებული დოკუმენტების ნუსხა შეუდგენია. ხელში რაც მოხვდათ, წაიღეს. კლუბის მუშაობა მთლიანად პარალიზებულია.

ამაზე უნდა ვთქვათ, შენ დაუკარო...

„ემვედე“ რომ საკუთარ კლუბს ასე აწიოკებს, სხვას რაღას უზამს.

# კონფედერაციათა თასი სამხრეთ აფრიკა 2009

იტალია ჯგუფში ჩარჩა — ეს არის კონფედერაციათა თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მთავარი შედეგი.

მას მერე, რაც მეორე ტურში „სკუადრა ატურა" ეგვიპტესთან დამარცხდა, ნახევარფინალში გასვლის ფავორიტად პირამიდების ქვეყნის გუნდი იქცა, მაგრამ ბედმა არც ეს ვარიანტი ინება — ნახევარფინალში ესპანეთს იტალიის მძლეველი ეგვიპტის დაამარცხებელი ამერიკა შეხვდება. ესპანეთი კი საარაკო დაუმარცხებელ სვლას განაგრძობს...

### A ჯგუფი

I ტური

**სამხრეთ აფრიკა 0:0 ერაყი**

გაფრთხილება: სიბაია, ფანტენი, აკრამი

**ახალი ზელანდია 0:5 ესპანეთი**

0:1, 0:2, 0:3 ტორესი (6, 14, 17), 0:4 ფაბრეგასი (24), 0:5 ვილია (48)

ესპანეთი: კასილიასი, აბიდალი, პუიოლი, ვილია, ხავი (არბელოა 54), ტორესი (სილვა 70), ფაბრეგასი, კაპდევილა, ალონსო, რამოსი (კასორლა 54), რიერა

II ტური

**ესპანეთი 1:0 ერაყი**

1:0 ვილია (55)

ესპანეთი: კასილიასი, პიკე, მარჩენა, ვილია (გუისა 74), ხავი (ბუსკეტსი 82), ტორესი, კაპდევილა, რამოსი, ალონსო, კასორლა (სილვა 67), მატა

გაფრთხილება: მარჩენა, ალონსო; აბასი

**ს. აფრიკა 2:0 ახ. ზელანდია**

1:0 პარკერი (21, 52)

გაფრთხილება: პიენაარი; ვისელიჩი, სმელცი, კრისტი, ბოიენსი

III ტური

**ერაყი 0:0 ახალი ზელანდია**

გაფრთხილება: აბასი, აკრამი (ერაყი), ვისელიჩი, ბრაუნი, სმელცი, ბრუკი, ბოიენსი (ახალი ზელანდია)

**ესპანეთი 2:0 ს. აფრიკა**

1:0 ვილია (52), 2:0 ლორენტე (72)

*ვილიამ ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)*

ესპანეთი: რეინა, ალბიოლი, პიკე, პუიოლი, ვილია (პაბლო ერნანდესი 60), ხავი, ტორესი (ლორენტე 60), ფაბრეგასი, ბუსკეტსი, რიერა (კასორლა 81), არბელოა

გაფრთხილება: ალბიოლი, პიკე (ესპანეთი), სიბაია, მოდისე, დიკგაჩოი (ს. აფრიკა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| ს. აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ერაყი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

### B ჯგუფი

I ტური

**ბრაზილია 4:3 ეგვიპტე**

1:0 კაკა (5), 1:1 ზიდანი (9), 2:1 ლუის ფაბიანო (12), 3:1 ჟუანი (37), 3:2 შავკი (54), 3:3 ზიდანი (55), 4:3 კაკა (90 პენ)

ბრაზილია: სეზარი, ლუსიო, ჟუანი, მელო, კლებერი (სანტოსი 83), ელანო (რამირესი 62), ჟილბერტო სილვა, ლუის ფაბიანო, კაკა, რობინიო (პატო 62), ალვეში

გაფრთხილება: მოავადი

**აშშ 1:3 იტალია**

1:0 დონოვანი (41), 1:1 როსი (58), 1:2 დე როსი (72), როსი (90)

იტალია: ბუფონი, გროსო, კიელინი, ლეგროტალიე, გატუზო (როსი 57), დე როსი, ჟილარდინო (ტონი 69), იაკვინტა, კამორანეზი (მონტოლივო 57), ძამბროტა, პირლო

გაფრთხილება: ბორნშტეინი; გროსო, ლეგროტალიე

გაძევება: კლარკი (33)

II ტური

**აშშ 0:3 ბრაზილია**

0:1 მელო (7), 0:2 რობინიო (20), 0:3 მაიკონი (62)

ბრაზილია: სეზარი, მაიკონი, ლუსიო (ლუიზაო 70), მელო, ჟილბერტო სილვა, ლუის ფაბიანო (ბაპტიშტა 69), კაკა (ნილმარი 69), რობინიო, მირანდა, სანტოსი, რამირესი

გაფრთხილება: ონიევუ (აშშ)

გაძევება: კლიესტანი (აშშ)

**ეგვიპტე 1:0 იტალია**

1:0 ჰომოსი (40)

იტალია: ბუფონი, გროსო, კიელინი, კანავარო, გატუზო (ტონი 58), დე როსი, იაკვინტა, როსი (მონტოლივო 58), ძამბროტა, პირლო, კვალიარელა (პეპე 64)

გაფრთხილება: ელ პადარი, გომაა, ეიდი (ეგვიპტე)

III ტური

**იტალია 0:3 ბრაზილია**

0:1, 0:2 ლუის ფაბიანო (37, 43), 0:3 დოსენა (45 სკ)

იტალია: ბუფონი, კიელინი, კანავარო, ტონი (ჟილარდინო 57), დე როსი, იაკვინტა (როსი 38), ძამბროტა, კამორანეზი, მონტოლივო (პეპე 46), პირლო, დოსენა

ბრაზილია: სეზარი, მაიკონი, ლუსიო ჟუანი (ლუიზაო 24), მელო, ჟილბერტო სილვა (კლებერსონი 84), ლუის ფაბიანო, კაკა, რობინიო, სანტოსი, რამირესი (ჟოსუე 86)

გაფრთხილება: კიელინი, დოსენა

**ეგვიპტე 0:3 აშშ**

0:1 დევისი (21), 0:2 ბრედლი (63), 0:3 დემპსი (71)

გაფრთხილება: ელ მოჰამადი (ეგვიპტე), ბრედლი, სპექტორი (აშშ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| აშშ | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| იტალია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |

### ნახევარფინალი

24 ივნისი. ესპანეთი — აშშ

25 ივნისი. სამხრეთ აფრიკა — ბრაზილია

## ნორვეგია

### ტიპელიგა

სანდეფიორდი — ვალერენგა 0:2; ალესუნდი — რუსენბორგი 0:3; ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 1:1; ლინი — ოდ გრენლანდი 1:1; მიოლდე — ფრედრიკსტადი 2:0; სტაბეკი — სტარტი 5:0; სტრომსგოდსეტი — ტრომსიო 2:1; ვიკინგი — ბრანი 1:1

### ადეკოლიგა

ალტა — ჰონეფოსი 0:1; ჰამ-კამი — ლოგ-ჰამი 5:0; კონგსვინგერი — სკეიდი 4:0; მოსი — მიონდალენი 2:0; სოგნდალი — ბრინი 1:1; სტავანგერი — ჰაუგესუნდი 0:4; ტრომსდალენი — სარპსბორგი 1:0

## ისლანდია

### ლანდსბანკადეილდი

ფრამი — რეიკიავიკი 3:0; ფილკირი — გრინდავიკი 2:3; ჰაფნარფიორდი — ტროტური 4:0; კეფლავიკი — ფოლნირი 3:1

## არგენტინა

### აპერტურა

ნიუელსი — სან მარტინი 0:1; არგენტინოს ხუნიორსი — ბანფილდი 1:1; ინდეპენდიენტე — სან ლორენსო 0:1; ხიმნასია ხ — რასინგი 0:2; ტიგრე — როსარიო 0:1; გოდოი — რივერ პლეიტი 1:0. ბოკა ხუნიორსი — ხიმნასია ლპ დღეს გაიმართება

## ლიტვა

### A ლიგა

კრუოია — სუდუვა 0:1; ტელედემა — ბანგა 0:2; ვეტრა — შიაულიაი 2:1; ეკრანასი — ტაურასი 2:1; ბანგა — კრუოია 3:0; შიაულიაი — ეკრანასი 0:1; სუდუვა — ვეტრა 1:1; ტაურასი — ტელედემა 1:0

## ბრაზილია

### კამპეონატო

ატლეტიკო პრ — პალმეირასი 2:2; სანტო ანდრე — რესიფე 2:1; ვიტორია — ბოტაფოგო 4:3; ავაი — ფლუმინენსე 3:2; გრემიო — გოიასი 2:2; ნაუტიკო — კურიტიბა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო მნ | 6 | 4 | 2 | 0 | 14:5 | 14 |
| ინტერნასიონალი | 6 | 4 | 2 | 0 | 7:2 | 14 |
| ვიტორია | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| პალმეირასი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:9 | 12 |
| სანტო ანდრე | 7 | 2 | 4 | 1 | 12:10 | 10 |
| სანტოსი | 6 | 2 | 3 | 1 | 14:11 | 9 |
| გრემიო | 7 | 2 | 3 | 2 | 9:6 | 9 |
| ფლუმინენსე | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | 9 |
| კორინთიანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ნაუტიკო | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| გოიასი | 7 | 1 | 5 | 1 | 13:12 | 8 |
| კურიტიბა | 7 | 2 | 1 | 4 | 12:13 | 7 |
| კრუზეირო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ფლამენგო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:13 | 7 |
| სან პაულუ | 6 | 1 | 4 | 1 | 6:4 | 7 |
| გრემიო | 6 | 1 | 4 | 1 | 9:8 | 7 |
| ავაი | 7 | 1 | 4 | 2 | 9:11 | 7 |
| ბოტაფოგო | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | 6 |
| რესიფე | 7 | 1 | 2 | 4 | 10:12 | 5 |
| ატლეტიკო პრ | 7 | 1 | 2 | 4 | 8:15 | 5 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი — ჰაკა 2:1; ტამპერე — როვანიემი 3:1; ვაასა — კუოპიო 1:0; ივასკილა — ლაჰტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიეჰამნი | 11 | 5 | 5 | 1 | 13:6 | 20 |
| ჰაკა | 10 | 6 | 2 | 2 | 15:7 | 20 |
| ინტერი | 10 | 6 | 1 | 3 | 11:7 | 19 |
| ჰიკ | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 |
| იარო | 10 | 5 | 2 | 3 | 18:12 | 17 |
| ტურკუ | 10 | 4 | 4 | 2 | 15:9 | 16 |
| ჰონკა | 10 | 3 | 5 | 2 | 20:14 | 14 |
| ვაასა | 10 | 4 | 1 | 5 | 9:11 | 13 |
| ლაჰტი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 13 |
| მიუპა | 10 | 3 | 4 | 3 | 10:10 | 13 |
| ტამპერე | 10 | 4 | 0 | 6 | 8:12 | 12 |
| ივასკილა | 9 | 1 | 4 | 4 | 7:15 | 7 |
| როვანიემი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:17 | 5 |
| კუოპიო | 11 | 1 | 1 | 9 | 4:23 | 4 |

## ესტონეთი

### მეისტრილიგა

პაიდე — შილამაე 0:2; ტამეკა — ტულევიკი 1:1; ნომე — კალევი 2:1; ტრანსი — კურესაარე 2:0; ლანტანა — ფლორა 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანტანა | 15 | 13 | 2 | 0 | 51:9 | 41 |
| შილამაე | 16 | 12 | 2 | 2 | 42:12 | 38 |
| ტრანსი | 17 | 10 | 2 | 5 | 36:20 | 32 |
| ფლორა | 15 | 9 | 2 | 4 | 30:14 | 29 |
| ნომე | 16 | 9 | 1 | 6 | 30:19 | 28 |
| ტულევიკი | 17 | 7 | 4 | 6 | 20:25 | 25 |
| კურესაარე | 16 | 3 | 3 | 10 | 6:29 | 12 |
| პაიდე | 17 | 3 | 2 | 12 | 6:36 | 11 |
| კალევი | 17 | 2 | 4 | 11 | 15:28 | 10 |
| ტამეკა | 16 | 1 | 2 | 13 | 8:52 | 5 |

## ყაზახეთი

### პრემიერლიგა

ასტანა — აქტობე 0:2; ირტიში — ტობოლი 1:2; ქაისარი — შახტარი 0:3; კაზახმისი — ჟეტისუ 2:2; ორდაბასი — ბოგატირი 1:0; თარაზი — ატირაუ 1:1; ვოსტოკი — ოქჟეპტესი 1:0

## აზერბაიჯანი

### პრემიერლიგა

ბაკილი — ინტერი 1:5; ბაკი — სალიანი 4:0; გაბალა — თურანი 0:1; კარვანი — ყარაბახი 0:0; ოლიმპიკი — ნეფთჩი 0:0; სტანდარდი — მოიკ 2:1

## სომხეთი

### პრემიერლიგა

ბანანცი — მიკა 1:2; პიუნიკი — არარატი გადაიდო; განძასარი — არარატი 1:0; მიკა — კილიკია 2:1; ბანანცი — ულისე 1:3; შირაქი — პიუნიკი 0:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა

კავასაკი — ოიტა 2:0; შიმიცუ — იამაგატა 4:1; ოსაკა — ნიიგატა 0:2; ნაგოია — ჩიბა 0:1; კაშიმა — ივატა 1:0; ომია — კიოტო 2:1; კაშივა — ტოკიო 0:3; ჰიროშიმა — კობე 4:3; იოკოჰამა — ურავა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაშიმა | 13 | 10 | 2 | 1 | 19:8 | 32 |
| ნიიგატა | 14 | 7 | 4 | 3 | 22:14 | 25 |
| ურავა | 14 | 7 | 4 | 3 | 17:14 | 25 |
| კავასაკი | 13 | 7 | 3 | 3 | 25:15 | 24 |
| ჰიროშიმა | 14 | 6 | 5 | 3 | 28:20 | 23 |
| შიმიცუ | 14 | 5 | 6 | 3 | 17:15 | 21 |
| ოსაკა | 13 | 6 | 2 | 5 | 26:18 | 20 |
| იოკოჰამა | 14 | 5 | 4 | 5 | 20:17 | 19 |
| ნაგოია | 13 | 5 | 4 | 4 | 16:15 | 19 |
| ტოკიო | 14 | 6 | 1 | 7 | 18:22 | 19 |
| ივატა | 14 | 5 | 3 | 6 | 20:24 | 18 |
| კიოტო | 14 | 5 | 2 | 7 | 13:16 | 17 |
| ომიყა | 14 | 4 | 5 | 5 | 20:23 | 17 |
| კობე | 14 | 5 | 2 | 7 | 20:24 | 17 |
| იამაგატა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:17 | 16 |
| ჩიბა | 14 | 3 | 6 | 5 | 14:19 | 15 |
| კაშივა | 14 | 1 | 6 | 7 | 16:30 | 9 |
| ოიტა | 14 | 1 | 1 | 12 | 9:25 | 4 |

## აშშ

### მეიჯორ ლიგა

სიეტლი — დი სი იუნაიტედი 3:3; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 2:1; ნიუ იორკი — სიეტლი 1:1; დალასი — კოლამბუსი 2:1; ჰიუსტონი — სოლტ ლეიკი 1:1; კოლორადო — დი სი იუნაიტედი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლამბუსი | 30 | 17 | 6 | 7 | 50:36 | 57 |
| ჰიუსტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 45:32 | 51 |
| ჩიკაგო | 30 | 13 | 7 | 10 | 44:33 | 46 |
| ჩივასი | 30 | 12 | 7 | 11 | 40:41 | 43 |
| ნიუ ენგლანდი | 30 | 12 | 7 | 11 | 40:43 | 43 |
| სოლტ ლეიკი | 30 | 10 | 10 | 10 | 40:39 | 40 |
| კანზასი | 30 | 11 | 9 | 10 | 37:39 | 42 |
| კოლორადო | 30 | 11 | 5 | 14 | 44:45 | 38 |
| ნიუ იორკი | 30 | 10 | 9 | 11 | 42:48 | 39 |
| დალასი | 30 | 8 | 12 | 10 | 45:41 | 36 |
| დი სი იუნაიტედი | 30 | 11 | 4 | 15 | 43:51 | 37 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 8 | 9 | 13 | 55:62 | 33 |
| ტორონტო | 30 | 9 | 8 | 13 | 34:43 | 35 |
| სან ხოსე | 30 | 8 | 9 | 13 | 32:38 | 33 |

## ლატვია

### ვირსლიგა

ბლაზმა — ტრანზიტსი 1:0; დაუგავა — დინაბურგი 0:3; ვენტსპილსი — სკონტო 2:1; ოლიმპსი — იურმალა 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 15 | 11 | 3 | 1 | 39:10 | 36 |
| ლიეპაიასი | 14 | 10 | 3 | 1 | 36:9 | 33 |
| სკონტო | 14 | 9 | 2 | 3 | 36:15 | 29 |
| დინაბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 16:15 | 21 |
| იურმალა | 14 | 5 | 4 | 5 | 17:24 | 19 |
| ოლიმპსი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:23 | 15 |
| ბლაზმა | 14 | 2 | 3 | 9 | 9:35 | 9 |
| ტრანზიტსი | 15 | 0 | 7 | 8 | 9:26 | 7 |
| დაუგავა | 14 | 1 | 4 | 9 | 16:40 | 7 |

## იტალია

### სერია B. პლეი ოფი

ლივორნო — ბრეშა 3:0

### სერია C1. პლეი ოფი

ბენევენტო — კროტონე 0:1; პრო პატრია — პადოვა 1:2

### სერია C2. პლეი ოფი

ალესანდრია — კომო 0:2; გელა — პესკინა 1:1; ჯულიანოვა — პრატო 0:1

## ირლანდია

### ეარკომ პრემიერი

ბოჰემიანსი — სლიგო 2:0; დერი — ბრაი 2:0; დროჰედა — სტ. პატრიკსი 1:0; კორკი — დანდალკი 1:2; შამროკი — გალვაი 1:0

### ასოციაციის თასი

ლონგფორდი — უოქსფორდი 1:1 (3:2 დ.დ.)

## ესპანეთი

### სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე — ალავესი 1:0; ლევანტე — ლას პალმასი 2:2; ალიკანტე — სევილია ბ 3:3; სელტა — ხერესი 1:1; კორდობა — მურსია 2:1; ეიბარი — ხიმნასტიკი 1:0; ელჩე — სოსიედადი 1:2; უესკა — ხირონა 3:1; სალამანკა — ერკულესი 1:5; ტენერიფე — კასტელონი 1:2; რაიო ვალეკანო — სარაგოსა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 42 | 24 | 10 | 8 | 73:42 | 82 |
| სარაგოსა | 42 | 23 | 12 | 7 | 79:42 | 81 |
| ტენერიფე | 42 | 24 | 9 | 9 | 79:47 | 81 |
| ერკულესი | 42 | 21 | 15 | 6 | 82:43 | 78 |
| რაიო ვალეკანო | 42 | 18 | 16 | 8 | 55:39 | 70 |
| სოსიედადი | 42 | 17 | 16 | 9 | 48:38 | 67 |
| კასტელონი | 42 | 17 | 14 | 11 | 55:42 | 65 |
| ლევანტე | 42 | 18 | 10 | 14 | 59:59 | 64 |
| სალამანკა | 42 | 16 | 12 | 14 | 59:50 | 60 |
| ხიმნასტიკი | 42 | 14 | 15 | 13 | 60:50 | 57 |
| უესკა | 42 | 13 | 14 | 15 | 47:46 | 53 |
| ელჩე | 42 | 13 | 14 | 15 | 52:50 | 53 |
| კორდობა | 42 | 14 | 11 | 17 | 47:54 | 53 |
| მურსია | 42 | 14 | 10 | 18 | 48:58 | 52 |
| ალბასეტე | 42 | 13 | 12 | 17 | 42:54 | 51 |
| ხირონა | 42 | 11 | 16 | 15 | 43:54 | 49 |
| სელტა | 42 | 10 | 18 | 14 | 46:56 | 48 |
| ლას პალმასი | 42 | 10 | 17 | 15 | 46:51 | 47 |
| ალავესი | 42 | 11 | 10 | 21 | 42:64 | 43 |
| ალიკანტე | 42 | 8 | 11 | 23 | 38:69 | 35 |
| ეიბარი | 42 | 8 | 11 | 23 | 31:63 | 35 |
| სევილია ბ | 42 | 2 | 13 | 27 | 29:89 | 19 |

ჩოგბურთი

# მოზარდებმა ავსტრია გაითამაშეს

**ლეილა მესხის** აკადემიაში „ავსტრიის ავიახაზების" თასი გათამაშდა მოზარდ ჩოგბურთელებს შორის, რომელიც საერთაშორისო ტურნირია და მასში 130-მა ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

### გოგონები

14-წლამდელები

ერთეულები

1. მაია კაციტაძე (რუსეთი)
2. ლიზა ნადიბაიძე (საქართველო)

წყვილები

1. მარიამ გოგელაშვილი-ნინო უგრეხელიძე (საქართველო)
2. თამარ კუტუბიანი-ნინო ჯანელიძე (საქართველო)

16-წლამდელები

ერთეულები

1. ბაბილინა მაჩაიძე (საქართველო)
2. ბარბარე ერისთავი (საქართველო)

წყვილები

1. ანანიტ განჯალიანი-ნუნე ხაჩატურიანი (საქართველო)
2. ბარბარე ერისთავი-ანი გოგვაძე (საქართველო)

### ვაჟები

14-წლამდელები

ერთეულები

1. გიორგი ჯავახიშვილი (რუსეთი)
2. ალექსანდრე დვალიშვილი (საქართველო)

წყვილები

1. ანდრეი პეშკინი-ალექსანდრე დვალიშვილი (რუსეთი-საქართველო)
2. მერტ ადანალი-მიხეილ სიმონიანი (თურქეთი-ისრაელი)

16-წლამდელები

ერთეულები

1. გიორგი ციკაძე (საქართველო)
2. დავით ხუციშვილი (საქართველო)

წყვილები

1. გიორგი ციკაძე-დავით ხუციშვილი (საქართველო)
2. გაბრიელ ტავორი-ავივ დარმონი (ისრაელი)

## მძლეოსნობა

| | |
|---|---|
| დავით ილარიანი | 110 მ თარჯრბენი (14,02 წმ. I ადგილი, 13 ქულა) |
| დავით ცუცქირიძე | 4x400 მ ესტაფეტა (3,17.88 წთ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| ენდრიკ ზილბერშტეინი | 200 მ (21,92 წმ. IV ადგილი, 10 ქულა); 4x400 მ ესტაფეტა (3,17.88 წთ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| დენის ჟვანია | 4x400 მ ესტაფეტა (3,17.88 წთ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| გიგლა ზილბერშტეინი | 3000 მ (8,48.50 წთ. IX ადგილი, 5 ქულა) |
| თენგიზ ლვინჯილია | 800 მ (1,52.09 წთ. IV ადგილი, 10 ქულა); |
| ჯეირან ხოფერია | 3000 მ ბარიერებით (9,33.23 წთ. VIII ადგილი, 6 ქულა) |
| მერაბ ქინიძე | 4x400 მ ესტაფეტა (3,17.88 წთ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| ბოლესლავ სხირტლაძე | სამმაგი ხტომა (13,67 მ. VII ადგილი, 7 ქულა) |
| როსტომ ჭინჭარაული | შუბის ტყორცნა (63,55 მ. V ადგილი, 9 ქულა) |
| ზურაბ გიგაია | ბადროს ტყორცნა (41,10 მ. VIII ადგილი, 6 ქულა) |
| მაია გოგოლაძე | სიგრძეზე ხტომა (5,06 მ. X ადგილი, 4 ქულა) |
| ლიკა ლოლუა | 200 მ (27,54 წმ. XII ადგილი, 2 ქულა); 4x400 მ ესტაფეტა (4,04.98 წთ. VIII ადგილი, 5 ქულა) |
| თეა ფაცურია | 4x400 მ. ესტაფეტა (4,04.98 წთ. VIII ადგილი, 5 ქულა) |
| გაიანე უსტიანი | 4x400 მ ესტაფეტა (4,04.98 წთ. VIII ადგილი, 5 ქულა) |
| სოფო ჩოჩნიძე | 1500 მ (5,06.20 წთ. XI ადგილი, 3 ქულა); 4x400 მ ესტაფეტა (4,04.98 წთ. VIII ადგილი, 5 ქულა) |
| გიული დეკანაძე | 5000 მ (17,45.17 წთ. VI ადგილი, 8 ქულა) |
| სალომე რიგიშვილი | ბირთვის კვრა (12,57 მ. V ადგილი, 9 ქულა) |
| ქრისტინე შალამბერიძე | სიმაღლეზე ხტომა (არ გასულა) |

# სად უნდა ვიყოთ და სად ვართ...

**ძალიან** კარგია, დავით ილარიანმა 110 მეტრზე თარჯრბყენში პირველი ადგილი რომ დაიკავა, მაგრამ ცუდია, რომე ეს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის მესამე ლიგაში მოხერხდა. ძალიან ცუდია ისიც, რომ ევროპაში ჩვენზე სუსტები მხოლოდ ჩერნოგორია, ალბანეთი, მაკედონია და ანდორა არიან.

და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ტრადიციები უკვალოდ გაქრა. ჩამოვთვალოთ? ინებეთ: ქართულ მძლეოსნურ ყულაბაში ჩხრიალებს 4 ოლიმპიური და 12 ევროპული ოქრო. გვყავდა 3 ოლიმპიური ვიცეჩემპიონი და 4 ბრინჯაოსანი. ახლა?

**ლუკა თალაკვაძე**

| საბოლოო შედეგები | | |
|---|---|---|
| 1 | ისრაელი | 401,5 |
| 3 | მოლდოვა | 393,5 |
| 2 | დანია | 391 |
| 5 | ბოსნია | 357 |
| 4 | აზერბაიჯანი | 327,5 |
| 6 | ისლანდია | 327 |
| 7 | ლუქსემბურგი | 292 |
| 8 | სომხეთი | 245,5 |
| 9 | **საქართველო** | 227 |
| 10 | ჩერნოგორია | 217,5 |
| 11 | ალბანეთი | 135 |
| 12 | ანდორა | 123 |
| 13 | მაკედონია | 116,5 |

## ავტოსპორტი

# მშვიდობით!



სებასტიან ფეტელი

**ბრიტანული** „სილვერსტოუნი“ სულ მცირე ათი წლით დაემშვიდობა ფორმულას. მომდევნო სეზონიდან კი ბრიტანულ გრან პრის დონინგტონის ტრასა უმასპინძლებს.

„სილვერსტოუნთან“ გამომშვიდობება კი ვერ გამოდგა მაინცდამაინც საამო საცქერი. ბრძოლა, ისევე, როგორც პრაქტიკულად ყველა წლევანდელ ეტაპზე, არ ყოფილა.

ოღონდაც ამ ჯერზე ჯენსონ ბატონმა ვერ გადაჰკვეთა ფინიში პირველმა.

წლევანდელი რვა ეტაპიდან ბატონმა 6 მოიგო და ორჯერ სებასტაინ ფეტელმა ჩამოართვა პირველობა. ამასთანავე, ფეტელის „რედ ბულმა“ კონსტრუქტორთა ჩათვლაში მეორედ მოაგროვა მაქსიმალური 18 ქულა.

მეორე მხრივ კი, ფეტელის ეს გამარჯვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნდა — ბატონი მაინც გვარიად არის წინ გაჭრილი.






## ფორმულა 1. 60-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მერვე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**ბრიტანეთის დიდი პრიზი**

21 ივნისი. სილვერსტოუნი

დისტანცია 60 წრე — 308,355 კმ

| | |
|---|---|
| 1 (1). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „რედ ბული“) | 1:22:49.328 |
| 2 (3). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული“) | +15,1 |
| 3 (2). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ბრაუნი“) | +41,1 |
| 4 (11). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“) | +45,0 |
| 5 (7). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამსი“) | +45,9 |
| 6 (6). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ბრაუნი“) | +46,2 |
| 7 (4). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა“) | +68,3 |
| 8 (8). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“) | +69,6 |
| 9 (9). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“) | +69,8 |
| 10 (16). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია“) | +71,5 |
| 11 (5). კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამსი“) | +74,0 |
| 12 (14). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო“) | +1 წრე |
| 13 (12). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“) | +1 წრე |
| 14 (10). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“) | +1 წრე |
| 15 (15). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი“) | +1 წრე |
| 16 (18). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენი“) | +1 წრე |
| 17 (20). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია“) | +1 წრე |
| 18 (19). სებასტიენ ბუემი (შვეიცარია, „ტორო როსო“) | +1 წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 19 (17). სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო“) | 37 წრე |
| 20 (13). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენი“) | 36 წრე |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *სებასტიან ფეტელი* | 1 წთ 18,119 წმ |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *სებასტიან ფეტელი* | 1 წთ 20,735 წმ (საშ. სიჩქარე 229,238 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 29 მარტი | მალაიზია 5 აპრილი | ჩინეთი 19 აპრილი | ბაჰრეინი 26 აპრილი | ესპანეთი 11 მაისი | მონაკო 24 მაისი | თურქეთი 7 ივნისი | ბრიტანეთი 21 ივნისი | გერმანია 17 ივლისი | უნგრეთი 26 ივლისი | ვალენსია 23 აგვისტო | ბელგია 30 აგვისტო | იტალია 13 სექტემბერი | სინგაპური 13 სექტემბერი | იაპონია 4 ოქტომბერი | ბრაზილია 18 ოქტომბერი | აბუ-დაბი 1 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბატონი | 10 | 5 | 6 | 10 | 10 | 10 | 10 | 3 | | | | | | | | | | 64 |
| 2 ბარიკელო | 8 | 2 | 5 | 4 | 8 | 8 | - | 6 | | | | | | | | | | 41 |
| 3 ფეტელი | - | - | 10 | 8 | 5 | - | 6 | 10 | | | | | | | | | | 39 |
| 4 ვებერი | - | 1.5 | 8 | - | 6 | 4 | 8 | 8 | | | | | | | | | | 35.5 |
| 5 ტრული | 6 | 2.5 | - | 6 | - | - | 5 | 2 | | | | | | | | | | 21.5 |
| 8 მასა | - | - | - | - | 3 | 5 | 3 | 5 | | | | | | | | | | 16 |
| 7 როსბერგი | 3 | 0.5 | - | - | 1 | 3 | 4 | 4 | | | | | | | | | | 15.5 |
| 6 გლოკი | 5 | 3 | 2 | 2 | - | - | 1 | - | | | | | | | | | | 13 |
| 9 ალონსო | 4 | - | - | 1 | 4 | 2 | - | - | | | | | | | | | | 11 |
| 10 რაიკონენი | - | - | - | 3 | - | 6 | - | 1 | | | | | | | | | | 10 |

*ჰემილტონი — 9 ქულა; ჰაიდფელდი — 6; კოვალაინენი — 4; ბუემი — 3; კუბიცა — 2; ბურდე — 2 ქულა*

| | ავსტრალია | მალაიზია | ჩინეთი | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | თურქეთი | ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ვალენსია | ბელგია | იტალია | სინგაპური | იაპონია | ბრაზილია | აბუ-დაბი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბრაუნი | 18 | 7 | 11 | 14 | 18 | 18 | 10 | 9 | | | | | | | | | | 105 |
| 2 რედ ბული | - | 1,5 | 18 | 8 | 11 | 4 | 14 | 18 | | | | | | | | | | 74,5 |
| 3 ტოიოტა | 11 | 5,5 | 2 | 8 | - | - | 6 | 2 | | | | | | | | | | 34,5 |
| 4 ფერარი | - | - | - | 3 | 3 | 11 | 3 | 6 | | | | | | | | | | 26 |
| 5 უილიამსი | 3 | 0,5 | - | - | 1 | 3 | 4 | 4 | | | | | | | | | | 15,5 |

*მაკლარენი — 13 ქულა; რენო — 11 ქულა; ზაუბერი — 8 ქულა; ტორო როსო — 5 ქულა*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი: ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი: გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი: გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე: კახა შალამბერიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge



სარეკლამო სამსახური: 93 16 08, 899 945 975